ივლისი 1996 წ.
13-15

# კავკასიონი

The KAVKASIONI
© ყოველდღიური გაზეთი № 119-120 (413-414)
ფასი 40 თეთრი




## ენგურზე განლაგებული სამშვიდობო ძალები ბოროტმოქმედების აღკვეთის ნაცვლად თავად სჩადიან დანაშაულს

„რუსეთს საქართველო არასოდეს დაუპყრია!" — ეს სიტყვები უბრალო მოკვდავის ნათქვამი არ გეგონოთ, იგი რუსეთის ფედერალური საკრებულოს, ფედერაციის საბჭოს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ოლეგ ბოგომოლოვს ეკუთვნის. პოლიტიკოსს, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების ურთიერთობის ხასიათი, ერთობ ორიგინალური შეხედულება აღმოაჩნდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ. ბატონი ბოგომოლოვისთვის რუსული იარაღისა და რუსეთის მოქალაქეების აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილეობაც დაუჯერებელი ამბავი აღმოჩნდა და უფროსი ძმისთვის დამახასიათებელი რიხით, ქართველებს ამის დამადასტურებელი ფაქტები მოგვთხოვა, თან იქვე დაუმატა, აფხაზეთის დაკარგვაში საქართველომ რუსეთი არ უნდა დაადანაშაულოსო. ფედერაციის საბჭოს ყველა დეპუტატმა თუ არა, დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნამდვილად მეტი უნდა იცოდეს რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელი ურთიერთობის შესახებ. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ ბოგომოლოვმა არ უწყოდეს სინამდვილე, მაგრამ იგი რუსეთის პოლიტიკური სპექტრის იმ ფრთის წარმომადგენელია, რომლისთვისაც რუსეთი იყო, არის და იქნება „Великая Держава". ბოგომოლოვი დგას იმ პოზიციაზე, რომელსაც ჩვენ, ქართველები, იმპერიალისტურს ვუწოდებთ, თვითონ მისთვის კი ამგვარი პოზიცია მესამე რომის სიმბოლოს, ორთავიანი არწივის ფრთების ლაღად გაშლის საწინდარია.

იხილეთ მე—4 გვ.

SOS

## სიახლე შამპანურის წარმოებაში — თაგვის არომატით შეზავებული ბუკეტი!

- შამპანური, რომელსაც "Советское шампанское"-ს ეტიკეტი აკრავს (მწარმოებელი ფირმა დაუდგენელია), დაავადებულია თაგვის გემოს გამომწვევი ბაქტერიებით!!
- ქართულ ბაზარზე გამოტანილი ღვინოების დიდი ნაწილი ინფიცირებულია ღვინის საფუვრებით და ძმარმჟავა ბაქტერიებით!
- არაყი "Столичная" (მწარმოებელი ფირმა დაუდგენელია) შეიცავს უმაღლესი სპირტების ჯამის დასაშვებ ნორმაზე 800-ჯერ მეტ რაოდენობას!

„კავკასიონი" სენსაციების მოყვარულებზე არ „ნადირობს", ასეთია შედეგი ლაბორატორიული ანალიზისა, რომელიც ჩვენს მიერ წარდგენილ ნიმუშებზე მოგვაწოდა სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპერტიზის სამსახურმა.

იხილეთ მე—6-7 გვ.

სახელმწიფო კანცელარიაში

## პრეზიდენტი საყვედურობს: კანცელარიის უფროსს – მთავრობის სხდომების მოუმზადებლობის გამო; იუსტიციის მინისტრს – «აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ» კანონპროექტზე მუშაობის გაჭიანურების გამო

10 ივნისს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ საკითხთაგან უმნიშვნელოვანესი ყურადღება განათლების რეფორმის მიმდინარეობას დაეთმო. აღსანიშნავია, რომ რეფორმის განხორციელებას რამდენიმე მტკივნეული ფაქტორი ახლავს, რომელმაც საზოგადოებაში, კერძოდ. მოსწავლეებსა და მასწავლებლებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია მე-10 კლასში ფასიანი სწავლების შემოღების საკითხი, რომლის თანახმადაც, მოსწავლეთა კონტინგენტის მხოლოდ 30 პროცენტი — განსაკუთრებით წარჩინებული მოსწავლეები იქნებიან უფლებამოსილნი, უფასოდ მიიღონ განათლება, ხოლო გაურკვეველია იმ 70 პროცენტის ბედი, რომელთა უმრავლესობასაც, სოციალური დაუცველობის გამო, ხელი არ მიუწვდება სწავლების საფასურის გადახდაზე. განათლების მინისტრის თქმით, ამ შემთხვევაში, გამოსავალი ნაპოვნია: „ის მეათე კლასელები, რომლებიც ვერ მოხვდნენ იმ 30 პროცენტში და არც ფულის გადახდის საშუალება აქვთ, ქუჩაში ხომ არ დარჩებიან? ამიტომ, აუცილებელია პროფტექნიკური სისტემის ამოქმედება".

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, თავისთავად, საჭიროა განათლების სისტემის რესტრუქტურიზაცია, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ, როგორც განათლების, ისე სხვა სფეროებში მიმდინარე რეფორმები, ხშირად, თავისი სპონტანური ხასიათის გამო, ძვირად უჯდება საზოგადოებას, სახელმწიფოს. ამდენად, რეფორმების რეალიზაციამდე აუცილებელია, შეიქმნას რეფორმების განხორციელებისთვის ყველა წინაპირობა, სრულყოფილად ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო ბაზა და მოსახლეობამ ღრმად გააცნობიეროს რეფორმების არსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი ისეთივე რთულ ვითარებაში აღმოჩნდება, როგორშიც სადაზღვევო სისტემის არარსებობის გამო, ჯანდაცვის რე-

იხილეთ მე—2 გვ.

ტერორი

## ვინ აფეთქებს მოსკოვში ტროლეიბუსებს?

გუშინ მოსკოვში, 8 საათსა და 20 წუთზე, კიდევ ერთი ტერორისტული აქტი მოხდა — ქალაქის ცენტრში, მშვიდობის პროსპექტზე, ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედების შედეგად დაიწვა № 48 მარშრუტის ტროლეიბუსი. ტერაქტის შემდეგ 22 ადამიანი საავადმყოფოში მოათავსეს, მათგან 3 — მძიმე მდგომარეობაში (ერთი მოგვიანებით გარდაიცვალა).

პოლიციამ მომხდარის კომენტარისგან თავი შეიკავა, რადგან საქმის კვლევა-ძიება მთლიანად თავის თავზე უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა აიღო. მათი აზრით, გუშინდელი შემთხვევა ტყუპისცალივით ჩამოგავს პუშკინის მოედანზე გუშინწინდელ აფეთქებას.

ჯერჯერობით ორი მძიმე დანაშაულის არც შემკვეთი და არც შემსრულებელი ცნობილი არაა. გუშინდლიდან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთში პრეზიდენტმა საგანგებო კონტროლზე აიყვანა. ამის შესახებ ბორის ელცინმა უშიშროების ფედერალური სამსახურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე განაცხადა. „ტერორიზმთან ბრძოლა და ანტიტერორისტული ღონისძიებების დამუშავება სამართალდამცავი ორგანოების უმთავრესი ამოცანაა. მოსკოვი დანაგვიანებულია ტერორისტებით, რომელთა წინააღმდეგაც გაცილებით მკაცრი ზომების გატარებაა საჭირო", — დასძინა რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა.

აფეთქებიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ შემთხვევის ადგილზე მივიდა მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი. მან ინციდენტს უწოდა ვანდალიზმის აქტი, რომელიც შიშის, ქაოსის, ატმოსფეროს შექმნას და ხელისუფლების მიმართ უნდობლობის გამოწვევას ისახავს მიზნად. ლუჟკოვმა შენიშნა, რომ

იხილეთ მე—3 გვ.

მართლწესრიგი

## აზერბაიჯანის მოქალაქეები საქართველოში ირანული ოპიუმის რეალიზაციას აპირებდნენ

ქ.რუსთავის სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე ი.ე.შირინოვის, ვ.იბაევისა და ა.კულიევის მიმართ: დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 79 მუხლის IY ნაწილით, 252 მუხლის II ნაწილით და 206 მუხლით.

აღნიშნული დანაშაულის აქტუალობისა და დღეს რესპუბლიკაში ნარკოტიკების რაელიზატორების მიმართ გაძლიერებული ბრძოლის გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, მოემართა ჩვენთვის თხოვნით, რათა მოსახლეობისთვის გაგვეცნო ეს კონკრეტული ფაქტი.

როგორც წინასწარ, ასევე სამსჯავრო გამოძიებით დადგენილ იქნა შემდეგი: 1995 წლის 22 დეკემბერს ი.შირინოვმა, ვ.იბაევმა და შ.დაშდამიროვმა, რომლებიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები არიან, წინასწარი შეთანხმებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ჯალალაბადში, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე კონტრაბანდული გზით გადატანისა და შემდგომი გასაღების მიზნით, გამოძიებით დაუდგენელი ირანელი მოქალაქისგან 1500 ამერიკულ დოლარად შეიძინეს 1500 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმი", რომელიც 1996 წლის 10 იანვარს უკანონოდ, საბაჟო მოხელეებისგან დამალულად, სარეისო ავტობუსით, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრის გადაკვეთის გზით შემოიტანეს საქართველოს რესპუბლიკაში და ცდილობდნენ რეალიზაციას მარნეულის, გარდაბნისა და ქ.რუსთავის ტერიტორიაზე. აღნიშნული „ოპიუმი" მათ უნდა გაეყიდათ 6 ათას ამერიკულ დოლარად, რაც შესთავაზეს გარდაბნის რაიონის მცხოვრებ ა.კულიევს, რომელმაც, მოსალოდნელი მძიმე პასუხისმგებლობის შიშით, კატეგორიული უარი განუცხადა ამაზე. იცოდა რა ზემოხსენებულ პირთა მხრიდან, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების შემოტანისა და გასაღების მცდელობის ფაქტი, ა.კულიევმა არ განაცხადა სათანადო ორგანოებში, რითიც ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206 მუხლით.

საბედნიეროდ, ქ.რუსთავის პოლიციის თანამშრომლების მიერ, ისე, რომ ი.შირინოვმა და ვ.იბაევმა ვერ შეძლეს 1,5 კგ „ოპიუმის" რეალიზაცია, აღკვეთილ იქნა მათი ქმედება. ამ უკანასკნელთა დაკავებისა და პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე განადგურდა. შ.დაშდამიროვმა, რომელიც ასევე აქტიურად იღებდა მონაწილეობას „ოპიუმის" კონტრაბანდული გზით საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანასა და რეალიზაციაში, გაქცევით უშველა თავს. მის მიმართ გამოყოფილ იქნა საქმე ცალკე წარმოებად და გამოცხადდა ძებნა.

1996 წლის 7 ივნისის განაჩენით, ი.შირინოვს, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 79 მუხლის IY ნაწილით და 252 მუხლის II ნაწილით მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით. ამავე მუხლებით გასამართლებულ ვ.იბაევს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ქონების კონფისკაციით, ხოლო დანაშაულის განუცხადებლობისთვის, ადრე ნასამართლევ ა.კულიევს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისთვის და გამოჩენილი უყურადღებობისთვის, რასაც მეზობელი რესპუბლიკიდან საქართველოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით კონტრაბანდული გზით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შემოტანა მოჰყვა, სასამართლომ კერძო გაჩინება გამოუტანა წითელ ხიდზე არსებულ საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლებს.

ო.დ.დგებუაძე

რუსთავის სასამართლოს თავმჯდომარე

კონფერენცია

# ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ეუთო და რეგიონალური უსაფრთხოება დსთ-ს ქვეყნებში

გასულ კვირას ტაბახმელაში გაიმართა კონფერენცია: „ეუთო და რეგიონალური უსაფრთხოება დსთ-ს ქვეყნებში". კონფერენცია მოაწყო ფრიდრიხ ებერტის ფონდმა (საქართველო), ქვინის უნივერსიტეტმა (კანადა) და კონფლიქტოლოგიის ცენტრმა (საქართველო).

ხუთდღიან კონფერენციაზე გერმანიიდან, კანადიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან მოწვეულნი იყვნენ მეცნიერები, პოლიტიკოსები, დიპლომატები, რომლებმაც ეუთო-ს მუშაობა განსხვავებული პოზიციებიდან განიხილეს.

სხდომის თავმჯდომარემ დოქტორ დიტრიხ შპერლინგმა, დეპუტატმა გერმანიიდან, ისაუბრა ეუთო-ს ახალი პროფილის შესახებ და ხაზი გაუსვა იმას, რომ აუცილებელია, კარგად იქნას გაგებული ამ ორგანიზაციის როლი და მისია საქართველოში: „ისეთი მისიები, როგორიც არიან ეუთო, ან გაერო, უნდა გავიგოთ, როგორც იარაღი, რომელიც დაგვეხმარება კონფლიქტის გადაწყვეტის გზების ძიებაში. შველას მხოლოდ ამ ორგანიზაციებისგან არ უნდა ველოდოთ, პირველ რიგში თვით კონფლიქტში მონაწილე მხარეები უნდა შეთანხმდნენ".

ჯონ ჰელსტიდმა, პროფესორმა ქვინის უნივერსიტეტიდან, თავის მოხსენებაში ეუთო-ს ისტორიული განვითარება წარმოაჩინა. მან აღნიშნა: „ეუთო არის ორგანიზაცია, რომელიც დამოკიდებულია წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე. ნაკლებროვ ეუთო-ს აკრიტიკებენ თავისი მუშაობისთვის, ეს მუშაობა კი წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკიდან გამომდინარეობს. ეუთო-ს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც ერთმანეთს ანეიტრალებენ.

მთავარი დადებითი მხარეა: „ეუთო-ს წევრი სახელმწიფოები ევროპული და ამერიკული ქვეყნები არიან, ეს ორგანიზაციას ძლიერ ლეგიტიმურობას ანიჭებს. მაგრამ უარყოფითი მხარეა ის, რომ ამდენი სხვადასხვა კულტურა და გამოცდილება აძნელებს სერთო გადაწყვეტილების გამოტანას.

ეუთო ჯერ ვერ მოერგო კარგად პოსტ-ცივი-ომის სიტუაციას. მას არა აქვს საკმარისი გამოცდილება და ვერ გაურკვევია, რითი განსხვავდება ცივი ომის პერიოდი პოსტ-ცივი-ომის პერიოდისგან. ეუთო-ს ფუნქცია იმით განისაზღვრებოდა, რომ მას აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფრონტაციაში ცვლილებები უნდა შეეტანა. ახლა კი მისი მოვალეობაა, იყოს სტაბილურობის ხელშემწყობი სწრაფი ცვლილებების ეპოქაში. დსთ-ს ქვეყნებში კი ამგვარად ყველაზე დიდი პრობლემაა. ის, თუ რის სტაბილიზაციას ვაპირებთ, რომელი სისტემა უნდა გავაძლიეროთ? სისტემის შექმნა ეუთო-ს ფუნქციებში არ შედის, ეს მთავრობის კომპეტენციაა." კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა არუტიუნ ქახატრიანმა, დელეგატმა სასომხეთიდან, ისაუბრა მთიანი ყარაბახის პრობლემებზე. სომხური მხრიდან, კონფლიქტის შეფასებას მოჰყვა აზერბაიჯანის წარმომადგენლის ერიან კურბანოვის გამოსვლა. ალექსანდრე ისკანდერიანმა რუსეთიდან, ისაუბრა ჩეჩნეთის პრობლემებზე. ტაჯიკეთის საკითხი გააშუქა დიმიტრი ტრენინმა (რუსეთი), ხოლო მოლდოვეთის პრობლემები — გიუნტერ იოტცემ (გერმანია).

ბატონმა ალექსანდრე რონდელმა დსთ-ს ქვეყნებში უსაფრთხოების პოლიტიკის თავისებურებაზე გაამახვილა ყურადღება.

გია ნოდიამ კი თავის მოხსენებაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებაზე ისაუბრა. იმავე დღეს ეუთო-სა და გაერო-ს მისიების ელჩებმა, ბატონმა დიტერ ბოდენმა და ბატონმა ლივიო ბოტამ მისიის ოფიციალური მხარე გააშუქეს.

საერთაშორისო კონფერენციას საინტერესო ხასიათი ჰქონდა: ერთი მხრივ, თავის პოზიციას იცავდნენ ეუთო-ს მისიათა ოფიციალური წარმომადგენლები, ხოლო მეორე მხრივ, კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდა დამკვირვებელთა მთელი ჯგუფი. მსგავსი კონფერენციების ჩატარება, სადაც ერთმანეთს ხვდებიან პოლიტიკოსები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მნიშვნელოვანი მოვლენაა. სასიამოვნოა, ის ფაქტიც, რომ ასეთი შეხვედრა საქართველოში ჩატარდა.

სოფო საყვარელიძე

# «დემოკრატი» თბილისელები დიქტატურას უჭერენ მხარს

წლევანდელ ზამთარსა და გაზაფხულზე თბილისში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა, რომლის მიზანი იყო თბილისელთა დემოკრატიულობის დონის განსაზღვრა. გამოკითხვის ინიციატორები იყვნენ თბილისის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი და ნიუ-იორკის ღია საზოგადოებისა და ღია მედიის კვლევის ინსტიტუტები. ამ გამოკითხვის შედეგებთან დაკავშირებით, გუშინ თბილისის „ფაბლიკ რილეიშენის" ცენტრში კონფერენცია გაიმართა.

„სოციოლოგიური გამოკითხვები არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, არამედ ამ აზრის ფორმირების როლსაც ასრულებენ, — განაცხადა კავკასიური ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გია ნოდიამ. — ჩვენთან, უკვე ის ფაქტი, რომ ადამიანებს რაღაცას ეკითხებიან, დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯია. საზოგადოება ახლა იგებს, რომ მას შეიძლება ჰქონდეს აზრი და ამ აზრის ქონას, შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს." მომხსენებლებმა იაგო კაჭკაჭიშვილმა და ნუგზარ კვაჭაძემ განაცხადეს, რომ მათ გამოიკითხეს თბილისის 1200 მაცხოვრებელი, მათ შორის, 300 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ხუთი ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თბილისელთა სამოცდაცამეტმა პროცენტმა. არჩევნებში მონაწილეობა უმრავლესობისთვის ნებელობითი აქტი იყო და არა მექანიკური ან გარეგანი იძულების შედეგი. გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ მისმა ხმამ არჩევნების შედეგებზე გავლენა მოახდინა და ამას აღიქვამს, როგორც ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას.

თბილისელთა უმრავლესობა მკვეთრად უარყოფითად აფასებს არჩევნებისადმი ბოიკოტის გამოცხადებას. ისინი მიიჩნევენ, რომ არჩევნები არ უნდა გაყალბდეს მაშინაც კი, როცა ამ გაყალბების შედეგად უკეთესი კანდიდატი იმარჯვებს.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ თბილისელთა უმრავლესობა საკმაოდ გაორებულია დემოკრატიასთან მიმართებაში. თუ ზემოთმოყვანილი მაჩვენებლებით მათი დემოკრატიულობის დონე საკმაოდ მაღალია, სამაგიეროდ, თბილისელთა 87 პროცენტი მიიჩნევს, რომ ჩვენი საზოგადოება დემოკრატიისთვის ჯერ არ არის მზად და ამიტომ დემოკრატია თანდათან უნდა დაინერგოს; თბილისელთა 80 პროცენტის აზრით, უნდა აიკრძალოს იმ შეხედულებების გამოხატვის უფლება, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესებს ვნებს; 73 პროცენტი მომხრეა ზოგიერთი პარტიის აკრძალვისა (გამოკითხვის დროს არ დასმულა კითხვა, თუ რომელ ან რა მიმართულების პარტიებს გულისხმობდნენ); თბილისელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს სჭირდება ძლიერი ლიდერი, რომელიც პარლამენტისა და სასამართლოს გარეშე შეძლებს ქვეყნის მართვას.

მომხსენებელთა აზრით, ამ შემთხვევაში მოსახლეობა დიქტატურის საბოლოოდ არჩევას კი არ უჭერს მხარს, არამედ დასაშვებად მიიჩნევს მის არსებობას დროებით, კრიზისის უფრო ეფექტურად დასაძლევად. ამასთან დაკავშირებით, მათ პარალელი გაავლეს სხვა გამოკითხვასთან, როცა თბილისელთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ დაარღვევს კანონს, თუ საქმის წარმატება ამას მოითხოვს. მაგალითად, თუ პოლიცია ვერ შეძლებს მოტაცებული ავტომობილის დაბრუნებას, ისინი თანახმა არიან მიმართონ კრიმინალურ სამყაროს. ეს არ ნიშნავს, რომ მათ კრიმინალური სამყარო ურჩევნიათ პოლიციას, მაგრამ ამ უკანასკნელის უმოქმედობისა თუ უუნარობის დროს, თანახმანი არიან, დასახმარებლად კრიმინალებს მიმართონ. ასევე, პოლიტიკაშიც თბილისელებმა წარმატებული დიქტატურა არჩიეს წარუმატებელ დემოკრატიას.

საინტერესოა, რომ თბილისელთა უმრავლესობა მომავალს ოპტიმიზმით შეჰყურებს, უფრო მეტად; ვიდრე რუსები, უკრაინელები, ბელორუსები და უნგრელები. ამასთან, ისინი ოპტიმიზმის საფუძველს ხედავენ არა საკუთარ ძალისხმევაში ან რაიმე კონკრეტულ გეგმაში, არამედ ფატალურად სჯერათ უკეთესი მომავლის. ექსპერტ გაგა ნიჟარაძის აზრით, ამგვარი უსაფუძვლო ოპტიმიზმიც, შეიძლება, მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველი გახდეს.

საინტერესოა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს უჭერს რუსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას; მათ უმრავლესობას არ სჯერა, რომ დეპუტატობის კანდიდატებს ხალხზე ზრუნვა ამოძრავებთ. აფხაზეთიდან დევნილი 72 რესპოდენტიდან სამოცდაშვიდს გადაწყვეტილი აქვს უკან დაბრუნება, ხუთ რესპოდენტს კი ჯერაც არ მიუღია გადაწყვეტილება. ამასთან, მათ უკან დაბრუნება მიაჩნიათ ხელისუფლების მოსაგვარებელ საქმედ და ამ პროცესში საკუთარ როლს ნაკლებად ხედავენ.

გაგა ნიჟარაძის აზრით, რესპოდენტები ხშირად პასუხობდნენ არა თავისი რწმენის, არამედ არსებული კულტურული ნორმების შესაბამისად, რის გამოც მათი პასუხები ხშირად ურთიერთგამომრიცხავია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში დემოკრატიის ძირითად მონაპოვარს თავისუფალი არჩევნების დამკვიდრება და ელექტორატში შესაბამისი შეგნების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

სოზარ სუბელიანი

სახელმწიფო კანცელარიაში

# პრეზიდენტი საყვედურობს:

## კანცელარიის უფროსს – მთავრობის სხდომების მოუმზადებლობის გამო; იუსტიციის მინისტრს – «აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ» კანონპროექტზე მუშაობის გაჭიანურების გამო

პირველი გვერდიდან

ფორმის განხორციელებისას ჩავარდა. ვფიქრობთ, როცა ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია პროფტექნიკური სისტემა, როცა ჯერ კიდევ დაუდგენელია პროფტექნიკუმების ფუნქციები, განათლების სამინისტრო ძნელად თუ გაართმევს თავს რეფორმის განხორციელებას და სულაც არ იქნება მოულოდნელი, რომ მოსწავლეთა ზემოხსენებული 70 პროცენტი მართლაც აღმოჩნდეს ქუჩაში.

მეტად მტკივნეულად დგას მასწავლებელთა შემცირების საკითხიც, რომელსაც მრავალი ექსცესური მომენტი ახლავს თან. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, პედაგოგთა შემცირება ჭარბი კონტინგენტით იყო განპირობებული. შეუძლებელია, ხუთ მოსწავლეზე ერთი მასწავლებელი მოდიოდეს. 160 ათასი პედაგოგიდან, წინასწარი გაანგარიშების მიხედვით, შემცირდა ის 10 ათასი მასწავლებელი, რომელსაც არ ჰქონდა სრული დატვირთვა და ნახევარ ან მეოთხედ განაკვეთზე მუშაობდა.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია საინფორმაციო ვაკუუმის შევსება. სხვა შემთხვევაში, რეფორმა არ დაიძრება და მის რეალიზაციას გაფიცვები, პროტესტები, ქუჩაში გამოსვლები მოჰყვება. მანვე არასწორად მიიჩნია 10 ათასი მასწავლებლის შემცირება. პრეზიდენტის აზრით, პედაგოგთა კონტინგენტის შესამცირებლად წინასწარ უნდა შემუშავებულიყო რაიმე ნორმატივი, რომელიც ამ პროცესს უმტკივნეულოდ დაარეგულირებდა. „რეფორმისას მთავარი ის კი არაა, 160 ათას კაცს 10 ათასი მოაკლდება თუ არა, არამედ მთავარი რეფორმის არსია, გაფიცვებით კი საქმე რომ კეთდებოდეს, დღეს ჩვენ ყველანი ქუჩაში გავიდოდით", — **ბრძანა ედუარდ შევარდნაძემ.**

პრეზიდენტის დავალებით, განათლების რეფორმის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, რაიონებში, პირველი პირების ხელმძღვანელობით, შეიქმნება სახელმწიფო კომისიები, რამეთუ, მისი თქმით, ამაზე მეტი საზრუნავი სახელმწიფოს სადღეისოდ არ აქვს.

რაც შეეხება ხავსივით მოდებული კომერციული სასწავლებლების კვალიფიკაციის დონეს, ეს პრობლემა ჯერ კიდევ მტკივნეულ თემად რჩება.

კერძო უმაღლეს სასწავლებელთა აკრედიტაციასა და ლიცენზირებაზე პრეზიდენტმა გამოაცხადა მორატორიუმი. აუცილებელია, სააკრედიტაციო და სალიცენზიო კომისიამ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად დაარეგულიროს ლიცენზირებულ სასწავლებელთა ფუნქციონირების საკითხი. თამაზ კვაჭანტირაძის თქმით, ლიცენზირება შეჩერებულია მანამ, ვიდრე არ ჩატარდება გლობალური ატესტაცია არა მხოლოდ კერძო, არამედ სახელმწიფო სასწავლებლებშიც, ვინაიდან, საქმე არც აქაა აწყობილი.

მთავრობის სხდომაზე ითქვა ისიც, რომ პრეზიდენტის ძალისხმევით, მოკლე ხანში, ზუგდიდში გაიხსნება სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი, რომლის ამოქმედებასაც სამეგრელოს მოსახლეობა მოუთმენლად ელოდება.

\+ \+ \+

10 ივნისის სხდომაზე დამტკიცდა ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის დებულება. ხსენებული უწყება საბჭოურ ეპოქაში, შეიძლება ითქვას, მეტ-ნაკლებად თავსართმევდა დაკისრებულ მისიას და სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის ერთობ გავლენიან სტრუქტურას წარმოადგენდა.

ახალი დებულების თანახმად, მოხდა ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის რეაბილიტაცია და სადღეისოდ აუცილებელია, მისი ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ მოექცეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურა, თუმცა, სახელმწიფო მინისტრის აზრით, კერძო მეწარმეს სულაც არ მიაჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოებმა, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექციამ, უნდა აკონტროლოს იგი.

ნიკო ლეკიშვილის განცხადებით, ვინაიდან, თავის დროზე არც ამ სისტემაში იყო ყველაფერი რიგზე, შესაძლოა, მეწარმეს ამ სამსახურის სახით, კიდევ ერთი შემმოწმებელი დააწვეს ტვირთად. ამიტომაც, აუცილებელია, შეიქმნას კანონი, რომელიც ამ პროცესებს — ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციასა და მეწარმეებს შორის ურთიერთობებს დაარეგულირებს.

უახლოეს ხანებში მომზადდება პრეზიდენტის ბრძანებულება ზემოხსენებული სამსახურის როლის შესახებ და შემდგომ ამ ბრძანებულებით განისაზღვრება კანონების მომზადების გრაფიკი.

\+ \+ \+

მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტის — ეროვნული ზარაფხანის აღდგენის, მისი მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზით უზრუნველყოფის საკითხმა, სახელნოდების გამო, მთავრობის ნევრთა და თავად პრეზიდენტის იუმორი დაიმსახურა. არაბული წარმოშობის სიტყვა — ზარაფხანა ძნელადაღსაქმელია ქართული ცნობიერებისთვის და ამდენად, ამ სახელმწიფოებრივი ატრიბუტის სახელწოდება კიდევ კარგა ხანს იქნება განსჯის საგანი.

ხოლო რაც შეეხება ფუნქციებს, ეს საწარმო დაამზადებს სახელმწიფო სიმბოლიკებს, სამკერდე ნიშნებს და სხვადასხვა ატრიბუტიკას. ამ მიზნით, თბილისის საიუველირო ქარხანა დაექვემდებარება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც სახაზინო საწარმო და გამოყენებული იქნება, პირობითად, ეროვნული ზარაფხანის შექმნის ბაზად.

\+ \+ \+

ედუარდ შევარდნაძემ სერიოზული შენიშვნები გამოთქვა სახელმწიფო კანცელარიის საორგანიზაციო განყოფილების მიმართ, რომელიც ცუდად ართმევს თავს პრეზიდენტის დავალებებს, ვერ ასრულებს დაკისრებულ მისიას და ვერ უზრუნველყოფს მთავრობის სხდომების მოსამზადებელი სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებას. ამიტომაც, მისი თქმით, თუკი პრეზიდენტის დავალებების მხოლოდ ერთი მეოთხედია შესრულებული, ეს ნიშნავს, რომ საორგანიზაციო განყოფილება ვერ მუშაობს და ამისთვის საჭიროა, დღის წესრიგში კანცელარიის ხელმძღვანელის საკითხი დადგეს. „აქ არაა საშუალო სკოლა, რომ ელემენტარულ საკითხებზე კანცელარიის თანამშრომლებს გაკვეთილები ჩავუტაროთ", — **ბრძანა პრეზიდენტმა.** მანვე საყვედური გამოთქვა იუსტიციის მინისტრის თედო ნინიძის მიმართ, რომელმაც ვერა და ვერ დაასრულა „აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ" კანონპროექტზე მუშაობა.

მთავრობის მორიგი სხდომა ოთხშაბათს გაიმართება.

დიანა ბაბროშვილი

ტერორი

# ვინ აფეთქებს მოსკოვში ტროლეიბუსებს?

პირველი გვერდიდან

იგი არ აპირებს მოსკოვში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, მკაცრ ღონისძიებებს კი აუცილებლად გაატარებს — მოსკოვი გაიწმინდება მაწანწალების, გასტროლიორებისა და სხვა ათასი ჯურის უსაქმურებისგან. ამასთან მოსკოვის მილიციის გარნიზონი მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდა, შემოღებულია სადღეღამისო მორიგეობა.

გუშინდელ ტერაქტს კომენტარი გაუკეთა რუსეთის იუსტიციის მინისტრმა ვალენტინ კოვალიოვმა, რომელიც პარალელურად უშიშროების სამსახურის ერთ-ერთ შიდა უწყებას — დამნაშავეობასთან ბრძოლის კომისიას ხელმძღვანელობს. მისი აზრით, ტერორიზმის იმ სახეობასთან ბრძოლა, რომელთანაც შეჯახება ბოლო ორ დღეს მოუხდა რუსეთის დედაქალაქს, მოითხოვს სპეციალურ ნორმატიულ, საკადრო უზრუნველყოფას და ყველაფერი ეს აუცილებლად გაკეთდება.

საკმაოდ მკაცრი და ცალსახა შეფასება მისცეს ბოლო დღეების მოვლენებს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა. მათი აზრით, რუსეთის ახლანდელმა ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა იმოღვაწეოს. თუ მისი წარმომადგენლები თავიანთი წინამორბედების მსგავსად იმოქმედებენ, მაშინ ამაოა ფულების ხარჯვა და ლებედის ხრინწიანი ბარიტონის მოსმენა. ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი უფრო შორს მიდის და მოსკოვიდან ასტრახანამდე მთელ ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციის გამოცხადებას ითხოვს.

იჩქერიის რესპუბლიკის პრეს-სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომელშიც კატეგორიულად უარყო ტერაქტებთან ჩეჩენი მებრძოლების რაიმე კავშირი. „ტერაქტები რომ მათ მოეწყოთ, მაშინ ისინი, პოლიტიკური მოსაზრებით, აუცილებლად აიღებდნენ პასუხისმგებლობას მომხდართან დაკავშირებით", — ნათქვამია განცხადებაში. იგივე პოზიცია დაიკავა ჩეჩნეთის პრორუსული მთავრობის მეთაურმა დოკუ ზავგაევმა. მისი თქმით, მოსკოვურ ტერაქტებს ჩეჩნური ნაკვალევი არ ამჩნევია.

ანი ბიბინეიშვილი

## გაიხსნება მარცვლეულის ბირჟა

„ტასისი"-ს პროგრამის ექსპერტების მიერ შემოთავაზებულია საქართველოში შეიქმნას ორი რეგიონალური „მარცვლეულის ბირჟა", კახეთის რეგიონში და დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სენაკში. ბირჟების შექმნის ძირითადი მიზანია მარცვლეულის მწარმოებლებისა და მყიდველების შეხვედრა. კვირაში ერთხელ დაწესდება დღე და საათი, როდესაც მათ შორის მოხდება შეთანხმება მარცვლის შესყიდვაზე.

დღეს სიღნაღის რაიონის დაბა წნორში გაიხსნება მარცვლეულის პირველი ბირჟა.

იფრინდა

## საკადრო გადაადგილებები

თბილისის მუნიციპალიტეტში რამდენიმე საკადრო გადაადგილება მოხდა. ვიცე-პრემიერი ვაჟა მეტრეველი დეპარტამენტ „საქენერგოს" უფროსად დაინიშნა. მისი თანამდებობა დაიკავა მთაწმინდის რაიონის გამგებელმა ზურაბ ბიბილეიშვილმა. ამ რაიონის ხელმძღვანელი კი სოსო ჩხიკვიშვილი გახდა... მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი ტახირ არველაძე სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს. საქალაქო საგადასახადო ინსპექციის უფროსად დაინიშნა თბილისის დიდუბის რაიონის ყოფილი გამგებელი გოჩა ბაბუნაშვილი. მისი ადგილი ომარ კიკვიძემ დაიკავა. თბილისის ვეტერინარული სამსახურის უფროსად დამტკიცდა ნუკრი გუგუშვილი.

BS-PRESS

პური ჩვენი არსობისა

# შემოდგომაზე პური გაიაფდება

თითქმის ერთი თვეა პურის ფასების ლიბერალიზაცია დაიწყო. პროცესი ჯერჯერობით სერიოზული გართულებების გარეშე მიმდინარეობს. თუმცა, თავი იჩინა სავაჭრო წესების დარღვევებმა, ფასდამახინჯებებმა, პურის ხარისხის და ფასის შეუსაბამობამ, მეწარმეებს და მომხმარებლებს გარკვეული პრეტენზიები გაუჩნდათ.

12 ივლისს პარლამენტის აგრარულ კომიტეტში საკომიტეტო მოსმენა გაიმართა. თემა — პურის თავისუფალი ფასების პირობებში არსებული მდგომარეობა და უახლოესი პერსპექტივები.

კომიტეტმა დაიწყო პურის ფასების ლიბერალიზაციის მიმდინარეობის გაშუქება, ხარვეზების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ როზა ლორთქიფანიძემ საკომიტეტო მოსმენაზე განაცხადა, შეხვედრები რეგულარულად გაიმართება. მათი მიზანია, განვლილი პერიოდის შეჯამება, დარღვევების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა. შეხვედრებში სისტემატურად მიიღებენ მონაწილეობას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ის უწყებები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პურის ფასების ლიბერალიზაციის პროცესში.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ გულუამ განაცხადა, პურის ფასების ლიბერალიზაციას საეტაპო მნიშვნელობა აქვს. საქართველოში საბოლოოდ მკვიდრდება საბაზრო ეკონომიკა.

მთავრობა უარს ამბობს უშუალო სამეურნეო ჩარევაზე. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მხოლოდ კოორდინატორები იქნებიან, გაძლიერდება მათი მხრიდან საკანონმდებლო კონტროლი. ხელისუფლებამ მომხმარებლის, მომწოდებლის, მწარმოებლის ინტერესები უნდა დააბალანსოს. მეწარმეებს სრული თავისუფლება ეძლევათ (კანონის ფარგლებში) და ამის საუკეთესო მაგალითია პურის ფასების გათავისუფლება.

„საღღეისო შედეგებზე საუბარი ნაადრევია. რაც მთავარია, პროცესი პანიკის გარეშე მიმდინარეობს. მთავარია, დროულად გამოვასწოროთ გამოვლენილი ხარვეზები, დარღვევები. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქვეყანა ახლა გამოდის კრიზისიდან და ღატაკთა, ღარიბესთა ფენა ბევრად ჭარბობს საშუალო ფენას. სახელმწიფომ რეფორმა სოციალურად სუსტად უზრუნველყოფილი ფენების ინტერესების გათვალისწინებით დაიწყო.

დაძლეულია სიძნელეები მიწოდებაში. შემდგომისთვის სავარაუდოა პურის ფასის გაიაფება. საქართველო ხორბლის იმპორტიორი ქვეყანაა, ამიტომ ჩვენ კარგა ხანს ვიქნებით დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე, დღეს ერთი ტონა ხორბალი საერთაშორისო ბაზარზე 250 დოლარი ღირს. ეს ჰიპერფასია. წინასწარი პროგნოზით წლის ბოლოსთვის ფასი 150 დოლარამდე გაიაფდება", — განაცხადა ბაკურ გულუამ.

თუ ქვეყანას შიდა რესურსები არ ექნა, ძალზე გაძნელდება ხორბლის შიდა ბაზრის და პურის გასაყიდი ფასების დაბალანსება, ფასმომატების ნორმის ფარგლებში რეგულირება.

სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრის განცხადებით 130 000 ტონა ადგილობრივი ხორბალი ამ თვეში შევა ბეღელში, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს შავ ბაზარზე. 30 000 ტონაზე მეტი ხორბალი უკვე აღებულია. საშემოდგომო თესვისთვის 185 ათასი ჰექტარია გათვალისწინებული, მაგრამ სამუშაოებს საგრძნობლად აფერხებს საწვავის ფასის სეზონური მატება — „უკანასკნელი რვა თვის მანძილზე დიზელის საწვავმა 3-ჯერ მოიმატა, აუცილებელია ამ პრობლემის მოგვარება", — განაცხადა ბაკურ გულუამ.

გლეხებისთვის, ფერმერებისთვის განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხია მოყვანილი ხორბლის ნორმალურ ფასში გაყიდვა. მინისტრის თქმით, დაახლოებით 30-35 ათას ტონა ხორბალს გლეხები გამოიტანენ შიდა ბაზარზე გასაყიდად. ფერმერებს, გლეხებს შეფერხება არ ექნებათ საკუთარი პროდუქტის გასაღებაში. მათ ტონა ხორბალში 252 ლარს გადაუხდიან.

როგორც აგრარული კომიტეტის წევრმა აღნიშნა, შემოდგომაზე მოწეული ხორბლის 80 პროცენტი საკვებისთვის უვარგისია.

ბაკურ გულუამ დაადასტურა გამომსვლელის ნათქვამი და განმარტა, რომ ხორბლის ხარისხის უვარგისობა გამოიწვია ნათესების ზერელედ დამუშავებამ, მოუვლელობამ. „ჩემი წინადადებები და მოსაზრებები ყურად არავინ იღო, ბევრმა არაკვალიფიციურმა სპეციალისტმა თავის თავზე აიღო ნათესების მოვლა, გარდა ამისა, ვერ მოხერხდა საჭირო რაოდენობით სასუქების შემოტანა. ნათესებს სარეველები მოედო, ბუნკერებში ხორბალი შეტანის შემდეგ გაშავდება. საკვებად აღარ გამოდგება. ეს ხორბალი მხოლოდ საფუარად გაიყიდება".

არაერთხელ თქმულა, რომ თბილისის სავაჭრო ქსელში 15 სხვადასხვა დასახელების და ხარისხის პური იყიდება, მაგრამ კარგა ხანია ამ ასორტიმენტში გათვალისწინებული არ არის დიაბეტური პურის წარმოება.

„სახელმწიფოს ბიუჯეტში 300 000 ლარია გამოყოფილი. თანხის გარკვეული ნაწილი მრეწველობას გადაეცემა და თბილისში მცხოვრები დიაბეტით დაავადებული ბავშვები უზრუნველყოფილნი იქნებიან დიაბეტური პურით. ფირმა „ლელა" გამოაცხობს 500 გრამიან ლავაშს და 33 თეთრად გაყიდის. რაიონებში მცხოვრებ ბავშვებს 4,5 ლარი დაურიგდებათ", — განმარტა ბაკურ გულუამ.

საკომიტეტო მოსმენაზე ერთადერთი მომხსენებელი ბაკურ გულუა იყო. აგრარული კომიტეტის წევრები განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ. შეხვედრა სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრთან პრესკონფერენციას უფრო წააგავდა, ვიდრე სამუშაო შეხვედრას, რომელზეც, ალბათ, დაწვრილებით და კონკრეტულად უნდა განხილულიყო ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხები.

ნუცა რუხაძე

იტალია

## პრობლემა — ბიუჯეტი

იტალიის პარლამენტის ზედა პალატამ ...1996 წლის მეორე ნახევრის ...ტი დამტკიცა, რომელიც გასავლების ...ფილში 11 მილიარდი დოლარის „გალე... გათვალისწინებს. იგი მმართველი „ზე...ის ხის" კოალიციის შემადგენლო...ში ...ალმა ყველა პარტიამ მოიწონა. ...წინააღმდეგ კი „ჩრდილოეთის ლიგა" და ...ცენტრისტული „თავისუფლე...ლიანსი გამოვიდა. მოწონებული საბი...ეტი ...ქვედა პალატას გადაეცემა ...დამტკიცებლად.

აშშ

## ავიაკატასტროფა ფლორიდაში

ამერიკის შეერთებულ შტატებში კატასტროფა განიცადა სამხედრო-საჰაერო ...ების ავიაგამანადგურებელმა „F-16"-მა. ...ორსართულიანი საცხოვრებელ სახლს დაე...ფლორიდაში. ოფიციალურ პირთა გან...ებით მეზობლების დახმარებით მო...ხდა ცეცხლმოდებული სახლიდან ქა...ლისა და მამაკაცის გამოყვანა, ოთხი წლის ...ბავშვის ბედი კი ჯერჯერობით უცნობია.

ჩრდ. ირლანდია

## არეულობა ჩრდილოეთ ირლანდიაში

...მთარება ჩრდილოეთ ირლანდიაში ...დაძაბული რჩება. პროტესტანტების ...რომლის მონაწილეებსაც პოლიციამ ...დაბოლოს მისცა ქპორტადაუნის კა...ლიკურ კვარტლებში მსვლელობის უფ...ა, მასობრივი არეულობებით დამთავრ...წესრიგის დამცველებმა პლასტიკური ...ები გამოიყენეს. მიმომხილველები ში...ბენ, რომ შესაძლებელია არეულობა ოლ...ვრის მთელ ტერიტორიას მოედოს.

ჩრდილოეთ ირლანდიაში შექმნილი ...დიდი ბრიტანეთის პრემიერმი...ტრის ჯონ მეიჯორისა და მისი ირლან...ელი კოლეგის ჯონ ბრუტონის გუშინ...ლი შეხვედრის დროს ფართო მსჯე...ობის საგნად იქცა.

## ხანძარი ორთაჭალჰესში

11 ივლისს ცეცხლი გაუჩნდა ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურს. ამის მიზეზი გახდა ფიდერის დაწვა, რომლითაც ელექტროენერგია მიეწოდებოდა მეტროპოლიტენს. ამჟამად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

BS-PRESS

## მეზობელს დაეხმარნენ

გუშინ, დილის 8 საათსა და 30 წუთზე აზერბაიჯანის ენერგოსისტემაში მომხდარი ავარიის სალიკვიდაციოდ საქართველოს ენერგოსისტემა დაეხმარა მეზობელ რესპუბლიკას, რის გამოც საქართველოს მოსახლეობას შეზღუდვით მიეწოდა ელექტროენერგია.

იფრინდა

## ღამის კლუბები დროებით დაიხურება

ამ რამდენიმე დღის წინ სალამოს კლუბ „ყაზბეგში" ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ატეხილი დებოშის შედეგად დაიჭრა რამოდენიმე მოქალაქე, მათ შორის, ერთი უცხოელი. შსს-ს ქალაქის პოლიციის სამმართველომ მერიის წინაშე დასვა საკითხი ქალაქში მოქმედი ღამის კლუბების, კერძოდ, „ყაზბეგი", ფილარმონიის შენობაში მდებარე ღამის კლუბისა და კლუბ" კაბარე"-ს საქმიანობის დროებით შეჩერების შესახებ, ვიდრე არ იქნება უზრუნველყოფილი მოქალაქეთა უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი.

## დაარსდა კერძო საკუთრების დამცველი ორგანიზაცია

საქართველოში პრივატიზაციის პირველი ეტაპის დასრულებამ და მეწარმეების გაჩენამ აუცილებელი გახადა მათი დაცვა. ამ მიზნით, გუშინ დაფუძნდა „საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგა". იგი არასახელმწიფოებრივი და არაპოლიტიკური ორგანიზაციაა. ლიგის პრეზიდენტად აირჩიეს რომან გოცირიძე (ექს ვიცე-პრემიერი), სათათბირო — 80, ხოლო სარევიზიო კომისია — 18 წევრის შემადგენლობით განისაზღვრა. გამოითქვა აზრი, რომ დირექტორატიდან გამოიყოს ერთი წევრი, რომელიც პარალმენტთან ლიგის დამაკავშირებელი იქნება.

იფრინდა

## საქართველოს საზღვაო ჭიშკართან...

ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის პრეს-ცენტრის ცნობით, ნავსადგურის ბემმისადგომებთან დგას შემდეგი გემები:

„ვლ.მოლოდცევი" — უკრაინა — ფქვილი 2915 ტ. — იმპორტი საქართველოსთვის, ტრანზიტი — სომხეთისთვის.

„პანეგა" — ბულგარეთი — ბენზინი — 4660 ტ. — იმპორტი, საქართველოსთვის.

„ვასილიკი-2" — საბერძნეთი — ბენზინი 2100 ტ. — ტრანზიტი სომხეთისთვის.

„ომარბეი-1" — თურქეთი — ლითონი 782 ტ. — ექსპორტი.

„ბილაი ჩავუშოგლუ" — თურქეთი — სოდა 1000 ტ. — იმპორტი საქართველოსთვის.

„ესრა" — თურქეთი — ხორბალი 4945 ტ. — იმპორტი საქართველოსთვის.

„ფრიო არგენტინა" — კვიპროსი — ქათამი 3000 ტ. — იმპორტი საქართველოსთვის, ტრანზიტი — სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის.

რეიდზე დგას:

„სანაი" — რუმინეთი — შაქარი 2522 ტ. — იმპორტი.

უნდა შემოვიდეს:

„არტრიხტ გრახტი" — მილები — 3564 ტ. — ტრანზიტი.

„ტორიკი" — ფქვილი — 4494 ტ.

„ელხოსი" — ხორბალი 5262 ტ.

„ნიკოლსკოე" — კონტეინერმზიდი — ტრანზიტი.

„ნიუ სტარი" — ბენზინი 24000 ტ. — იმპორტი.

მეუღლე რუსუდან ხანთაძე-ანდრონიკაშვილისა, შვილები კირა, სანდრო, დეიდაშვილები თენგიზ ვაჩნაძე, ელდარ და გიორგი შენგელაიები, ბიძაშვილები გოგი, კირა, მერაბ ანდრონიკაშვილები ოჯახებით, სიდედრი ელენე, ცოლისდა დოდო, ცოლისძმა ნოდარ ხანთაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბორის ბორისის ძე ანდრონიკაშვილი

პანაშვიდი: 13 ივლისს 17 საათზე.
გამოსვენება: 14 ივლისს 17 სათზე.
მისამართი: ბახტრიონის ქუჩა 24, მესამე სადარბაზო, მეორე სართული.

# ენგურზე განლაგებული სამშვიდობო ძალები ბოროტმოქმედების აღკვეთის ნაცვლად თავად სჩადიან დანაშაულს

პირველი გვერდიდან

კავკასიის რეგიონი რომ რუსეთის მზაკვრული პოლიტიკის გამოისობით გაეხვა ცეცხლის ალში, ალბათ, ბევრისთვის საეჭვო არ არის, მაგრამ იმავე ბოგომოლოვისთვის რუსეთი კავკასიის მშვიდობის მტრედია, რომელიც აქ სტაბილიზაციის დამყარებას ცდილობს; დიახ, დღეს რუსეთი კავკსიაში შუამავლის როლს ასრულებს, შუამავლისა, რომელსაც ჯერ არც ერთი კონფლიქტი არ მოუგვარებია და თავადაც კარგა გვარიანად გაიხლართა ჩეჩნურ აბლაბუდაში.

„რაც არ უნდა მძიმე იყოს რუსეთისთვის სამშვიდობო ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფნა, მიუხედავად ყველაფრისა, მათი იქ ყოფნა აუცილებელია", — განაცხადა იგორ ბოგომოლოვმა, მაგრამ სიტყვაც კი არ დასცდენია იმაზე, თუ რა აუცილებელი ფუნქციები უნდა შეასრულონ სამშვიდობო ძალებმა ან ართმევენ თუ არა. ისინი თავს მათზე დაკისრებულ მისიას. არც იმის შესახებ თქმულა რაიმე, თუ რატომ არ იღებს რუსეთი საქართველოს ნინადადებებს მანდატის შეცვლის შესახებ.

პრესკონფერენციაზე იგორ ბოგომოლოვს ისე ეჭირა თავი, თითქოს პირველად ესმოდა საქვეყნოდ გახმაურებული ფაქტები. ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, იგი არ აღიარებდა, რომ სამშვიდობო ძალებმა, დღევანდელი სახით, რბილად რომ ვქთვათ, ამონურეს თავისი შესაძლებლობანი და თანდათან აშკარად საშიშ ფორმებს იღებს მათი ქცევა და ქმედება. ამაზე მეტყველებენ ფაქტები.

## ქართველთა გენოციდი გრძელდება, რას აკეთებენ სამშვიდობო ძალები?

სამშვიდობო ძალების მთავარი ფუნქცია მეომარი მხარეების დაშორიშორება, კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დამყარება და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაა. ხდება კი ისე, რომ კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ წუთითაც არ შენყვეტილა ქართველთა ნინააღმდეგ გენოციდი. სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები მხარეების მიმართ არაადეკვატურად არიან განწყობილნი. კონფლიქტის ზონაში მათი განლაგების შემდეგ დაიხვრიტა უამრავი ადამიანი, ათეულობით ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. საკითხავია, სამშვიდობო ძალები რომ იქიდან გავიდნენ, უარესი რაღა შეიძლება მოუვიდეს ქართველ მოსახლეობას? მხოლოდ გალის რაიონში, სამშვიდობო ძალების ხელშენყობით, აფხაზმა „ბოევიკებმა" ქართველი მოსახლეობის 4 ეგზეკუცია მოაწყეს. ჩვენი მტკიცება ზოგადი საუბრით რომ არ შემოიფარგლოს, გთავაზობთ, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების დისლოცირების შემდეგ აფხაზი ბოევიკების მიერ ჩადენილი დანაშაულობების კონკრეტულ ფაქტებს:

1995 წ. 3 მარტს აფხაზმა ბოევიკებმა გაძარცვეს და შემდეგ საცხოვრებელი ადგილებიდან გამოაძევეს გულრიფშის რაიონის სოფლების ნებელდის, მერხეულისა და დრანდის 36 ქართული ოჯახი.

1995 წ. 10 მარტს სამშვიდობო ძალების განლაგების ზონაში მოკლეს ელდარ დანელია და დააპატიმრეს 6 ქართველი მოსახლე.

იმავე 10 მარტს აფხაზმა ბოევიკებმა გაიტაცეს პუპული ეხვაია, სერაპიონ და ზურაბ თოდუები, ლამაზი კუპრავა ბავშვებთან ერთად. სერაპიონ თოდუა გამოსასყიდი თანხის (3 მლნ. რუბლი) გადაუხდელობის გამო დახვრიტეს.

11 მარტს სოფელ ფიჩორიდან „ბოევიკებმა" 8 ქალი გაიტაცეს. იმავე დღეს სოფელ ოტობაიაში ყაჩაღური ბანდის „კაბანის" წევრმა გოგოხიამ მშვიდობიანი მცხოვრები ზამირ ქარდავა დახვრიტა.

11 მარტსვე აფხაზმა „ბოევიკებმა" სოფელ ნაბაკევზე განახორციელეს თავდასხმა და 20 ქართველი ეროვნების ადამიანი გაიტაცეს.

11 მარტს დააკავეს სოფელ როჩხის მცხოვრები გ.ჯობავა, რომელიც სხვა 41 ქართველთან ერთად 5 დღის განმავლობაში იარაღის მუქარით ტამიშის რკინა-ბეტონის ქარხანაში ამუშავეს.



სამშვიდობო ძალები

12 მარტს სოფელ განახლებაში ჯერ დაჭრეს, ხოლო შემდეგ ბოსელში ჩაკეტეს ვალერი წევავა. იგი სისხლისგან დაიცალა.

12 მარტს აფხაზმა „ბოევიკებმა" სოფელ ქვემო ბარღებში დახვრიტეს 20 მშვიდობიანი მოსახლე, მძევლად წაიყვანეს 15 ადამიანი. ამავე დღეს ზემო ბარღებიდან გაიტაცეს 35 ადამიანი.

12 მარტსვე სოფელ თაგილონში „ბოევიკებმა" ტარიელ გვარამია მოკლეს.

13 მარტს სამშვიდობო ძალების დისლოკაციის ადგილიდან გაიტაცეს მ.კვარაცხელია, დ.ნარმანია, ი.ჩერქეზია; აღნიშნული პირები წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს, ხოლო შემდეგ გვამები გალში ერთ-ერთ ქუჩაზე დაყარეს.

1995 წლის მარტის ბოლოს ბოევიკებმა სამშვიდობო ძალების სამხედროებთან ერთად გაიტაცეს ე.ბასარია, ვ.ჯოლოკავა, ვ.რამოკიძე, ზ.მარლანია, მ.შამუგია. მათი შემდგომი ბედი უცნობია.

2 აპრილს ვ.ადლეიბას მეთაურობით აფხაზი „ბოევიკები" მძიმე ჯავშანტექნიკის გამოყენებით თავს დაესხნენ სოფელ დიხაზურგს. ამჯერად, რუსი ეროვნების „ბოევიკმა" მერაბ გამსახურდია გამოასალმა წუთისოფელს. სოფლის 6 მცხოვრები კი გალის ციხეში გაგზავნეს.

27 აპრილს გულრიფშის რაიონში დახვრიტეს ო.აქუბარდია.

4 მაისს შეიარაღებული „ბოევიკები" თავს დაესხნენ სოფელ პირველ გალში მცხოვრებ ვ.მალაზონიას. მათ მოკლეს ოჯახის უფროსი და მისი მეზობელი ვ.მინჯია.

12 მაისს აფხაზმა ბოევიკებმა დახვრიტეს მ.ციკოლია, გ.პაპავა და ძმები გვაჯავები.

24 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყედან გაიტაცეს 4 მშვიდობიანი მოსახლე.

30 მაისს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ა.ციკოლია.

30-31 მაისს გალის რაიონში 100-მდე აფხაზი „ბოევიკი" შეიჭრა, რეჟიმის დარღვევის მიზეზით მათ 50 ქართველი დააპატიმრეს.

2 ივნისს 4 აფხაზი ეროვნების „ბოევიკი" თავს დაესხა გალელ რაულ შენგელიას ოჯახს. სახლის გაძარცვის შემდეგ რ.შენგელია ცეცხლში ჩააგდეს.

28 ივნისს გალის მილიციის თანამშრომლებმა ნ.ასლანდიას ტყვიებით დაუცხრილეს ფეხები.

30 ივნისს გალის მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს დაპატიმრებული მურმან წულაია. სასტიკი ცემის შემდეგ მურმან წულაიას ააძვრეს სკალპი.

5-6 ოქტომბერს „ბოევიკებმა" სოფლებზე ჭუბურხინჯსა და ნარჩეზე განახორციელეს ყაჩაღური თავდასხმები.

15 ოქტომბერს სოფელ სიდაში ძმები ლეჟავები საკუთარ სახლში დედის თვალწინ დახვრიტეს.

9 დეკემბერს ბოევიკებმა დააკავეს ოქუმელი ზვიად შონია, რომლის გვამი 29 დეკემბერს იქნა ნაპოვნი გალის სასაფლაოზე.

1996 წლის 5 იანვარს ბოევიკებმა მხეცურად გამოასალმეს სიცოცხლეს სოფელ შეშელეთის მკვიდრნი სანაიების ოჯახი (ორი 16-17 წლის ბავშვი).

7 თებერვალს სოფელ თაგილონში გალის მილიციის მუშაკებმა დაჭრეს გ.ხურცილავა.

ამავე დღეს აფხაზმა ბოევიკებმა სოფელ აჩიგვარაში 5 სახლი გადაწვეს.

20 თებერვალს ბოევიკები სოფელ სიდას დაეცნენ და 18 ადამიანი გაიტაცეს.

29 თებერვალს სოფელ ნარჩეში საკუთარ სახლში მოკლეს დ.ჯგერენაია. მისი ძმა ბ.ჯგერენაია გაიტაცეს.

10 მარტს ტყვე ბოევიკში გასაცვლელად აფხაზებმა მოიტაცეს 10 წლის თემურ ჯგერენაია.

17 მარტს ბოევიკებმა გაიტაცეს ავტობუსში მყოფი 15 ადამიანი. მათი ბედი ჯერჯერობით უცნობია.

აღნიშნული ფაქტების უმრავლესობა სამშვიდობო ძალების კონტროლს დაქვემდებარებული უსაფრთხოების ზონაშია ჩადენილი. ამ პერიოდში აფხაზებმა 8-ჯერ მოაწყვეს ქართველთა ნინააღმდეგ მასობრივი ტერორი; დაღუპულია 1027 ადამიანი, 450 უგზო-უკვლოდ არის დაკარგული, ბოლო დროის განმავლობაში ბოევიკებმა 6000-მდე სახლი გადაწვეს.

## სამშვიდობო ძალების შემადგენლობა გაიხრწნა

სამშვიდობო ძალები კარგად ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებად იქცა. რუსი სამხედროები უმოწყალოდ ძარცვავენ ისედაც გამწარებულ მოსახლეობას. სამხედროებს კავშირი აქვთ ადგილობრივ კრიმინალურ ბანდებთან, როგორც ქართულ (დათო შენგელია) ისე აფხაზურ (დაურ კირთაძე) მხარესთან. კრიმინალური ბანდების ხელშეწყობით სამხედროებს კონფლიქტის ზონიდან ფერადი ლითონები, ჯართი, თხილი და კაკალი გააქვთ. სამხედროები ჩართულნი არიან ნარკობიზნესში. მესტიის რაიონში შემდგომი რეალიზაციისთვის იღებენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ჩართულნი არიან ხე-ტყით ვაჭრობის უკანონო ბიზნესშიც.

საპოლიციო მანდატი, რომლის უფლების მინიჭებაზე ბოლო დროს ხშირი საუბარია, სამშვიდობო ძალებმა უკვე კარგა ხანია, რაც თვითნებურად აიღეს თავის თავზე, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ საკბილოს საშოვრად საკუთარი მოქმედების არეალი გააფართოონ. სამხედროები საკუთარი ნებით გადიან კონფლიქტის ზონიდან და აწყობენ პიკეტებს, რომლის დროსაც ასრულებენ როგორც საპოლიციო, ისე საგზაო ინსპექციის ფუნქციებს. ასეთ პიკეტებს ერთი რეალური მიზანი აქვს — მოსახლეობის ძარცვა. სამხედროები უნებართვოდ აჩერებენ და ჩხრეკენ ავტომანქანებს, ავტობუსებს და ფიზიკური შეურაცხყოფის თანხლებით ჩხრეკენ მგზავრებს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ დანაშაულებრივ საქმიანობას არათუ ხელს უშლის მათი ხელმძღვანელობა, არამედ ზოგიერთი ოფიცერი მონაწილეობს კიდეც უკანონო აქციებში. არავითარი წესრიგი შეიარაღებულ სამშვიდობო ძალებში აღარ არსებობს. გთავაზობთ სამშვიდობო ძალების შემადგენლობის მიერ ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტებს:

1994 წლის 4 ივლისს სოფელ თორსაში სამშვიდობო ძალების სამხედროებმა ამავე სოფლის მკვიდრი ვახტანგ ჩხაპელია მოკლეს.

1994 წლის 23 ივლისს სოფელ ანაკლიაში დისლოცირებული რუსი სამხედროების შტაბიდან ორი ტანკი ორი საათის განმავლობაში სოფელ ყულევს ბომბავდა. მთვრალი სამხედროები სცემდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

1995 წლის 14 აპრილს ზუგდიდის პოლიციაში სამშვიდობო ძალების დწვიზიის მეთაური, პოდპოლკოვნიკი ვოლკოვი მივიდა და სისხლის სამართლის დამნაშავის ვალერი გეგეჭკორის გათავისუფლება მოითხოვა. პოლიციის მხრიდან უარის თქმის გამო, მან საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა თავისი ბატალიონი და ზუგდიდის პოლიციას ალყა შემოარტყა, განაიარაღა მორიგე პოლიციელები და თან წაიღო მათი კუთვნილი 4 ავტომატი და ამდენივე პისტოლეტი.

1995 წლის 25 ივლისს ზუგდიდის პოლიციამ სამშვიდობო ძალების სომეხი ეროვნების სამხედრო მოსამსახურე დააკავა, იგი ნაძარცვი ქონების — ავეჯისა და უცხოური წარმოების ავტომანქანის ზუგდიდიდან გატანას ცდილობდა.

1995 წლის 14 აგვისტოს სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა დააკავეს პოლიციელი ნუგზარ კვარაცხელია, ემუქრებოდნენ აფხაზებისთვის გადაცემით. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ იგი გარკვეულ ხანს ჩვეულებრივ მაცივარში ჰყავდათ ჩაკეტილი. გაეროს მეთვალყურეთა ჩარევით ნუგზარ კვარაცხელია გაათავისუფლეს.

1995 წლის 19 აგვისტოს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი რუსი სამხედროები თავს დაესხნენ ნალენჯიხის პოლიციის განყოფილებას. სროლის შედეგად პოლიციის შენობა დაზიანდა. სამხედროების ჯავშანტრანსპორტიორი დაეჯახა ავტომანქანა „ჟიგულს", რის შედეგად, მძიმედ დაშავდნენ პოლიციის თანამშრომლები.

1995 წლის 21 მარტს ლენინაკანის ბატალიონის წევრებმა სოფელ ჯვარში საკონტროლო პოსტზე სოხუმიდან დევნილ თამაზ კოპალიანს ვაზ-2106 ავტომანქანა წაართვეს. ბატალიონის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა ციგანკოვმა დაზარალებულ კოპალიანს მანქანის გამოსასყიდი თანხა 8 მლნ. რუბლი მოსთხოვა. აფხაზეთის უშიშროების თანამშრომლების ჩარევის შედეგად ავტომანქანა პატრონს დაუბრუნდა.

1995 წლის მარტში ზუგდიდის პოლიციის თანამშრომელს — ყუფუნიას რუსმა სამხედროებმა ავტომატი წაართვეს და იგი მხოლოდ გამოსასყიდი თანხის (200 ათასი რუბლი) მიღების შემდეგ დაუბრუნეს უკან.

1995 წლის 25 ივნისსა და 12 ივლისს ზედა ენერის სამხედრო პოსტზე ლენინაკანის ბატალიონის წევრებმა ემზარ ბულიას 250 ათასი რუბლი და თენგიზ ფიფიას 50 ათასი რუბლი წაართვეს. თანაც, ცინიკურად დასძინეს, რომ, ვინაიდან ჩვენ საქართველოს ინტერესებს ვიცავთ, მოსახლეობამ ამისთვის გასამრჯელო უნდა გადაგვიხადოსო.

1995 წლის 27 ივლისს ანაკლიაში განლაგებულმა სამშვიდობო ძალების მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა ვ.კარელინმა იარაღის მუქარით კომერციული ფირმის დირექტორს ი.ჩაჩავას 600 ათასი რუბლი გამოსძალა.

1995 წლის 19 აგვისტოს სოფელ ჯვარში სამხედრო პოსტზე უშიშროების თანამშრომელს მუშკუდიანს ტაბელური მაკაროვის სისტემის პისტოლეტი წაართვეს.

1996 წლის 6 იანვარს ამავე პოსტზე რუსმა სამხედროებმა თბილისში მომავალი ავტობუსის მგზავრები გაძარცვეს.

1995 წლის 3 იანვარს მთვრალმა სამხედრო მოსამსახურეებმა ჯვარში ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო ჯიხურები დააყაჩაღეს.

აღნიშნული ფაქტები საკმარისად მოწმობს, რომ სამშვიდობო ძალები, მათი შემადგენლობა და ფუნქცია უნდა გადაისინჯოს. ამ ფორმით მათი აქ ყოფნა დადებითს არაფერს აძლევს ქართულ მხარეს. სავარაუდოა, რომ დადგება სამშვიდობო მისიის გაგრძელება-არგაგრძელების საკითხიც, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი ძნელად შეელევა გაეროსგან დაშვებულ ამ გამონაკლისს და რეალურადაც, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე ფიქრი რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლად პოლიტიკური ინფანტილობაა.

მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი ფაქტები ჯიუტად მეტყველებენ იმაზე, რომ ენგურზე განლაგებული სამშვიდობო ძალების საკითხი, უახლოეს მომავალში რუსეთ-საქართველოს ხელისუფლების განხჯის კატეგორიულ საგნად უნდა იქცეს.

ბესო კურტანიძე

„კავკასიონის“ ლიტერატურული გაზეთი

# არილი

13 ივლისი, 1996წ.






## ნობელის დღეები

II VII

გჟეგოჟ სტრუშიკი

კოლონური მოთხრობა

## რამდენიმე წლის წინათ

VI VII

როსტომ ჩხეიძე

ესეისტიკა

## ყ ო რ ე



V

## ლალი თოთაძე

პოეზია

☆ ☆ ☆

ის, ვინც სიტყვაზე ხელებს იჭრიდა,
სხვაგან თუ ჩვენში, ხომ გაჩნდა ქალად,
ვინც გაასახლა ღმერთმა მიწიდან,
მაგრამ ხუყველა ცა დაუმალა.
ის არ შობილა გრილ სალონებში
მთვრალი სიტყვის და სიზმრის ქაფიდან,
არც გზა ჰქონია, საკუთარ ცრემლში
ზის, სულ პირველად სადაც დაფრინდა.
დიდი ხანია ის აღარ მღერის,
ცხელ უდაბნოში ის მხოლოდ ყვირის,
იქ, მაღლა, ზევით, ასე გულწრფელი,
ქალში კი ყალბი და შებორკილი,
ვინც მოთქმით ტირის მირაჟის ხესთან,
რომელსაც მალე თვითონვე მოჭრის,
ვისაც ასტრალურ მიჯნურს და ზეცას
უმალავს სხვისი ასტრალი კოჭლი.





III



## ბასა ჯანიკაშვილი

პროზა

## ორი მოთხრობა

დაიბადა თბილისში 1974 წლის 24 მაისს.

1988-91 წლებში სწავლობდა თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში.

წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ,,დრამატურგის ხელოვნების'' ფაკულტეტი.

იბეჭდება პირველად.

IV V

საკვირაო საკითხავი

## მირიამ ალენ დეფორდე

მცირე დეტექტივი



## უნაკლოდ



ორი მამაკაცი ფრთხილი ნაბიჯით აუყვა დიდი სახლის უკანა კიბეს.

— ესეც ასე! — თქვა ფერგიუსონმა, როდესაც ჰოლში შეაბიჯეს. — ბარში შევირბინეთ, ორიოდე ჭიქა გადავხუხეთ. ეს საქმე შენ გეხება?

გერდნერმა გამანადგურებელი მზერა ესროლა.

— დიახაც რომ მეხება. ერთხელ კიდევ თუ განმეორდა მსგავსი რამ, თქვენთან საერთო აღარაფერი მექნება, სხვა ვინმეს მოვნახავ. ახლა კი თქვენს ოთახში წადით!

ქალი წუთიწუთზე უნდა მოსულიყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც აგვიანებდა. გერდნერი ნერვიულობდა.

ღამის პირველ საათზე მოახლოებული მანქანის ხმა გაისმა.

უმთვარო, ბნელი ღამე იყო; გერდნერს შუქი არ გამოურთავს, ფრთხილად გაალო კარი და ქალი შეუშვა. მერე თავად წაიყვანა მანქანა სახლის კუთხისკენ და სქელ ბუჩქებს მიაფარა.

ქალი ჰოლში ელოდებოდა.

— ყველაფერი მზადაა? — ჩვეული ქედმაღლობით იკითხა.

— თქვენ თუ გაამზადეთ რაც საჭიროა? — ასევე ქედმაღლურად გაეპასუხა გერდნერი.

ქალმა გაიღიმა:

— ფული გაინტერესებთ? მოვიტანე, — ნახევარი ახლა, ნახევარი შემდგომ.

— ასე რომ არ შევთანხმებულვართ, მადამ. ხვალ დილით ჩემს ბიჭებს უნდა გავუსწორდე. გადამიხადეთ, რაც საჭიროა და მორჩით საქმეს.

ქალმა ჯიუტად გააქნია თავი, გერდნერმა მუშტები შეკუმშა.

— რისა გეშინიათ? — შეკითხა — შანტაჟის? მე ყაჩაღი გახლავართ, საქონლის გაყიდვის შემდგომ მყიდველთან არაფერი მესაქმება.

— თქვენ არა, მაგრამ ის თქვენი დაქირავებულები?

— ეგენი მხოლოდ შემსრულებლები არიან, არაფერი აინტერესებთ გარდა იმისა, რომ საქმე მოამთავრონ და ფული მიიღონ. ამასთან, უნდა დაიხსომოთ, რომ ნებისმიერი მარცხი თქვენც შეგეხებათ; სწორედ ეს გვიცავს მე და თქვენ და, თუ გნებავთ, ყველას ერთად.

ქალმა უნადინოდ გახსნა თაკუხი ნიანგის ხელჩანთა.

გერდნერმა გულდასმით გადათვალა კუპიურები, შეკრულა დაუდევრად მიაგდო მაგიდაზე და კარი გამოაღო.

— ძილი ნებისა, მადამ, და მშვიდობით... ფარებს გზატკეცილამდე ნუ ჩართავთ...

იგი ზემო სართულისკენ გაემართა, საწოლზე გაიშოტა და მთელი რვა საათი ფეხგაუნძრევლად ეძინა.

დილით ყრუ-მუნჯმა დანლოპმა, კოატსსა და ფერგიუსონს სამზარეულოში გაუშალა საუზმე, გერდნერს კი სასადილო ოთახში ლანგარით მიართვა.

გერდნერმა ისაუზმა, კაბინეტში ჩაჯდა, ზარი დარეკა და შემსრულებლები თავისთან იხმო.

მან კრიტიკულად შეათვალიერა ორივენი, კოატსი, უფრო ტანსრული მამაკაცი, როგორც ყოველთვის მშვიდი და სიტყვაძვირი იყო. ფერგიუსონი კი ნერვიულობდა. გერდნერმა გაიფიქრა, რომ შემდგომში მისი შეცვლა იქნებოდა საჭირო. თუმცა, სადღეისოდ არა უჭირდა რა. მთავარი მაინც კოატსი იყო. კოატსი ყველაფერს მითითების თანახმად გააკეთებს, თუკი ფული საიმედოდ ექნა ჯიბეში დაგულებული.

დრო ბევრი ჰქონდათ; ჯეიმს უორლდ ბლეიკნი თორმეტის ნახევარზე ადრე არასოდეს მიდიოდა თავის ოფისში.

— აბა, ახლა კი გაუწქეთ(?) გზას. — ენერგიულად თქვა გერდნერმა, — შეკითხვები გაქვთ?

ფერგიუსონი ნერვიულად ტოკავდა.

— ალბათ, ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც სანჩესის შემთხვევაში...

— სრულებითაც არა, — მოუჭრა გერდნერმა, — გარდა ამისა, უნდა იცოდე, რომ არ შეიძლება ძველი საქმეების ხსენება.

ფერგიუსონმა უტაქტოდ ჩაიქირქილა. „არა, ამასთან საქმის დაჭერა აღარ ღირს, უნდა ჩამოიცილოს, მოკლედ, მოიშოროს რა..." — საბოლოოდ გადაწყვიტა გერდნერმა. „საინტერესოა, იმიტომ ხომ არ გახდა ასეთი, თავს უფლება რომ მისცა, ცოლი შეერთო? — გაიფიქრა გერდნერმა, — ქორწინებამ ამათი ხელობის მრავალი შესანიშნავი ადამიანი იმსხვერპლა".

უდიდესი სიფრთხილით, ფერგიუსონს რომ არ დაენახა, კოატსის მზერა დაიჭირა და მაგიდაზე, ორი შეკრულიდან ერთ-ერთში კიდევ რამდენიმე კუპიური შეაცოცა.

კოატსმა შეუმჩნევლად დაუქნია თავი.

— აი, თქვენი ფული, — თქვა გერდნერმა, — განრიგი იცით, ავიაბილეთები ხელთა გაქვთ, ო'კეი!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — გაიმეორა ფერგიუსონმა და ფული და-

V

# ნობელის დღეები

## ივან ბუნინი



1933 წლის ცხრა ნოემბერი... ბუზერი, კეთილი პროვანსი, ბებერი, კეთილი გრასი, ქალაქი, სადაც ჩემი ცხოვრების ათი წელი ფეხმოუცვლელად გავატარე... გვიანი შემოდგომის მშვიდი, მყუდრო, უღიმღამო დღე...

ამგვარი დღეები სამუშაოდ არასოდეს განმანყობს. მიუხედავად ამისა, როგორც ყოველთვის, დილიდან ახლაც ხანერ მაგიდასთან ვზივარ. ნასაუზმევს ისევ ვუბრუნდები მაგიდას, მაგრამ ფანჯრიდან ვხედავ, საცაა განვიმდება და ვგრძნობ — არა,არ შემიძლია მუშაობა. დღეს სინემაში დღის წარმოდგენაა — ჯობს სინემაში წავალ.

გორაკიდან, სადაც „ბელვედერი“ დგას, ქალაქში ვეშვები, გავცქერი შორეულ კანს, ზღვას, რომელიც ძლივს მოჩანს ასეთ დღეებში, ნისლით შებურულ ესტერელის ქედს და საკუთარ თავს ამ ფიქრებში ვიჭერ:

„იქ, სადღაც, ევროპის მეორე ბოლოში, იქნებ სწორედ ახლა წყდება ჩემი ბედი...“

მაგრამ სინემაში ისევ მავიწყდება სტოკჰოლმი.

ანტრაქტის შემდეგ, როცა რაღაც სისულელე — ეგრეთ წოდებული „ბემბი“ იწყება, ეკრანს განსაკუთრებული ინტერესით შევყურებ: თამაშობს კისა კუპრინა, ალექსანდრ ივანიჩის ქალიშვილი. და აი, სიბნელეში ჩემს გვერდით რაღაც ჩუმი ხმაური ისმის, მერე ვიღაც ხელის ფარანს ანთებს, ვიღაც მხარში ხელს მკიდებს და გახარებული ხმადაბლა მეუბნება:

— სტოკჰოლმიდან რეკავენ...

და უცებ მთელი ჩემი ნარსული ცხოვრება სადღაც ინთქმება.

საკმაოდ სწრაფად მივაბიჯებ შინისაკენ, მაგრამ გარდა სინანულისა, კისას თამაშს ბოლომდე ვერ ვუყურე-მეთქი, გარდა გულგრილი უნდობლობისა იმის მიმართ, რაც ესაა შემატყობინეს, არაფერს ვგრძნობ. თუმცა, რატომ არ მჯეროდეს, როცა შორიდანვე ვხედავ, როგორ არის გაბდღვრიალებული მუდამ მშვიდი, ამ დროისათვის მუდამ ნახევრად ჩაბნელებული, გრასის ფერდობებზე შეფენილ ზეთის ხეთა უდაბურ ბაღებში მიკარგული ჩემი სახლი და გული სევდით მეკუმშება...

რაღაც ახალი იწყება ჩემს ცხოვრებაში.

მთელი ის საღამო „ბელვედერში“ ტელეფონის ზარი არ წყდება. რეკავენ ევროპის ყველა დედაქალაქიდან რეკავენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, შორიდან რაღაცას ჩამძახიან, კარზე განუწყვეტლივ რეკავენ ფოსტალიონები, რომლებსაც ახალი და ახალი მისალოცი ტელეგრამები მოაქვთ მსოფლიოს ლამის ყოველი ქვეყნიდან, გარდა რუსეთისა! კარი ვაჟკაცურად უმკლავდება ათასი ჯურის მომსვლელს, ფოტოგრაფებისა და ჟურნალისტების იერიშებს... სტუმართა რიცხვი სულ უფრო მატულობს, ასე რომ, სახეებსაც ვეღარ ვარჩევ. ღელავენ, ხელს მართმევენ, რაღაცას მიმეორებენ, ფოტოგრაფები მაგნიუმის კაშკაშა შუქს შიგ თვალებში მინათებენ, ჟურნალისტები ერთმანეთს არ აცლიან, კითხვას კითხვაზე მაძლევენ:

— დიდი ხანია, რაც რუსეთი მიატოვეთ?

— ოციანი წლების დასაწყისიდან ემიგრაციაში ვარ.

— რუსეთში დაბრუნებას ხომ არ ფიქრობთ?

— ღმერთო ჩემო, აბა როგორ შემიძლია ახლა იქ დაბრუნება!

— მართალია თუ არა, რომ თქვენ პირველი რუსი მწერალი ხართ, ვისაც ნობელის პრემია მიენიჭა?

— მართალია.

— მართალია თუ არა, რომ იგი ოდესღაც ლევ ტოლსტოის შესთავაზეს, და რომ მან უარი თქვა ამაზე.

— არა, არ არის მართალი. პრემიას არასოდეს სთავაზობენ, პრემიის მინიჭება ფარულად ხდება.

— გქონდათ თუ არა რაიმე კავშირი ან „ნაცნობობა“ შვედეთის აკადემიასთან?

— არასოდეს და არავითარი.

— სახელდობრ, რომელი ნაწარმოებისათვის მოგენიჭათ პრემია?

— მე მგონი, ყველა ჩემი ნაწარმოებისათვის.

— ელოდით ამ პრემიას?

— ვიცოდი, დიდი ხანია კანდიდატებს შორის ვიყავი, რომ ჩემი კანდიდატურა არაერთხელ ყოფილა დასახელებული, ნამიკითხავს ჩემი ნაწარმოებების თაობაზე გამოთქმული მრავალი სასიამოვნო შეფასება, ისეთი ცნობილი სკანდინავიელი კრიტიკოსებისა, როგორიცაა BOOK, OSTERLING, AGRELL და, მქონდა რა გაგებული შვედეთის აკადემიასთან მათი ურთიერთობის შესახებ, ვვარაუდობდი, რომ ისინი კეთილად იქნებოდნენ ჩემს მიმართ განწყობილნი, თუმცა, ცხადია, ამაში დარწმუნებული არ ვიყავი.

— ჩვეულებრივ, როდის ხდება ნობელის პრემიის გაცემა?

— ყოველწლიურად, ერთსა და იმავე დროს — ათ დეკემბერს.

— თქვენც ალბათ ამ დროისათვის გაემგზავრებით სტოკჰოლმში?

— შეიძლება ცოტა ადრეც — მინდა, რაც შეიძლება მალე განვიცადო შორეული მგზავრობის სიამოვნება. ჩემი ემიგრანტული უუფლებობის და იმ სიძნელის გამო, რომელიც ჩვენ — ემიგრანტებს ვიზის აღებისას გვხვდება, მთელი ცამეტი წელიწადია ფეხი არ მომიცვლია აქედან. მხოლოდ ინგლისში ვიყავი ერთხელ. სწორედ ეს უფლების აყრა იყო ჩემთვის ყველაზე მძიმე და ძნელი ასატანი, მე ხომ ადრე სულ ვმოგზაურობდი.

— სკანდინავიის ქვეყნებში თუ ყოფილხართ?

— არა, არასოდეს. გიმეორებთ, სად და რამდენი არ მიმოგზაურია, მაგრამ სულ აღმოსავლეთით და სამხრეთით. ჩრდილოეთს მომავლისთვის ვინახავდი...

ასე მოულოდნელად წამიღო იმ მოხეთქილმა ნიაღვარმა, რომელმაც ჩემი ყოფა ნამდვილ ხიგიყედ აქცია — დილიდან საღამომდე წუთითაც არ მქონდა მოსვენება. გარდა იმისა, რაც ჩვეულებრივ ყოველდღიურად ხდება თითოეული ლაურეატის ირგვლივ, ჩემი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, იმის გამო, რომ იმ უცნაურ რუსეთს წარმოვადგენდი, რომელიც ახლა მთელი დედამიწის ზურგზე იყო გაბნეული, სხვა ლაურეატებისაგან სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში ვიყავი — სტოკჰოლმის გადაწყვეტილება ყოველმხრივ დამცირებული, შეურაცხყოფილი, დამცუნული ამ რუსეთისათვის ჭეშმარიტ ეროვნულ მოვლენად იქცა...

ოთხი დეკემბრის ღამეს მე უკვე შორსა ვარ პარიზიდან. ნორდ-ექსპრესის პირველი კლასის ვაგონის ცალკე კუპე... რამდენი წელია აღარაფერ ამბებთან დაკავშირებული ემოცია არ მქონია. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, გერმანიაში რომ შევედით. ერთთავად მატარებლის ბოლო ვაგონის ბაქანზე ვდგავარ და ვაგონის ქვემოდან მოჩანს დერეფანი, მთვარის მკრთალ შუქზე უკან-უკან მსრბოლავ, თოვლიყით შავთეთრად გადაჭრელებულ დაცემულ ვაკე ადგილებს და თეთრად ჩამოთოვლილ ხეებს გავცქერი — იმას, რაც ასე ძალიან ჰგავს და რაც ასე ძალიან მაგონებს რუსეთს.

დილით უკვე ჰანოვერში ჩავდივართ. თვალს ვახელ, ფარდას ვწევ — ფანჯარა ყინულითაა დაფარული, ყინვა ადევს რელსებსაც. ბაქანზე ბეწვის ქუდებსა და ქურქებში გამოწყობილი ხალხი ირევა — რამდენი ხანია ეს ყველაფერი არ მინახავს. რამდენი ხანია... და რა ცოცხლად შემომინახავს იგი გულში!

საღამოს ჩვენი ვაგონი გემ „გუსტავ მეხუთეზე“ გადაჰყავთ, გემი ნელა მიუყვება ზღვას შვეციის ნაპირებისკენ. ისევ ინტერვიუ, ისევ მაგნიუმის ფეთქებადი ნათება... შვეციაში ფოტოგრაფები და ჟურნალისტები ლამის ალყაში აქცევენ ჩვენს ვაგონს... მხოლოდ გვიან ღამეს ვრჩები, როგორც ინა, მარტო. ფანჯრებს იქით მრუმე სიშავე და ქათქათა სითეთრეა — თეთრი, მაღალი თოვლი და თოვლში ამოქოჩრილი უკიდეგანო ტყე. და ეს ყოველივე თბილ, გაღუღუნებულ კუპესთან ერთად ოდესღაც ნიკოლაევსკის გზაზე გატარებულ ღამეებს მაგონებს.

ლაურეატებზე პრემიის გადაცემა ყოველწლიურად ათ დეკემბერს, ზუსტად საღამოს ექვს საათზე იწყება.

იმ დღეს საძინებლის კარზე ადრიანად გაისმის კაკუნი — ნაბრძანებია, არა უგვიანეს ცხრის ნახევარზე გამაღვიძონ. სწრაფად ვდგები და უმალ მახსენდება — დღეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა... ჯერ დილის რვა საათია, ეს-ესაა ჩრდილოური გარიჟრაჟი იწყება. არხის ნაპირას ჯერ ისევ ანთია ფარნები, იგი კარგად მოჩანს ჩემი ფანჯრიდან... ჩემს წინაა სტოკჰოლმის ის ნაწილიც, რომელიც სანაპიროს ასწვრივ, ფერდობზეა შეფენილი — თავისი კომკეპით, ეკლესიებითა და სასახლეებით. იგი რაღაცით ისევე ძალიან ჰგავს პეტერბურგს და ისევე ზღაპრულად ლამაზია, როგორც ის გამთენიის და მზის ჩასვლის ჟამს. მაგრამ, დღეს ჩემი დღე ადრე უნდა დავიწყო — ათი დეკემბერი ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეა, დილიდანვე ცილინდრში უნდა გამოვეწყო, ქალაქგარეთ, სასაფლაოზე წავიდე, სადაც გვირგვინებით უნდა შევამკო როგორც მისი — ალფრედ ნობელის, ასევე მისი ძმისშვილის — არცთუ ისე დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ემანუილ ნობელის საფლავები. გუშინ ისევ ლამის სამ საათზე დავწექი, ახლა ვიცმევდი და ვგრძნობდი, როგორი მოშვებული და მოდუნებული ვიყავი. მაგრამ ცხელი, მაგარი ყავა, კრიალა, თომჩამდგარი დილა, ფიქრი ამ არაჩვეულებრივ ცერემონიალზე, რომელიც დღეს საღამოს მელის, ფრთებს მასხამს და ძალასა და ღონეს მმატებს...

ოფიციალური მოსაწვევები ლაურეატებს რამდენიმე დღით ადრე ეგზავნებათ. იგი იმ სიზუსტის შესაბამისადაა შედგენილი, რომლითაც ყოველგვარი შვედური რიტუალი გამოირჩევა:

„ბატონო ლაურეატებო, გთხოვთ, მობრძანდეთ ნობელის პრემიის მისაღებად 1933 წლის 10 დეკემბერს, საკონცერტო დარბაზში, არა უგვიანეს დღის 4 საათისა და 40 წუთისა. მისი უდიდებულესობა ხელმწიფე, მეფის სახლეულისა და მთელი სამეფო კარის თანხლებით, დარბაზში მობრძანდება ზუსტად ხუთ საათზე, რათა დაესწროს ზეიმს და თითოეულს პირადად გადასცეს კუთვნილი პრემია, რის შემდეგაც დარბაზი ჩაიკეტება და დაიწყება ზეიმი“.

არც დაგვიანება, არც მისვლა დანიშნულ დროზე თუნდაც ერთი წუთით ადრე, შვედურ წვეულებაზე სრულიად მიუღებელია. ამიტომაც, იმის შიშით, ერთიც ვნახოთ, უცებ პერანგის საკინძი დამეკარგოს, როგორც ეს ხშირად ხდება-მეთქი, ჩაცმას ლამის დღის სამი საათიდან ვიწყებ.

ხუთის ნახევარზე უკვე სახლიდან გავდივართ.

ლაურეატების საპატივსაცემოდ, აგრეთვე, მოახლოებული ქრისტეშობისა და ახალი წლის აღსანიშნავად, ქალაქი განსაკუთრებულად არის გაჩირაღდნებული. უზარმაზარი „მუსიკალური სასახლისაკენ“, სადაც ყოველწლიურად ხდება პრემიების გადაცემა, მანქანების ისეთი უსასრულო ნაკადი მიედინება, რომ ჩვენი მძღოლი, ბანჯგვლიან ბეწვის ქუდში გამოწყობილი ახალგაზრდა გოლიათი, გზას დიდი გაჭირვებით მიიკვლევს და მხოლოდ ის გვშველის, რომ ერთმანეთის მიყოლებით მიმავალი ლაურეატების კორტეჟის დანახვაზე პოლიციელი ყველა სხვა მანქანას აჩერებს.

ჩვენ, ლაურეატები „მუსიკალურ სასახლეში“ ხალხთან ერთად შევდივართ, მაგრამ ვესტიბიულში უმალ დანარჩენთაგან გვაცალკევებენ და საგანგებო შესასვლელით სადღაც შეგვყავართ, ისე რომ, იმას, რაც ესტრადაზე ჩვენს გამოჩენამდე დარბაზში ხდება, მხოლოდ სხვებისგან ვიგებ.

უზარმაზარი დარბაზი მართლაც გასაოცარია თავისი სიმაღლითა და სიდიდით. იგი ახლა ერთიანად ყვავილებითაა მორთული და ხალხით გაჭედილი — ასობით მარგალიტითა და ბრილიანტით დამშვენებული, საღამოს ტანსაცმელში გამოწყობილი ბანოვანით, ასობით ნაირფერადი ლენტით თუ სხვა საზეიმო ატრიბუტებით მკერდდამშვენებული, ფრაკში გამოწყობილი მამაკაცით. ხუთს ათი წუთი უკლია. შვეციის მთელი მინისტრთა კაბინეტი, დიპლომატიური კორპუსი, შვეციის აკადემია, ნობელის პრემიის კომიტეტის წევრები და მთელი ის მოპატიჟებული ხალხი უკვე ადგილებზე სხედან. ყველა გაჩუმებულია, დარბაზში ჩამიჩუმი არ ისმის. ზუსტად ხუთ საათზე ესტრადიდან ჰეროლდები ფანფარებით მონარქის მობრძანებას იუწყებიან. ფანფარების ხმას ჰიმნის უმშვენიერესი მელოდია ცვლის. იგი თითქოს სადღაც ზევიდან ილვრება და ტახტის მემკვიდრესა და სამეფო სახლის სხვა დანარჩენ წევრებთან ერთად შემოდის მონარქი, უკან ამალა და სასახლის კარი მოჰყვება. ჩვენ, ლაურეატი ამ დროს ჯერ ისევ იმ პატარა დარბაზში ვართ, რომელიც ესტრადის უკანა შესასვლელს აკრავს.

დადგა ჩვენი გასვლის დროც. ესტრადაზე კვლავ ფანფარები ახმაურდა და შვეციის იმ აკადემიკოსების კვალდაკვალ, რომლებმაც უნდა წარგვადგინონ და რეფერატები წაიკითხონ ჩვენს შესახებ, ესტრადაზე შევდივართ. პრემიების დარიგების შემდეგ ბანკეტზე მე პირველმა უნდა წარმოვთქვა სიტყვა ახლა კი რიტუალის თანახმად, ბოლოს გავდივართ ესტრადაზე. გავცავართ პიერ გალსტრემს, შვეციის აკადემიის მუდმივ მდივანს. გაოცებული ვარ დარბაზის მორთულობითა და ხალხმრავლობით, და კიდევ იმით, რომ ესტრადაზე შემოსული ლაურეატების სალამზე ფეხზე დგება არა მარტო დარბაზი, არამედ მონარქი, მთელი თავისი სასახლის კარითა და სახლეულით.

უშველებელია თავად ესტრადაც. იგი პანანა, ვარდისფერ ცოცხალ ყვავილებშია ჩაფლული. მარჯვნივ აკადემიკოსების სავარძლები დგას, მარცხნივ — პირველი რიგის ოთხი სავარძელი ლაურეატებისთვის არის განკუთვნილი. კედლებიდან შვეციის ეროვნული დროშებია საზეიმოდ გადმოკიდებული. სხვა დროს ესტრადას, როგორც წესი, იმ ქვეყნის დროშები ამშვენებს, რომელი ქვეყნის წარმომადგენლებიც ლაურეატები არიან. მაგრამ, რომელი დროშა მაქვს პირადად მე — ემიგრანტს? და აი, იმის გამო, რომ შეუძლებელია ჩემთვის საბჭოთა დროშის გამოფენა, ზეიმის მონაწილენი იძულებულნი არიან მხოლოდ შვეციის დროშები გამოფინონ. დამეთანხმებით, კეთილშობილი საქციელია!

ზეიმს ხსნის ნობელის ფონდის თავმჯდომარე, ესალმება მეფესა და ლაურეატებს და სიტყვას აძლევს მომხსენებელს, რომელიც მთლიანად ალფრედ ნობელის ხსოვნას და დაბადებიდან ამ წელიწადს შესრულებული ასი წლისთავის იუბილესადმია მიძღვნილი. ამას მოსდევს მოხსენებები, რომლებშიაც თითოეული ლაურეატი და მისი შემოქმედებაა დახასიათებული. ყოველი მოხსენების შემდეგ მომხსენებელი ლაურეატს სთხოვს, ჩავიდეს ესტრადიდან და უშუალოდ მეფის ხელიდან მიიღოს ნობელის პრემიის დიპლომი, საქაღალდე და ბუდეში ჩადებული დიდი ოქროს მედალი, რომლის ერთ

გაგრძელება მე—7 გვერდზე





# ლალი თოთაძე



## ვიონის მსგავსად

შევდივარ კუპრში, მითრთოლებს წამწამს
სუნთქვა ბნელეთის მკაცრი მხედრების,
როცა ვტირივარ ვიონის მსგავსად,
ვიონის მსგავსად როცა ვხელდები.
მე ვერ მოვმართე მის ჰანგზე გული
და ასე მინდა ბნელში განვქარდე,
რადგან, ვით ხსოვნა ატავისტური,
ქალობის სევდა მომყვა აქამდე.
ვიონის მსგავსად იმედის მგმობელს,
როცა მიჭრიან სუყველა ბაგირს,
საკრალურ ხმებს და საკრალურ გრძნობებს
მე ვკოცნი სულის მხურვალე ბაგით.
ცა ყრუა, მაგრამ ეს მომწონს სწორედ,
რომ ყრუა ისე, ვით ბეთჰოვენი,
დროს დაუნდობელს სულის სიშორემ
რადგან აჯობა, მე გეთხოვებით.
ბედნიერებავ, ვერ გეკედლები,
არა ვჭირდები, ვიცი, შენს დილას,
ვიონის მსგავსად როცა ვხელდები,
მის სანახავად კუპრში შევდივარ.





***

გაწყდა კავშირი ძვირფას გულებთან,
თვალებს ვიხსენებ ბნელსა და ცვრიანს,
მზესავით ჩადის საუკუნე და
დაკემსილსა და მღვრიე ცას ცვლიან.
კვლავ ვუძლებ დიდი იმედის ჭკნობას
და ვუცდი ახალ ქართა შემოსვლას,
ჩვენი დროის მწველ და შიშველ გრძნობას
ოდესმე სიტყვით მაინც შევმოსავ.
ოდესმე, ახლა კი კვდება მითი,
მზეც რახანია ცრემლით დახველდა,
დღეს უკვე სულში სულს მიცვლის სკვითი
სულის და ძვლების გადასაცვლელთან.
ახალი დროის უნაზეს ნისლებს
მე ღია ვხვდები ტერფით თხემამდე,
რომ არ დამშვიდდეს გული და სისხლი
— ჩემი წითელი ვარდი თხევადი.
მე, სკვითის ცხენზე უკულმა მჯდარი,
გავცდი ყაყაჩოთ — მინდვრების პირებს
და ჩემს ცივ გზაზე, როგორც ნიშანი,
სულის ნაფლეთი მიმოვაპნიე.
შორს კი მიცდიან ლანდი ქედების,
მთვარე ბნელისგან მგზავრთა დამხსნელი
და ვარსკვლავები, როგორც თევზები,
ახალ ზეცაში გადასახსმელი.



## სიკვდილის შემდეგ

დავთმე სიცოცხლე, უმწეო და ვერაფრის შემძლე,
ცოდვა და მადლი ამიწონეს სასწორის პინით
და გველის ტანით ნაალერსებ ბალახის მკერდზე
მიწამ მაკოცა შენს მაგივრად სატირის პირით.
სხვა სამყაროსი, სხვა ვარსკვლავის, სხვა მზის და სხვა ცის,
მკვდართა სიზმრებში მოძებნილი სახით და ტანით,
სულ ბოლო კოცნით დაღდასმული ქალის და კაცის
ჩვენ აქ ვიყავით ამ მიწაზე ორი ასტრალი.
ვნახე, ვიგრძენი წუთისოფლის მეხი და რისხვა,
ბოლოს კი თვალი გავუსწორე მიწის მზეს მტირალს;
მანდ, თქვენს მხარეში, ჩემს სიკვდილზე ვილაცამ გითხრა,
შენ შეძრწუნდი და მკვდარი გული წუთით მეტკინა.
კარგად ვიცოდი ჩემთან ყოფნა როგორ გინდოდა,
ჩემთვის ართმევდი ოქროს წუთებს საწუთროს ბეჩავს,
წლები დამჭირდა მივმხვდარიყავ, რომ იყო გრძნობა
ნამდვილი, მაგრამ შენს მაგივრად სიკვდილი შემრჩა.
ბოლოს სიზმარიც, მოზეიმე და მხიარული,
ვეღარ შემიძლვა ცხადში, როგორც ძმობილი მთვრალი,
ჩვენს შორის ჩადგა წითელ-ყვითელ ფრთებით მორთული
ცხოვრება, როგორც ინდიელის გრძნეული თავი.
შენ მაპატიე, შენთვის ქვეყნად ვერაფრის შემძლეს,
რომ ამიწონეს დიდი შუქი სასწორის პინით,
რომ გველის ტანით ნაალერსებ ბალახის მკერდზე
მიწამ მაკოცა შენს მაგივრად სატირის პირით.



***

სასოწარკვეთა — ზურგის ქარი და
ნაცნობ ბინაში ყოყმანით შესვლა,
ზღვის სუნი წუთით,
შეგრძნება ძველი: სანაპირო ფერით ჰგავს შროშანს,
სხეულზე — გემზე არ მიჩანს ჯვარი,
არცერთი ქვეყნის გერბი და დროშა.
გამოფხიზლება ყავის ინტიმით,
ღამის ვარდების ძველისძველი ჩრდილი ჭიქაში შავი წერილით,
უავაზე — ტკბილი ფერადი სიტყვა,
კვნესით ნათქვამი და გაწელილი.
ზოგჯერ შხეფები საოცნებო ხმელთაშუა ზღვის,
მცირე ზმანება საფრანგეთის და იტალიის,
მასპინძლის დიდი, ხარბი თვალებით
მლაშე შხეფები ევროპიდან ჩამოტანილი.
არისტოკრატიზმს ძველებურად ამშვენებს ვარდი,
მასთან შეხების ძებნა, როგორც გვალვაში ჩრდილს,
ნათლიად — ანდრონიკაშვილი,
ბებიად — დადიანი,
მეგობრად — ციციშვილი,
სულის ცისკრზეც კი გამქრალია სუყველა ეჭვი,
გვარებში ვარსკვლავების ციმციმი,
სისხლი — დაბეჭდილი წყვდიადის ბეჭდით.
შროშანისფერი ნავსადგურიდან
მოულოდნელი გაისმის ზარი
მტანჯველი ფიქრის,
ოკეანეა კარების იქით,
ხოლო მასპინძლის სავარძელი — ელექტროსკამი,
ოკეანეა ოკეანის იქით,
უცხო ოკეანე, რომელსაც შევეხე,
რომლის ქაფისგან ისევ ქმნიან უთვალავ შროშანს,
რომლის თვალწარმტაც სანაპიროზეც
დავტოვე ჩემი სამშობლოს დროშა.
მე ვუვები იმ ოკეანეზე,
მე ვმღერი იმ ოკეანეზე ახალ სიმღერებს,
ქალის ტანიან მომღერალ თევზზე
— საკუთარ თავზეც ვუვები, მაგრამ არვინ მიჯერებს
სხეული — გემი, ზღვის, დროშის და გერბის გარეშე,
სასოწარკვეთა — ზურგის ქარი
და გარინდება მარილიან ჰაერს როს ვუნოსავ,
ხოლო თვალებში სიკვდილის წამი
და საკუთარი სულის სუნით უცბად გონს მოსვლა.
და ვიტრინებში თურქული ტორტები,
მშიერი ბავშვების თვალებით მორთული.
ახლოს პარლამენტი — თეატრი ანტიკური
მზის შორეული ღიმილი მქრქალი,
თბილისი, თავისი ნებით, დაპრილი ხოხობით,
დედაქალაქის ტახტიდან წამომდგარი.



# ბასა ჯანიკაშვილი

# „თითით საჩვენებელი“

თითით საჩვენებელი ხალხი ძალზე ცოტაა და სხვებისგან გამოირჩევიან. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ არსებობენ ისინი, ვისაც რაღაც შეემთხვა და ჩვენ, ვინც ამბობს, რომ მათ რაღაც შეემთხვა.

ასე ვფიქრობდი მანამ, სანამ მე არ დამატყდა თავს ისეთი რამ, რამაც თითით საჩვენებელი გამხადა. უჩვეულო კი მართლაც არაფერი მომხდარა.

კარებზე ზარის ხმა მომესმა. საჭვრეტში არ გამიხედავს, თუმცა კი ყოველთვის ვიყურები ხოლმე. საშუალება რომ მოგცენ, საათობით შეიძლება დააკვირდე სტუმარს, სულმოუთქმელად რომ ელის კარების გაღებას. შენ მას ხედავ, ის კი — ვერა. საინტერესოა, რას აკეთებს იგი მაშინ, როდესაც ჰგონია, რომ ვერ ხედავენ. ამავე პრინციპით ხელმძღვანელობდა ის ხალხი, ვინც თავიანთ პერსონაჟებს (უმეტესად ზღაპრებში) ათასგვარ საგნებს აჩეჩებდნენ ხელში: ჯადოსნური სარკე, წყლით სავსე ჯამი... ხოლო კარებში გაბურღული საჭვრეტი ლიტერატურული გადმონაშთია, თანამედროვე ჯადოსნური სარკე. გაცილებით საინტერესოა იცოდე, ვინ გელოდება კარებს მიღმა, მანამ კარებს გააღებ. კარგია, როდესაც მოვლენებს (თუნდაც უმნიშვნელოს) რამოდენიმე წამით წინ უსწრებ.

კარები გავაღე. დავინახე მამაკაცი — საშუალო ასაკის, მაღალი, მოსული, არა მსუქანი. მკითხა, თუ შეიძლება შემოვალო. მართალი გითხრათ, კითხვა ვერ გავიგე და ვკითხე, რა ნებავდა. არ მეგონა, ასე თუ გალიზიანდებოდა. ლაბადის ჯიბიდან დანა ამოიღო, კისერზე მომადო, ხელით ოთახში შემაგდო და კარები მიხურა. აი, ახლა კი ვიფიქრე, რომ თავს დამესხნენ-მეთქი. გამიკვირდა, არ მეგონა, ასე ჩვეულებრივად თუ მოხდებოდა ეს. ყაჩაღი ჩემს წინ დგას, მძარცვავს და თითქოს არაფერია ამაში არანორმალური.

რაც არ უნდა იყოს, ბოროტმოქმედი ბოროტმოქმედია და თავდასხმა ყოველდღე არ ხდება, მაგრამ მე არ შემშინებია, უბრალოდ გამიკვირდა.

„აი, თურმე როგორი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ისეთი არაფერი, რომ თითით საჩვენებელი გახდე“. — გავიფიქრე.

ქურდმა დანა კისერზე მომადო და ფული მომთხოვა. მე ვუპასუხე, რასაც ვფიქრობდი. ვუთხარი, რომ სხვანაირად წარმომედგინა ჩემს სახლში ქურდი. ყაჩაღი გაბრაზდა და ყბაში მითავაზა. მე არ გავბრაზებულვარ. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ თვითონ ბოროტმოქმედიც არ იყო ისეთი, როგორიც წარმომედგინა.

... შევეცადე ამეხსნა, რომ მან არასწორედ გამიგო, რომ ხალხში დადის ისეთი აზრი, როდესაც თავს დაგესხმებიან, თითით საჩვენებელი ხდები და სხვებისგან გამოირჩევი, ხოლო სინამდვილეში, თავგამოსაჩენი ამაში არაფერია. შემოხვედით, ფულს მთხოვთ, დანით მემუქრებით და მალე წახვალთ. ეს არის და ეს. მართალი გითხრათ, მიხარია კიდეც: აქამდე მეგონა, რომ თავდასხმისთვის მზად უნდა ყოფილიყავი, დაგეცვა კაცური ღირსება, ალელვებულიყავი... სინამდვილეში კი, ისეთი არაფერი ხდება. უბრალოდ შემოხვედით და მორჩა. კარგია, ახლა ჩემზეც თითით აჩვენებენ და ვინ იცის, ეგებ კარგ საცოლესაც გამოვკრა ხელი. დროა უკვე... რეალურად კი არაფრის გაკეთება არ არის საჭირო. ფული გინდათ? ახლავე.

ფული გამოვიტანე და ქურდს გავუწოდე.

იმედი მაქვს, არავის ეტყვით, რომ ყველაფერმა ასე ჩვეულებრივად ჩაიარა. როგორც წესი, დაზარალებული და თავდამსხმელი მის შესახებ არ ლაპარაკობენ. ორივენი ჩუმად არიან. რომ წახვალთ, მილიციას გამოვიძახებ. მილიციაზე მეზობლებიც შეიყრებიან და საქმეც აგორდება. ამის თქმა იყო და კიდევ ერთი მუშტი მომხვდა ყბაში. მეტკინა და წავიქეცი, მაგრამ ტკივილზე მეტად გამიკვირდა. რატომ? რის გულისთვის? დიდი ენა რომ გაქვსო — მიპასუხა; შემდეგ წიხლი მითავაზა, საყელოშიც მწვდა, ფეხზე წამომაყენა და ხელი მკრა. უკან გადავვარდი, მაგიდის კუთხეს თავი დავარტყი, წავიქეცი. გავიგონე, როგორ გაალო ქურდმა კარები და გაიქცა.

გონება დავკარგე. იატაკზე გაწოლილმა თვალების გახელა ვერ გავბედე. ვფიქრობდი, რომ გონება მქონდა დაკარგული, ამიტომ თვალების გახელა არ შეიძლებოდა. ვიცოდი, რომ შემეძლო თვალების გახელა, მაგრამ გონებადაკარგული კაცი აბა, თვალებს როგორ გაახელს, გამოდის, რომ გონება არ ჰქონია დაკარგული. მე კი გონება მქონდა დაკარგული და თვალებს არ ვახელდი. ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის მთავარი.

აი, ვიწექი ასე გონებადაკარგული, თვალებდახუჭული და ვფიქრობდი, რომ ეს-ესაა თითით საჩვენებელი გავხდი. ამიერიდან, ყოველი მეზობლის დანახვისას ვიფიქრებდი, რომ მეზობელი ჩემზე ფიქრობს, რომ მე თითით საჩვენებელი ვარ; ამიერიდან, ყოველი მეზობელი ახლა ჩემზე ისე ფიქრობს, როგორც ერთი სართულით ზემოთ მობინადრე მეზობელზე ვფიქრობდი, როდესაც შარშან ყაჩაღები დაადგნენ თავს.

ახლა ყველაფრის უფლება მაქვს (რა თქმა უნდა, ფარგლებს არ უნდა გასცდე), ახლა მეზობლები შემოვლენ, მილიციაც მოვა. რა აუცილებელი იყო ქურდისთვის მეთქვა? მაგრამ სინანულის დრო არ არის. თუმც, არც ვნანობ. ბოლოსდაბოლოს, ქურდის სახლში შემოსვლა ჩემზე არ იყო დამოკიდებული. ეს მე არ გამომიწვევია.

უ ე ჭ ვ ე ლ ი ა, ქურდს სართული აერია, თორემ ჩემსავით გამოზომილ კაცთან არ შემოვიდოდა.

უნდა ვაღიარო, რომ გულაღმა წოლა მსიამოვნებდა. დიდი ხანია, საბაბი არ მქონია, ასე არხეინად წამოვგორებულიყავი, უსაქმოდ, უდარდელად, უზრუნველად, როდესაც იცი, რომ შენთვის ყველაფერი შენს გარეშეც გაკეთდება...

ამის უფლება, დამეთანხმებით, მქონდა. ათასში ერთხელ, ყაჩაღი სახლში გივარდება, გცემს და თავს არ მისცე უფლება, არხეინად წამოგორდე და კარგად დაისვენო ასეთი ორომტრიალის შემდეგ? საინტერესოა, მომცემს თუ არა მილიცია ცნობას, რომ სტრესგამოვლილი, თითით საჩვენებელი მოქალაქე ვარ? ამ ცნობას სამსახურში წარვადგენდი, იქნებ ერთ საგზურსაც გამოვკრა ხელი პროფკავშირის ხაზით?.. კარგი აზრია. რა ხანია ქალაქიდან არ გავსულვარ.

მოვლენები იმაზე სწრაფად განვითარდა, ვიდრე მეგონა. პირველად კარის მეზობელი შემოვარდა, სანდომიანი სახის ქალბატონი, დაახლოებით იმ ასაკის, მარია სტიუარტმა თავისი ქმარი რომ მოწამლა. შემოვარდა, დამხედა და გაიქცა, მაგრამ მჯეროდა, რომ ასე უპატრონოდ არ დამტოვებდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ქალის იმედი ყოველთვის მქონდა. იმავე წუთს დაბრუნდა, თან დედამისი შემოყვა, თვითონ კი კვლავ გავიდა. ოთახში მე და მოხუცი მეზობელი დავრჩით.

სიმართლე უნდა ითქვას, ის ქალი რომ არა, არ ვიცი, როდემდე ვიწვებოდი გონდაკარგული. მალე მილიციაც მოვიდა, მეზობლებიც შეიყარნენ. ისლა დამრჩენოდა, თვალები გამეხილა.

ტყუილი საერთოდ არ მიყვარს. მოვყევი ისე, როგორც მოხდა. მეზობლები თავს მიქნევდნენ, მითანაგრძნობდნენ, მეტსაც გეტყვით, სულგანაბულნი უსმენდნენ ჩემს ნაამბობს. ეს უდიდესი სიამოვნება იყო ჩემთვის. მათ უმეტესობას არ ვიცნობდი, ზოგიერთი მათგანი სალამსაც არ მაძლევდა. ახლა კი ყველანი ერთად ჩემს წინ იყვნენ. დიდი სურვილიც რომ მქონოდა, ამდენ კაცს თავს მაინც ვერ მოვუყრი-
დი.

თავმდაბალი კაცი ვარ და ჩემი უშ...
როების შესახებ კრინტი არ დამიძრავს
მეზობელმა ქალბატონმა კი — ...
ლად რომ შემოვიდა — რატომღაც ...
გამოიდო და ცოცხლად დარჩენა ...
დარჩენა სწორედ რომ ჩემი დიდი ვაჟ...
ცობის დამამტკიცებელ საბუთად გამო...
ყენა. მე არ შევეკამათე.

...რომ არა ჩემი ვაჟკაცური ხასი...
რომ არა ღირსება, ვინ იცის, ვიქნები...
თუ არა ცოცხალი. და მაგალითად ...
დაყაჩაღების და გაძარცვის ფაქტები მო...
იყვანა, სადაც დაზარალებული ყოველ...
ვის ცოცხალი და უვნებელი როდი რჩე...
არ შეიძლებოდა არ დავთანხმებულიყავ...

და მაშინ მივხვდი, რომ მხოლოდ მე...
ზობლების შეკრება და მათი ყურადღებ...
მიპყრობა საკმარისი არ იყო. მადლიერე...
ბის თვალით შევხედე მარია სტუარტს ...
მომეჩვენა, რომ იგი საოცრად ჰგავდა ...
— და თხრობა განვაგრძე. ასე რომ ...
არ ვამბობდი, რომელ დეტალსაც არ ...
ვეძიე, ყველაფერი ჩემს ვაჟკაცობაზე მ...
ტყველებდა. ეს ჩემგან დამოუკიდებლა...
მოხდა. მე არც მიფიქრია. გულში კი, ...
თქმა უნდა, მესიამოვნა. მთავარი კი წ...
მელოდა.

ამ ხნის კაცი ვარ და დედაჩემის ს...
ვდილის შემდეგ ხეირიანად ჩემზე არავ...
უზრუნია. აქ კი, სანდომიანმა ქალბატონ...
ცივი საფენები დამადო სახეზე. გამოირ...
ვა, რომ ჭრილობებთან ტკივილს ვგრძნობ...
პერანგი აეწიე და მუცელზე ოდნავ მ...
ზედაპირული დაზიანება აღმომაჩნდა. მ...
ზობლები თავაზიანად სახლისკენ გავ...
ტუმრე, მილიცია ცნობას დამპირდა ...
მალე წავიდა.

ამდენი წელია ეს ქალბატონი ჩე...
მეზობელია და ხეირიანად არც კი ვიცნო...
ბდი. დამადო ყველა ზომისა და შესაძლ...
ბლობის საფენი, მომიარა, მომხედა. მე ...
ვფიქრობდი, რომ ახლა მისთვისაც თით...
საჩვენებელი გავხდი.

უცებ გონება ამენთო, თავში სისხ...
ამივარდა და კარის მეზობელი სადამ...
ფინჯან ჩაიზე შემოვიპატიჟე. ეს კი, ნა...
დვილად ჰეროიკული ნაბიჯი იყო. ...
ამას ვხვდებოდი, მაგრამ უკან არ დამ...
ხევია, რადგან ჩავთვალე, რომ იმ დღ...
მქონდა ამის უფლება. ყველას, თუნდ...
ერთხელ ცხოვრებაში, უფლება აქვს ...
აკეთოს რაღაც გამომრიცხავი და უც...
ური. ქალბატონი დამთანხმდა და საღ...
მომდე დამტოვა.

მარტოხელა კაცი ვარ. ზრუნვა ...
ოჯახური სითბო მე არ გამომიცდია. რო...
დესაც ასეთ უჩვეულო საქციელს ჩად...
ხარ, განსაკუთრებით მზად უნდა იყო. ...
იმდენი წვრილმანია, რომ ძნელია ერ...
ერთი ბოლო არ დაგეკარგოს. ვინც იც...
რა არის ოჯახური სითბო, ის ერთი თავ...
მაღლა დგას მათზე, ვინც ეს არ იცი...
ამიტომ, ასეთი ხალხი თითით საჩვენე...
ლები არიან. მათზე ამბობენ — ამან ც...
ლი მოიყვანაო, ამას ბავშვი შეეძინაო, ა...
კარგი ოჯახი აქვსო და ა.შ.

ასეთი თითით საჩვენებელი ხალ...
ცოტანი არიან და სხვებისგან გამოირჩევი...
ან.

სულმოუთქმელად ველოდი მის შ...
მოსვლას. საინტერესოა, რას გრძნო...
ადამიანი, ვინც ოჯახის შექმნას აპირე...
ამ ნაბიჯის გადადგმას დიდი გამბედაო...
სჭირდება. ისეთი შთაბეჭდილება გრჩე...
რომ არსებობენ ისინი, ვისაც ოჯახი ჰყ...
და ჩვენ, ვინც ამბობს, რომ მათ ოჯ...
აქვთ. ეს უბრალო საქმე არ არის; გაცი...
ბით სერიოზულია, ვინემ ბევრს ჰგონ...
ასე ვფიქრობდი მანამ, სანამ მე არ შემ...
თხვა ისეთი რამ, რამაც თითით საჩვენე...
ლი გამხადა.

1996





# სასაფლაოზე

სასაფლაოზე რომ ჩაივლი, სურათები თვალს გაყოლებენ, გაკვირდებიან. ზოგი გიღიმის, ზოგიც გიბღვერს... ზოგი ქედმაღლურად, დამცინავი გამომეტყველებით გიცქერს — თითქოს გეუბნებოდეს: ეი, ტუტუც, მანდ რა გინდა, აქეთ მოდი. საფლავის ქვაზე ამოტვიფრული სურათით მიხვდები, ვინ რა გზით განვლო ცხოვრება.

მძიმედ მიიკვლევ გზას და მეგობრის ნაცნობი თვალები გხვდება. ის აქ არის; არსად წასულა. აქ არის და გიცდის, როდის გაიხსენებ და მის სანახავად მიხვალ. თვალები მინაბული და მომღიმარი. სწორედ ისეთი წარმოგედგინა სიკვდილთან ერთად.

— როგორა ხარ, ძმობილო, რამე ხომ არ გიჭირს? მე არა მიშავს... ძნელია აქ ყოფნა.

ქვაზე ჩამოჯდები და გააბოლებ. მეგობარს გახედავ. ის კვლავ გიღიმის.

— რა გაცინებს? — პასუხს ვერ იღებ და სიგარეტის ქაჩვას განაგრძობ. სიჩუმე აუტანელი ხდება. მეგობრის მეზობლებს შეათვალიერებ. ყველანი აქ არიან, ერთად.

შენს ყურადღებას შორიახლოს მდგარი ქანდაკება იქცევს. უზარმაზარ ქვაზე პატარა ბიუსტი დგას. ქვა იმდენად დიდია, რომ თვალში გხვდება. მოქანდაკეს, ალბათ, მამაკაცის ბუმბერაზი პიროვნების წარმოჩენა სურდა. სახეზე მკაცრი ნაკვთები, პატარა კეხიანი ცხვირი და უზარმაზარი თვალები. ეს ქანდაკება არსად იყურება; ბრმაა. როგორც წესი — მელოტია. რამდენი იშრომა, გააკეთა, ითავკაცა, რომ შემდეგ დიდ ქვაზე პატარა თავი დაედო.

აქ მოსასვლელად ყველა თავის გზას ირჩევს: გრძელს და მოკლეს...

მეგობარი კვლავ მე მიყურებს და მიღიმის.

— მარტო როცა ვარ და შენზე ვფიქრობ, ბევრი მინდა გითხრა. აქ მოვდივარ და წასვლა მინდება. რატომ? ჩვენი კონტაქტი შეუძლებელია. შენ სულ სხვაგან ხარ. აქ კი იმიტომ ჩანხარ, რომ გაგვახსენდეს, რომ აქ არა ხარ. როდესაც ვერ გხედავ — ჩემთან ხარ, როდესაც გხედავ, ვიცი, რომ შორს ხარ...

— მაინტერესებს, ახლა რას აკეთებ? რას ფიქრობ? მე რას ვიზამდი შენს ადგილას? არ ვიცი. ალბათ იმას, რასაც შენ აკეთებ. მიყურებ და მიღიმი. ალბათ მეც დამტოვებენ საფლავის ქვაზე მომღიმარს, მინაბული თვალებით. დაველოდები მეგობრის მოსვლას. ვიქნებოდი ასე გულღია და ყველა გამვლელს თვალს გავაყოლებდი. ვეტყოდი: გამარჯობა, ძმობილო, როგორა ხარ? მე არა მიშავს... ძნელია აქ ყოფნა. ერთადერთი გართობა მნახველების თვალიერებაა. მე უტიფრად ვითვლი ყველა ცრემლს, რომელიც აქ ეცემა. ყველანი ამით არიან გართულნი. შემდეგ, როდესაც მოსაღამოვდება, ვიკრიბებით და ვანგარიშობთ, ვინ უფრო მეტი ცრემლი დააგროვა.




ჩვენ ყველაზე უკეთ ვიცით ერთმანეთის საიდუმლო, ვიცით, ვინ რა ცხოვრებით მოვიდა. ახალმოსული თავდაპირველად თავს ცუდად გრძნობს, ბევრს არავის იცნობ; ცოტაც და ახალი წევრი გვემატება. აღმოჩნდება, რომ მის შესახებ ყველაფერი იცი, შენზე მან — არაფერი და შვებას გრძნობ. შეჩვევას ეჩვევი.

სურათებთან ვმორიგეობთ. ცხრილი ისეა შედგენილი, რომ სასაფლაოს ყველა წერტილს ვხედავთ. თუ სადმე ვინმეს მნახველი მოუვიდა, ხასწრაფოდ ჩავდივართ ქვევით და ახალ ამბავს ვატყობინებთ. ეს დიდი სიხარულია. ამ დროს ამოვდივართ და საკუთარ ადგილებს ვიკავებთ. აქ დასამალი არაფერია. მნახველებს ვესაუბრებით, ვამშვიდებთ, ვაწყნარებთ. მხოლოდ ერთია, იმ სახის გამომეტყველებით გვიხდება საუბარი, რომელიც ჩანს.

საღამოობით ერთად დავსხდებით და ვყვებით დღის ამბებს. ხშირად მოსაყოლი არ არის. აქ ურთიერთობა ფიქრების საშუალებით ხდება. რასაც ფიქრობ, იმას ამბობ, ამიტომ რაიმეს დამალვა შეუძლებელია.

სხვა რა გითხრა?.. ჩვენ ახლა უამრავი თვალი გვიყურებს და საუბარი ესმით. ასეთი წესია. თუ ვინმეს დაინტერესებს, მოგვისმენს, თუ არა და აგერ ხედავ, კიდევ ერთი მნახველი, იმათ მოუსმენს... შენ გგონია, ყოველთვის ღიმილის ხასიათზე ვარ? ეს თქვენი ნიღბების თამაშს ჰგავს. როდესაც მომღიმარი ნიღაბი გაქვს მორგებული, ჰგონიათ რომ შენც იცინი; თუ სევდიან ნიღაბს გაიკეთებ, ფიქრობენ, რომ სწუხარ. აქაც ასეა. ჩვენი ნება რომ იყოს... ალბათ ისევ თქვენ მოგანდობდით ნიღბების ამორჩევას. ნიღბები იშვიათად გვჭირდება. მხოლოდ მაშინ, როდესაც სანახავად მოდიან. დაე, ისეთი გააკეთეთ, როგორიც თქვენ გინდათ რომ ვიყოთ.

შენ კი ამბობ, რომ თვალს გაყოლებთ, რომ გიღიმით და გიბღვერით, რომ აქეთ გეძახით... აბა, ჩვენი რა ბრალია, თუ ერთის ეშინოდათ, მეორეს კი პატივს არ სცემდნენ. თვალს კი იმიტომ გაყოლებთ, რომ სხვა საქმე არა გვაქვს.

რას გაჩუმებულხარ? შენი ფიქრი არ მესმის... კეთილი, ვიყოთ ასე ჩუმად. სხვა რა საქმე მაქვს...

შეხედე ამ ქალს, გვერდით რომ ჩაგიარა. დიდი ხანია არ გამოჩენილა. ალბათ რაღაც მოხდა. ისე არ მოვიდოდა. ძალიან გამოიცვალა... ერთი სული მაქვს გავიგო, რაშია საქმე. მეზობელო..! თუ იცი, რა მოხდა?.. შენ წადი, ახლავე მოვალ... აბა, მე წავედი. შენ მაინც ჩუმად ხარ. გამოიარე. ეს დიდი პატივია, აქ ცრემლებს ვაგროვებთ. მე სულ აქ ვარ, თუ არა და დამიძახებენ.

სასაფლაოზე რომ ჩაივლი, სურათები თვალს გაყოლებენ. გეჩვენება, რომ ყველა შენ გიმზერს. ნელი ნაბიჯით მიუყვები საფლავებს შორის დატოვებულ ბილიკს და იბლვირები.

---

## როსტომ ჩხეიძე

ესეისტიკა

# ყ ო რ ე




არა, რაღაც გრანდიოზულის ხილვას არც მოველოდი.

ვიცოდი: ნანგრევებად ქცეულიყო.

წინასწარაც მაფრთხილებდნენ, რათა ძალიან არ განმეცადა დაშორიშორება რეალური სურათის და ფიქრში ბევრჯერ წარმოსახულისა.

— ის არ დაგხვდება, შენ რომ გგონია.

მერე რა, ბახტრიონისეული იერი ხომ მაინც გადარჩებოდა.

აღარც გორის ციხე იყო ისეთი, დონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატიდან რომ გვახსოვს, ცისკენ ატყორცნილი ქონგურებით, მაგრამ რაც დარჩენილა, ძველ მონახაზს მაინც აღადგენს იმ გოროზი კედლებისა, ლამის შეუვალი რომ გამხდარიყო. თუმც შეუვალობა რას დააოკებდა, ისე ჯიქურ მისტანებოდა სვიმონ ხელი, გარს უტრიალებდა და გააფთრებული ანყდებოდა, რათა ქართლის გული გამოეხსნა. გორის ციხის დაბრუნება დიდ იმედოვნებას ჩაუნერგავდა ქვეყანას და ქონგურებზე გადმოკიდებული ბაირაღი თავისუფლების სიმბოლოდ დაადგებოდა ქართლს.

თუნდა სანახევროდ ჩამოქცეული კედლებიც კიდევ უფრო ,აღჭივებს ნარმოსახვას და რომანტიკული შარავანდით გასხივოსნებული გორის ციხე ზევით და ზევით მიილტვის კასტელისეული ნახატის სწრაფვით.

აღარც სურამის ციხეა ისეთი, ლეგენდა რომ აზვიადებდა, თითქოს მომცრო უფრო ჩანს, ვიდრე იმ გადამწყვეტი ბრძოლის მოგების საწინდარი, თქმულება როგორც გვარწმუნებდა. ნუთუ ეს ციხე დაიფარავდა ქვეყანას!.. დაიფარავდა: დიდია სიმართლე ლეგენდისა, თაობების მეხსიერებაში რომ გამოტარებულა და ის სიცხოვლე შეუძენია, მარადისობის ნამცეცებად რომ გროვდება.

თუნდა დამცრობილი ხატი დღევანდელი სურამის ციხისა კიდევ უფრო აღვივებს წარმოსახვას, ცრემლად დაღვრილ კედელსაც ვხედავთ, მოქვითინე დედის აჩრდილსაც, და რომანტიკული შარავანდით გასხივოსნებული ციხე მართლა ოცნების სურათთა ორეულად გვესახება.

ბახტრიონის ნანგრევებიც უთუოდ ასევე აღიტაცებდნენ წარმოსახვას და ფიქრში ბევრჯერ გაელვებული სურათები იმ რეალური, ხელშესახები განცდით აღივსება, ურომლისოდაც ოცნება ფრთას ისე ვერ შეისხამს.

მაგრამ ეს რა არის...

სიზმარია თუ... კოშმარული სიზმარია თუ...

სადაა, სად ვეძებო თუნდ ნანგრევები, თუნდაც საძირკვლის განათხარი... ერთი უშნოდ ნამორჩენჩხილი ყორეა, ისიც ნაშთი, და გაოგნებული აღმოაჩენ, ერთბაშად როგორ შეემსხვრევა ზედ შენი ფანტაზია, შენი ფიქრი და ოცნება... ეს ქვაღორღი რანაირად შემოინახავს იმ დიდი ამბოხის ხსოვნას... ვეღარც თუშური საგმირო ლექსები გშველის, ვეღარც აკაკი წერეთელი და ვეღარც ვაჟა-ფშაველა... არამცთუ ვეღარ გშველიან, კიდევ უფრო აღრმავებენ ნაპრალს რეალობასა და წარმოსახვას შორის და თავზარდაცემული ნანობ, ნეტა სულ არ ამოგსულიყავიო.

— იქ, ქვემოთ, სამლოცველო დგას. აი, ფერდობს ჩავყვეთ და...

არა, აღარაფერი აღარ გინდა. ან სამლოცველომ რა უნდა გიშველოს. ისიც რაღაც საცოდაობა დარჩებოდა. რომც არა, ამ უბადრუკ ყორეს სულს ვერაფერი შთაბერავს და, მის იდუმალ ჩურჩულს ვინ ჩივის, იმასაც დაგავიწყებს, პოეტურ სტრიქონებს ღრმად რომ ჩაენერგა შენს არსებაში.

პოი, როგორ შეშფოთდები, მართლა საბოლოოდ არ წაიშალოს მეხსიერებაში ჩაბეჭდილი ბახტრიონის ალების სურათები. და გაჩქარებული ეშვები გორაკიდან.

არხაიდან ხმა, არხით ძახილი!..

უკან არაფერი გეწევა.

ანკი რა შეიძლება ჩაგებღაუჭოს?

— ის საცოდავი ყორე, გადმოშლაზე რომ არის მიმდგარი და ალბათ უკანასკნელ ნაშალ-ნაფუძვლებსაც მალე გაზიდავენ?

ბარემ გაზიდონ, ბარემ მოასწორონ იქაურობა, კვალიც რომ აღარ დარჩეს და ნულარც ვახსენებთ, აქ ერთ დროს ბახტრიონის ციხე რომ მდგარა, ათასგვარი ჭირ-ვარამის გადამტანი და იმ დიადი დღის მომსწრე და შთამაგონებელი.

ჯობს, ისევ ფიქრებში გვეხატებოდეს ამაღლებული სურათები.

რეალობა ოცნებამ შეცვალოს.

იმედგაცრუება უფრო ძნელია.

არა, ასე მაინც რამ დაანგრია და მოახნორა, ასე როდის გაფანტა ქარმა და წვიმამ?

გაქვავებული ტყე, წინარეისტორიული ხანის ნაშთი და ანაბეჭდი, გაცილებით უკეთ არის შემონახული. თუ არ იცი მისი არსებობა, შეიძლება ისე ჩაუარო გვერდით გოდერძის უღელტეხილზე მიმავალმა, კლდეებისაგან ვერც გაარჩიო, მაგრამ თუ წინასწარვე ელოდები მასთან შეხვედრას, შეუძლებელია გულაჩქროლებული არ მიეახლო. არა, ნამდვილად არ არის ტინის კლდე, რადგანაც ჩამონაფშხვენი ხის ქერქად შეგრჩება ხელში. გეტყვიან: უფრო აშკარად ეტყობოდა ძველთუძველესი ტყის იერი, ის ოდინდელი ტოტები, ერთი მაინც განსაკუთრებით, ისე იყო გადმოშვერილიო. მაგრამ სახსოვრად რომ გაზიდეს მათი ნაფშხვენები, ტოტები დაილია, დაილია და ბოლოს კვალი სულ წაიშალა. ის, რაც ბუნებამ გადაარჩინა და შემოგვინახა, ასე გაქრა ჩვენს თვალწინ და ვაითუ გაქვავებული ტყე მთლიანადაც მიჰყვეს, თუ ნაკრძალად არ ვაქციეთ. ასეა თუ ისე, როგორც ამჟამად გამოიყურება, შინაგანი სიერცით არის აღვსილი, მიწიდან ამოტყორცნილის შთაბეჭდილებას ტოვებს და იწვევს იმ მოწიწებასა და კრძალვას, უძველესი ხანის ძეგლები რომ უნდა იწვევდეს.

ის ყორე კი ნეტა რა განცდას გამოიწვევს, გარდა სიბრალულისა, ირონიისა და უარყოფისა?

ვაი, რომ ვერავითარს.

მაშ, ნულარც გაიხსენებ, ვითომ არც გინახავს.

ასე გიჯობს და კარგია, რომ გამოექეცი.

ვაი დედასა! ბახტრიონიც საქართველოს სიმბოლოდ გესახებოდა და რას მოესწარი, ეს რა იხილე...

თუმცა... თუმცა... გესახებოდა რა, ახლა კი აღარ გესახება? ის ყორე შენ რა გგონია, გადმოშლაზე მიმდგარი?.. თავზარი და სირცხვილი ერთად რომ დაგატყდა და გაგთანგა, ახლა, ცოტა სული რომ მოითქვი, ნუთუ სხვა გულისთქმა არ მოიწევს ზემოთ? — ძარღვებში გივლის და ჩაგჩურჩულებს, ჯერ ნაბიჯი შეანელეო... რომ გარბოდი, სად გარბოდი... რომ გაექეცი, რას გაექეცი...

რაკიღა შარავანდი შემოძარცვია, დაკნინებულა და დიადიდან უბადრუკობად ქცეულა, შენი აღარ არის? განა შენ არ უნდა აღადგინო? განა სამუდამოდ უნდა დაანებო ეშმას?

სადამდე ირბენ, შენს არსებას ხომ მაინც ვერ გაექცევი...

მგონი სამლოცველო გიხსენეს.

არა, რა მგონი, მართლა გიხსენეს.

შემთხვევით არასდროს არაფერი გადარჩენილა.

იდუმალი ხმაც ესა ყოფილა. მიბრუნდი და ჯერ ის მოძებნე, სამლოცველო. ჯერ იქ დაემხე პირქვე, ჯერ იქ შე... მონანიების სიტყვები და იქიდან ... ფერდობს.

... ყორე დაგხვდეს ხელუხლებელი, გაზიდვითაც ჯერ არ გაეზიდოთ, ...რობითაც ჯერ არ გამქრალიყვეს... გელოდეს... შენ გელოდეს...

შენი ყორე... შენი ბახტრიონი...

13 ივლისი, 1996წ.

# გჟეგოჟ სტრუმიკი

ჯინ ნაშუადღევს დაბრუნდა. მოყავისფრო დასტა მოიტანა. მკაზმავი უძვირფასეს წიგნებს აძლევდა ყდაში ჩასასმელად. წიგნების მფლობელთა საგანგებო მოთხოვნისამებრ, ამ ტომების ჩვეულებრივი, ნაბეჭდი წიგნებივით გამოყენება მკაცრად იკრძალებოდა. ყდისა და ქაღალდის ფერის, ყუის მომრგვალებული თუ ბრტყელი ხაზის, ასოების შერჩევასა და თავფურცლის გაფორმებას რამდენიმე წლის, ხანაც ათეულ წლობით ფიქრი სჭირდებოდა. ხან კვირეები, წუთები წყვეტდა ყველაფერს. ესენი არ იყო ჩვეულებრივი წიგნები, რომლებითაც ბინებს ვრთავთ და მარტოობის წუთებს ვილამაზებთ (მთელის ნაწილები. მათი დახმარებით გვიხსნია საკუთარი თავი გადამწყვეტ წუთებში).

დასტა მაგიდაზე დადო. მოპირდაპირე მხარეს ჩამოჯდა და კოხტად შეკრულ, ფურცლებს თვალი გაუშტერა. იცოდა, სად ჰქონდა შენახული სასურველი ხელსაწყოები. ხელიც არ გაუტოკებია. წიგნები წინ ეწყო. ზედ თითი დააკაკუნა, ქაღალდზე, უნდა გადაეფურცლა... არ ჩქარობდა. რომ მოეპარა და ანტიკვარისთვის მიეყიდა, პროცენტს ჩაუთვლიდა და ღიმილით ეტყოდა მადლობას. არც კი გადაფურცლავდა, მისცემდა და გაემგზავრებოდა (ჩაფიქრების ჟამს: რამდენი წელი, წამი, გუშინ არის ბრმა, უაზრო მოგზაურობა. შემიძლია უღრან ტყეს შევეხიზნო. მაღალი ხეებით მოზღუდული, წყნარად ჩავიყურსო. ხანაც ხავსმოდებული კოლბოხიდან კოლბოხზე ხტუნვა-ხტუნვით გავიქცე. და ვერც ვერავინ გაიგებს, რომ აქ ვარ. მაგრამ სწორედ ეს არის გულისმომკვლელი.

არავის ეცოდინება. დიდი-დიდი, ვინმე მიხვდეს, ჰა და ჰა — იეჭვოს. დანამდვილებით კი არავის ეცოდინება. ახლაც ვერავინ ხვდება, რომ უკვე ტყეში ვარ).

გზიდან გადაუხვია. მძიმე ჩემოდანი მიჰქონდა. ხესავით მაღალ ღვიის ბუჩქთან შედგა. წვრილ წიწვებს შორის რაღაცამ გაიბრწყინა. ტოტები გადასწია, ხშირ ბალახში უამრავი ლაქებიანი თეთრი კვერცხი იდო. შეხების ცდუნებას ვერ სძლია. ხელი ჩასჭიდა. ალბათ, მაგრად მოუჭირა. ნაჭუჭი გასკდა. სითხე ხელზე გადაესხა. ხელისგული ცხვირსახოცით გაიწმინდა. სინანული იგრძნო, უფრო მეტად კი ზიზღი იმ თხევადი ნივთიერებისადმი, რომლისგანაც ფრინველი წარმოიქმნება.

(უნდა წავიდე წინ თუ არა?) მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო. მზე ოთახში ახლა მხოლოდ ჩასვლის წინ თუღა შემოიხედავდა. წიგნები ხელუხლებლად ეწყო. (არა, მაინც რისთვის წამოვიწყე ეს მოგზაურობა. ბევრი დრო მაქვს თუ? მეხსიერება სხვაგვარად აღბეჭდავს მოვლენებს). მაგიდასთან ახლო მიდგმულ სკამზე იჯდა. ყოველ ამოსუნთქვაზე გრძნობდა საგნის შეხებას — უჯრის გასაღები სხეულში რბილად ერჭობოდა. ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ მოვლენების მსვლელობას წინ ველარაფერი აღუდგებოდა. შეეძლო ღვიის ერთი ბუჩქიდან მეორისაკენ გაქცეულიყო, ესაუბრა პანისთან, მიერბინა დედიკოსთან. შეეძლო შეეგროვებინა ყველა ფოტოსურათი, რომლებზეც აღბეჭდილი იყო მისი სიარული, ჩაჩოქება, ველოსიპედით სეირნობა, სიცილი, ტირილი: აგერ, მამას აუყვანია ხელში; აგერ, კარავს შლის, დახაფლავებიდან ბრუნდება, გოგონას ეხვევა, წიგნის აკინძვაზე მუშაობს და აი, ესეც, ამჟამინდელიც — როცა მაგიდასთან ზის და საქმეს თავს ვერ აბამს. ნეტა, რისთვის წამოიწყო ეს მოგზაურობა — ისე არ მოხდეს, მოვლენებმა ერთხელ და სამუდამოდ დაგვიქნიონ ხელი. არც ერთ სახეს, არც ერთ სურათს არ გამოტოვებს. ეჭვი კი ეპარება, რომ მოახერხებს შეწყვეტილი აზრების მოხელთებას.

სწორედ იმ წუთას წინ ნახვლა გადაწყვიტა. უმალვე გახცდა ღვიის ბუჩქს, რომელსაც აქა-იქ კვერცხის გულისა და ცილის წვრილ-წვრილი ძაფები შეხმობოდა. ტყის სიღრმეში შევიდა. ჩემოდანი ზედ მოცვის ბუჩქზე დადო. შარვლის ჯიბეში უცნობი ჰოლანდიური ქალაქის გერბით დამშვენებული მუყაოს ჩემოდნის პაწია გასაღები ედო. გერბი ამას წინათ იყიდა ვიწრო მაღაზიაში, სადაც ფისტოწვანისა და მომლიმარე ძაღლების გვერდით შორეული ქალაქების ფერად-ფერადი გერბები ეწყო. მოგვიანებით ვიღაცამ ახსნა ჰოლანდიის ქალაქი. გერბს ჩემოდნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭებინა და ხაზი გაესვა გამოვლილი გზის იდუმალებისთვის. მთავარი თვითონ კი არ იყო, მთავარი იყო გასაღებით დაკეტილი ღრმა ჩემოდანი. გასაღები გადაატრიალა, ჩემოდანი გახსნა და ერთხელ კიდევ იპოვა საგულდაგულოდ, ჩემოდნის ძირში დამალული შოკოლადის ფილა. შეეძლო ყველასთვის გაენაწილებინა, მაგრამ ძალზე ღრმად იდო და თან მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი. „ეს მხოლოდ შენ შეჭამე, როცა ძალიან დასუსტდები... მხოლოდ შენ... მეტის მოცემა არ შემიძლია". ფილა ჩემოდნის ძირიდან ამოიღო. თავს აღუთქვა, რომ ყოველდღე მხოლოდ ორ-ორ პაწია ნატეხს შეჭამდა. ახლა პირველი ორი მოტეხა. თითები შემდნარ შოკოლადში ჩაეფლო. ნერწყვთან შერეული შოკოლადი სწრაფად დნებოდა. ნება-ნება ყლაპავდა, სიამოვნებას იხანგრძლივებდა. ჩემოდანი გასაღებით დაკეტა. „ახლა იგი უკვე მთელი აღარაა".

— რა გქვია?

შემკრთალმა თავი უმალვე მიაბრუნა იქით, საიდანაც ხმა მოესმა. გულამოვარდნილმა კრინტიც ვერ დაძრა. მის წინ ტანმაღალი ქალი იდგა.

— რა გქვია-მეთქი! ყველანი შენ გელოდებით. შორს წასვლის ნება არავისთვის მიმიცია... ან ეს ჩემოდანი აქ საიდან გაჩნდა? ბარგი ხომ ცალკე მანქანით მოაქვთ.

— ჩემი თვითონ წამოვიღე. არავის დაუშლია. — როგორც იქნა, გული საგულეს ჩაუდგა.

— მერე ფისის საქნელად ჩემოდნიანად დადიხარ?

— არ მიქნია.

— ქენი... მეტად აღარ გაჩერდებით.

— უკვე ვქენი. — შეაწორა ნათქვამი.

— თუ ასეა, წამოდი. სწრაფად, სწრაფად. მომეცი ჩემოდანი.

ვიწრო გზაზე მწვანე ავტობუსი იდგა. ფანჯრებიდან ბავშვები იყურებოდნენ. ქალს კვალდაკვალ მიჰყვებოდა.

— ჩაჯექი! — ქალმა კარი გამოაღო.

— ჩემი ჩემოდანი?

— შენი ჩემოდანი ცალკე წამოვა.

— მე რომ იმაში...

— რა გიდევს? თუ რამის ამოღება გინდა, შეგიძლია, ახლა ამოიღო...

ავტობუსში შენი ჩემოდნის ადგილი არ არის.

— არა... უკვე აღარ მინდა. — და ჯიბეში გასაღები მოსინჯა. არ მივცემო, გაიფიქრა.

ბიჭს მიუჯდა. არდადეგებზე ქალაქიდან დასასვენებლად მიმავალი ბავშვების შეკრებაზე გაიცნო ამ რამდენიმე საათის წინ.

— სად იყავი? — ჰკითხა ბიჭმა.

— ტყეში. — მიუგო.

— ვერ გიპოვნე... დაინახე?

— რა უნდა დამენახა?

— არ დაგინახავს?

— შენც ხომ არ დაგინახავს.

— სწორედაც რომ დავინახე, თან სულ ახლოდან.

— არაფერიც არ დაგინახავს. იტყუები.

— შენ თავად არ დაგინახავს... ისიც არ იცი, როგორ შვებიან. — მედიდურად თქვა ბიჭმა, თუმცა სახეზე ყოყმანი დაეტყო.

— რას შვებიან? — დინჯად იკითხა. უნდოდა თავადაც გაეგო, რაც ბიჭმა იცოდა. ნაჭუჭში მოქცეულ ჩიტზე ფიქრობდა.

— გოგოები როგორ შვებიან.

— რას? — ისე იკითხა, თითქოს ამით სურდა ყველაფრის გაგება.

— ხომ ვთქვი, რომ არაფერი იცი და მხოლოდ თავი მოგაქვს. — გასწორდა, რამდენიმე სანტიმეტრით გაიზარდა. — მოფსი?

— დიახ. — მიუგო სწრაფად. იცრუა, ვერ მოასწრო. ბიჭმა კი ალბათ მოასწრო.

— მე კი დავინახე, გოგოები



# რამდენიმე წლის წინათ



როგორ ფსამენ. — ბუწრულა ლოყები კიდევ უფრო დაებერა. ახლა უკვე თავისუფლად, ხმამაღლა, ყველასთვის შეეძლო ამის თქმა.

— მეც დავინახე. — გულისფანცქალით ელოდა, რას ეტყოდა ბიჭი.

— ისევ სტყუი. მე სულ ახლოდან ვნახე... თუ არავის ეტყვი, გაჩვენებ, ვინც იყო.

— მითხარი. — ცნობისწადილი კლავდა.

— იცი, ვინ დავინახე... ქალი.

— გოგო? — ჰკითხა ქშენით.

— რა თქმა უნდა... ისიც გოგოა.

— მე რომ მომაცილა?

ბიჭმა თავისდაქნევით უპასუხა (რბილ, მსუქან სხეულქვეშ ბავშვს თითქოს ძვლებიც გაეზარდა).

— რას მაწვები! — უთხრა და განზე გაიწია.

— კიდევ რაღაც უნდა გითხრა. ყური მომნიე.

ბიჭის სიახლოვე აღიზიანებდა. აღარაფერი ესმოდა. ენის წვერით შოკოლადის გემოს ეძებდა. ლოყაზე მარჯვენა ხელის თითი მიიჭირა. საგულდაგულოდ შეამოწმა მიწეპებული შოკოლადის ნარჩენი... ჩამოწუწული კვერცხის გული... (ჩიტი ველარ გამოიჩეკება. განადგურებული ჩიტის გამო ტკბილ გემოს დანაშულის გრძნობა შეერია).

— ნეტა ყველა კვერცხიდან იჩეკება ჩიტი? — ხმამაღლა ჰკითხა საკუთარ თავს. სხვა რამეზე ფიქრი არც შეეძლო. ბიჭი განზე გაიწია.

— არ გინდა გითხრა, რა დავინახე?.. რა ცუდია, ერთად რომ ვზივართ.

— ნეტა ყველა კვერცხიდან თუ იჩეკება ჩიტი... მაგალითად, თუ ცალკე იდო, ბუდეში კი არა, ბუჩქში. — ახლა უკვე ბიჭს ჰკითხა. სიტყვები რომც ვერ გაეგონათ, ხმის კილოთი მიხვდებოდით, რა იკითხა.

— ბოთე ხარ.

მცირე დუმილის შემდეგ ბიჭი ისევ მისკენ მიიწია. — თუ ბუდეში არ დევს, ჩიტი არ გამოიჩეკება... გინდა გითხრა... რა დავინახე?

— კი მაგრამ, ხომ არიან ისეთებიც, ბუდეს რომ არ აკეთებენ.

— გინდა თუ არ გინდა?

## კოლონიური მოთხრობა

ბავშვებმა ავტობუსში სიმღერა წამოიწყეს. სარკმლებს მიღმა მდებარე დაბლობი ნება-ნება გადასხვაფერდა (ღვიის ბუჩქის სიღრმეში დანახული მარგალიტი. ჩემოდნის ფსკერზე გარინდული ნალებიანი შოკოლადი. ჯიბეში შენახული გასაღები).

— მინდა, მიუგო.

— ხომ არავის ეტყვი? დაიფიცე.

— გეფიცები... მერე მეც რაღაცას გეტყვი.

— არც მე ვეტყვი ვინმეს. ისე კი, მაინც მგონია, რომ ფიცს გატეხ, — ბიჭმა ირგვლივ მიმოიხედა. ტუჩები მის ლოყას მიუახლოვა, თითქმის ყურზეც კი შეახო. ჰაერი ათრთოლდა. თავი განზე გასწია. ბიჭს გაერიდა.

— აქეთ მოიწი, არავინ გაიგონოს.

— მელიტინება.

ახლა, თითქოსდა შეთანხმებულები, ერთმანეთის სიახლოვეს გაერიდნენ.

— იცი, რა დავინახე... რა დავინახე და... — ბიჭი წამიერად დადუმდა, მერე კი სულმოუთქმელად წარმოთქვა: — რა და სისხლს როგორ ფსამენ...

მათი სხეულები საკმაოდ ახლო იყო ერთმანეთთან. ბიჭისთვის არც შეუხედავს გაგონილის გამო (სისხლიანი სურათის წარმოდგენა ბუჩქში ნაპოვნი ჩიტის კვერცხივით მრავლისმეტყველი იყო. რატომ ვარ დამნაშავე, თუ ჩიტი მართლა არ მომიკლავს...)

— იტყუები.

— არ ვიტყუები. გეფიცები... როცა ჩვენ მარცხნივ გავიქეცით, გოგოები კი მარჯვნივ, ყველაზე წინ გავვარდი, დავიმალე. მინდოდა დამენახა, როგორ ჩაცუცქდებოდნენ. სწორედ ამ დროს პანი გამოჩნდა და პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა. მეგონა, მხედავდა. წამოდგომა დავაპირე, მაგრამ სწორედ ჩემს წინ გაჩერდა. შარვალი გაიხსნა. პირი სავსე მქონდა მიწითა და ხმელი წიწვებით. ჩახუჭუჭებული თმა დავინახე... მერე კი სისხლი... სისხლიანი ჩვარი. ჩვენ რომ გვაქვს ყვითელი, ისეთი კი არა.

— იტყუები რაღაცას; ერთხელ მეც დავინახე, მაგრამ სისხლი არ შემიმჩნევია.

— ასე ყველას კი არა აქვს. არაფერი გესმის.

— ეგ ალბათ ავადმყოფობაა.

— არაფერიც... ჩემი თვალით დავინახე, პანიმ როგორ...

— რა ქნა?

— როგორ გააკუა.

ამ სიტყვის, ყველაზე მეტად გაუგებარი სიტყვის გაგონებით გაოგნებულმა ბიჭს გადახედა. თვალებში ერთბაშად სითბო მოაწვა.

— ჯერ აკუებენ და მერე სისხლი გამოსდით. — ისე თავშეუკავებლად იმეორებდა, თითქოს მოსაუბრეს თვალნათლივ უნდა დაენახოს სურათიო. — შენ არაფერიც არ იცი... მე კი დავინახე, პანიმ როგორ გააკუა...

— დაინახე?..

— დავინახე... სისხლი...

ერთმანეთს გაერიდნენ (ირგვლივ მიმდინარე ამბებს გამოთიშულნი). მგზავრობის ბოლომდე ერთმანეთისთვის ხმა აღარ გაუციათ. ბიჭი უფროსებთან გადაჯდა, უკანა სკამზე... მის გვერდით კი ცარიელი, ჩაზნექილი სკამი დარჩა. ნახიამოვნები იყო ბიჭის მეზობლობით. ხანდახან სურვილი წამოუვლიდა, ისევ დაბრუნებულიყო და ნათქვამი ხელახლა გაემეორებინა. რამდენჯერმე უკანაც გაიხედა. ბიჭი უფროსებთან ერთად იცინოდა. „ეგებ ეს საიდუმლო სულაც არ არის".

ჩიტი მოკლა და წვეთი სისხლიც არ დაღვრილა. სახლში, სანაგვე ვედროში, არაერთხელ დაუნახავს დედის სისხლიანი ბინტები. არასოდეს არაფერი უკითხავს. საპირფარეშოს თეთრ ნიჟარაში სისხლიანი წრეც შეუნიშნავს. უმალვე სახელურს ჩამოსწევდა. რას ნიშნავდა ის, რაც ბიჭმა დაინახა? სულ ახლოდან დაინახა? ამქვეყნად ყველა არსებაზე უსუსურად იგრძნო თავი. ალბათ შოკოლადიც იმიტომ მისცა დედამ, რომ არაფერი სცოდნოდა. მისი მიტოვება უნდოდა. აქაც მარტო გამოუშვა. ნეტა მოკვდებოდეს. ნეტა მეც მოვკვდებოდე. ამიერიდან სულ მარტოდმარტო ვიქნებიო, ფიქრობდა. თან ჩიტიც რომ გავანადგურე!).

ვეებერთელა, ლობემორებულ აგარაკზე ცხოვრობდნენ. განიერი აივნის წინ ბებერი წაბლის ხე იდგა. მისი ჩრდილი ზედ კიბის საფეხურებს ეცემოდა. საფეხურზე ისე ჩამოჯდებოდა,

13 ივლისი, 1996წ.

## პოლონური მოთხრობა



როგორც სახლის წინ, ქუჩის ჩამყოლ მაღალ, ვიწრო კიდეზე. ქუჩის გაღმა პარკი იყო, რომელსაც ცაცხვის ხეივანი ჩაუყვებოდა. აგარაკის უკან ჩირგვნარი მოსდებოდა ბილიკებს და ოდინდელი ბოსტნის კვლები თანდათანობით წაეშალა. ტოტებდალეწილ ხეებს შორის მოყვითალო-ნაცრისფერი კარუსელები და რკინის მილების კიბე-ჟირაფი მოჩანდა. ბავშვები ჭყივილ-ჭყივილით ჩამოცდებოდნენ ჟირაფს კისერზე. მხოლოდ ნაბლის ხე, რომელსაც რამდენიმე კაცი თუ შემოაწვდენდა მკლავებს, მხოლოდ ის ნაბლის ხე იზიდავდა თავისი მეტად მშვიდი სიცოცხლით. ფიქრობდა. აყურადებდა. შესცქეროდა მის მწვანე სფეროს. განცხრომით შეაფიჯებდა ხოლმე ბებერი ხის ჩრდილში. ყოველთვის სხვადასხვა მხრიდან ისე, რომ ხის ტანს დაეფარა პანის გამოხედვისაგან. იმ ქალზე უკვე რაღაც იცოდა. „ესეც დედაჩემივით არის, როგორც ყველა გოგო. და არც უნდა, სხვანაირი იყოს. ნეტა, როგორ ემართებათ“.

გასეირნება მდინარეზე, ტყის სილრმეში, ბადმინტონის ბურთის ქარზე ზრიალი — მეხსიერება ყველაფერს გადახარშავდა და მხოლოდ ღამის შედრის სამზადისად თუღა აღიქმებოდა.

დიდი, ექვსკუთხიანი დარბაზი, ყოველ კედელზე დაყოლებული კარებითურთ, საძინებელ ოთახად იქცა. სანოლქვეშ — გასაღებით ჩაკეტილი ჩემოდანი. შიგ შოკოლადი ალარ იყო.

წერილი დაწერა, ოღონდ არა ჩიტზე და არც დაწოლის წინ შემოგზნებულ ფიქრებსა და განცდებზე. სიჩუმე დაისადგურებდა თუ არა, პანი საწოლებშორის ჩამოივლიდა და თვალებმოწკურული დახედავდა. კედელზე მიმაგრებულ ბოლო წრესაც ჩააქრობდა და ერთადერთ ღია კარში გავიდოდა, თან კარს ისევ ღიად დატოვებდა. დერეფნიდან შიგნით ცრიატა შუქი აღწევდა (რა დამაძინებს, როცა დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც მნიშვნელოვანი არ ვიცი, რომ სხვანაირი გავხდი და უკვე ველარასოდეს შევძლებ მშვიდად დაძინებას). პანი დედას არაფრით ჰგავდა, მაგრამ ორივემ ხომ მარტოდმარტო მიატოვა. ღამით საკუებლად. ეს სიტყვა ჩიტის მოკვლის ტოლფასი იყო. ამას უკვე მიხვდა. მთელ კანზე გრძნობდა წებოვან სითხეს, თითქოსდა გატეხილი კვერცხის ცილა და გული ზედ გადასხმოდა. წარმოსადგენადაც კი ძნელია, მაგრამ მაინც ყოველღამე მისი წარმოსახვა გაფაციცებით ეძებდა მსგავსებას ჩიტს, გოგოს და იმ სიტყვას შორის (ჩიტის გაკუება). მერე მოხერხებულად წვებოდა და იძინებდა, ეშინოდა განძრევისა — თითქოსდა ლოგინში კი არა, ლვიის ბუჩქში იწვა.

დილით, გაღვიძებისთანავე უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებულიყო სახლში. ბიჭი, რომელიც ავტობუსში ელაპარაკა, ყურადღებას აღარ აქცევდა. ერთმანეთს გულგრილად უქცევდნენ გვერდს. ბიჭის საიდუმლო ყველამ გაიგო. მას კი ჩიტის ამბავი არავისთვის გაუმხელია. საუზმეზე პანის ქვეშ-ქვეშ გადახედავდა ხოლმე. მის სამოსზე სისხლის კვალს ეძებდა. მოგვიანებით უკვე ნაბლის ჩრდილს აფარებდა თავს (მაღლა ფოთლებში ციყვი დახტოდა ვკებ თხუნელა იყო). თხუნელა. თხუნელა ზევით ამოძვრა, პანია ბალახებში ამოჰყო თავი. ასფალტზე გადმოცოცდა. ბავშვები გარს შემოერტყნენ, „თხუნელა, თხუნელა“-ს გაჰყვიროდნენ. გაქვავებულ ასფალტს ბრჭყალებით ფხოჭნიდა... წრიპინებდა, გულსაკლავად წრიპინებდა. განწირული აქეთ-იქით ასკდებოდა. ბავშვებმა ყვირილს უმატეს, თან ფეხებს აბარტყუნებდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ საოცრად მშობლიურ, შეგობრულ მიწაზე იგრძნო თავი. შიგ ჩაინთქა. ანაზდად სიჩუმე ჩამოვარდა. ბავშვები განცვიფრებულნი დაჰყურებდნენ თხუნელას გაუჩინარების ადგილს. უხმოდ გაუჩინარებისა. ციყვებიც შეუმჩნევლად დაქროდნენ ხშირ ვარჯებს შორის. მწვანე ალუბლისხელა ნაბლები დაბლა ცვიოდა. მხოლოდ ქარიშხალს ჰქონდა ამ მსხვილი ტოტების შერხევის ძალა (უქარო დღეს მაღლა ატეხილი მოძრაობა და ხმაური ნიშანი იყო თხუნელასა და ციყვს შორის იდუმალი ურთიერთგაგებისა).

ერთმანეთს მისდევდა ტყუპისცალებივით მსგავსი დღეები. ნაბლის ხის ჩრდილი ახლა მიწას დილდილაობით ბრტყლად ეფინებოდა, ღამით კი ოთახს, ლოგინსა და, საერთოდ, ყველაფერს გადაედლაბნებოდა ხოლმე.

არდადეგების მიწურულს, სულ ბოლო ნაშუადღევს, ბავშვებისგან ნაჩუმათევად ტყესთან და მდინარესთან გამოსამშვიდობებლად განმარტოვდა. გოგონებს ფეხები წყალში ჩაეყოთ. პანის პირისახე მზისთვის მიეშვირა (დაბლადაბლა ცისფერი ნემსიყლაპია დაფრინავდა, თხუნელას წინ ვეება ბორცვი აღმართულიყო, კაკლის ნაჭუჭს ფუმფულა კუდის მხიარული ქნევა-ქნევით დასდევდა ციყვი). ბალახბულახს მდინარის ნაპირისკენ შეჰყვა. ვრცელი დაბლობის ნამიან მინდორზე, სადაც მდინარე მიედინებოდა, შორს, მომავალი ბიჭები შენიშნა. გაფარჩხული ტოტები მაღლა აეწიათ. ფოთლებგაცვენილი, შესაძლოა, გამხმარი ტოტები, ნელა უახლოვდებოდა. უკვე ბიჭების სახეებსაც ხედავდა. თავები აელერებინათ და ხმამაღლა იცინოდნენ (სიცილი თავიდან იყო, მერე სიტყვებს მოჰკრა ყური). შეძახილები გაიგონა — გოგოებს ვაჩვენოთო... ვაჩვენოთ. უკვე ახლო იყვნენ. თავზე წაადგნენ. ერთი შეკითხვაც არ გასჩენია, ისე დაუდგა თვალწინ ეს სურათი. არც მეტი, არც ნაკლები, ეს იყო სურათი. სიცოცხლეში პირველად იგრძნო გაქრობის, გაუჩინარების სურვილი. ზეაწეულ სისხლიან ტოტებზე გომბეშოები ირწეოდნენ. ტოტების წვეტიანი წვერები გარეთ გამოჩრილიყო. გაშეშებულები კონწიალობდნენ. სხეები თევზებივით ჩამოეკიდათ კაუჭებზე. ისინი ჯერაც ფართხალებდნენ, ფეხებს პაერში აჭნევდნენ; ზოგი ტოტზე შეხებას, მასზე დაყრდნობას ცდილობდა. გასისხლიანებული არსებების დოოშები ირხეოდა. სისხლი კანზე შეხმობოდათ. გასცდნენ. შეაჩერა, ხან მათ უცქერა სახეში, ხან ჯერაც ცოცხალ, მაგრამ უკვე მომაკვდავ დროშებს. ბიჭებს უკან, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით გაჰყვა. მდინარესთან შედგნენ. რამდენიმემ ჯიბიდან ცოცხალი გომბეშოები ამოიყვანა. მაგრად ეჭირათ ზეაწეულები, ფეხებგაფშხლაკულები. ჩალის ღეროებით დაიწყეს მათი გაბერვა. იბერებოდნენ გომბეშოები. წყალში გადაყრილები საშინელი ბუშტებივით დაცურავდნენ. ქვიშაზე ზურგებით დაყრილები კი უმწეოდ ფართხალებდნენ. დახტოდნენ. არაქათგამოცლილები ტკაცანით სკდებოდნენ. სისხლი ქვიშას ერეოდა. ჩამავალი მზით შეღებილ ყვითელ ქვიშას.

ლვიის ბუჩქი. ლვიის ბუჩქი... აზრზე არ იყო, რატომ დასცდა ეს სიტყვა. უნდოდა, ვილაც მოეხმო... გაუნძრევლად იდგა. — რისთვის? არ ახსოვდა, დაიყვირა, დაიჩურჩულა თუ გაიფიქრა. თითქოსდა თვითონ გამხდარიყო იმ ნადირობის მსხვერპლი. დრომოსანმა ბიჭებმა გზა განაგძეს.

თვალგაუხელლად გაუცვლიდა იმ არდადეგებს წინ, მაგიდაზე დადებულ ორ წიგნში. წიგნებს გადაუფურცლავად მიჰყიდდა ვინმე ანტიკვარს და სრულიად უცხო მხარეში გადაიხვეწებოდა. არჩევანის გაკეთება მხოლოდ ახლა შეეძლო, როცა დრო თითქმის ამოიწურა (ორი გამოხედვიდან ცალკე არც ერთი არ არსებობს). ახლაღა მიხვდა. სხვაგვარი ბავშვობა. სხვა დედა. სხვა ქალი. სხვა ჩიტი. ერთ სიცოცხლეში. სისხლი ჩქეფს ყველაში. სისხლი სდით არსებებს. და ეს იგივე სისხლია. სისხლი ქალისა. სისხლი გომბეშოსი. შეუმჩნეველი ლაქა გატეხილ კვერცხში. ნუთუ წარმოსახვის გარდა კიდევ არსებობს სხვა რამ მასალა, რისგანაც შეიძლება შეიქმნას ამ დიდებული წიგნების მოსაკაზმი ტილო, მუყაო, დაწინწკლული ტყავი (არ ვიცი). დროდადრო ეჩვენება, რომ ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

პოლონურიდან თარგმნა
ნათელა გავაშელმა



# ნობელის დღეები

მეორე გვერდიდან

მხარეს ალფრედ ნობელის, ხოლო მეორე მხარეს ლაურეატის გამოსახულებაა ამოტვიფრული. ანტრაქტებში ბეთჰოვენისა და გრიგის მუსიკას უკრავენ.

გრიგი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი კომპოზიტორია და მეც განსაკუთრებული სიამოვნებით ვისმენ მის მუსიკას პიერ გალსტრემის მიერ ჩემს შესახებ წარმოთქმული მოხსენების წინ.

ყველაზე მეტად ბოლო წუთებია ჩემთვის ამაღელვებელი — გალსტრემის სიტყვა არა მარტო მშვენიერი, ჭეშმარიტად გულითადიცაა. დასასრულ, მოხდენილი ცერემონიულობით იგი ფრანგულად მომმართავს:

— ივან ალექსეევიჩ ბუნინ, ჩაბრძანდით დარბაზში და მისი უდიდებულესობის ხელით მიიღეთ შვეციის აკადემიის მიერ მონიჭებული 1933 წლის ნობელის ლიტერატურული პრემია.

დარბაზში ჩამომდგარ სიჩუმეში ნელა ვჭრი ესტრადას, კიბეზე ნელა ვეშვები და ჩემს შესახვედრად წამომდგარი მეფისკენ მივდივარ. ერთბაშად ფეხზე ამდგარმა დარბაზმა სუნთქვა შეიკრა, რათა კარგად გაიგოს, რას მეტყვის და რას ვუპასუხებ მე მას. მეფე განსაკუთრებულად მოწყალე, გულმხურვალე ხელის ჩამორთმევით მესალმება; ჩემი სახელით ესალმება მთელ რუსულ ლიტერატურასაც. ხელმწიფის წინაშე თავს მდაბლად ვხრი და ფრანგულად ვპასუხობ:

— თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ, მოიღოთ მოწყალება და მიიღოთ ჩემი ულრმესი და მოკრძალებული მადლობა.

ჩემი სიტყვები ტაშის გრიალში იძირება.

პრემიების საზეიმო გადაცემის მეორე დღეს ლაურეატების პატივსაცემად მეფე სასახლეში სადილს მართავს, ათი დეკემბრის საღამოს კი ნობელის კომიტეტის ბანკეტზე გვიწვევენ.

ბანკეტს კრონპრინცი — ტახტის მემკვიდრე ხელმძღვანელობს.

ჩვენი მოსვლისას ამჯერადაც ყველანი უკვე იქ არიან — აკადემიის უკლებლივ ყველა წევრი, მეფის მთელი სახლეული, მთელი სასახლის კარი, დიპლომატიური კორპუსი, სტოკჰოლმის ლიტერატურულ-მხატვრული საზოგადო და ყველა სხვა მოწვეული სტუმარი.

მაგიდასთან პირველნი მიდიან კრონპრინცი და ჩემი მეუღლე, რომელიც შემდეგშიც სულ მის გვერდით ზის მაგიდის ცენტრში.

მე პრინცესა ინგრიდის — ამჟამად დანიის დედოფლის გვერდით ვზივარ, მეფის ძმას, უფლისწულ ევგენის პირდაპირ. უნდა ითქვას, რომ იგი შვედეთის ერთ-ერთი ცნობილი მხატვარია. სუფრაზე პირველ სიტყვას, რომელიც ალფრედ ნობელის ხსოვნას ეძღვნება, წარმოთქვამს ტახტის მემკვიდრე, იგი ბრწყინვალედ ლაპარაკობს.

პრინცი სიტყვას ადგილიდან ამბობს, ჩვენ — ახევე არაჩვეულებრივად დიდი დარბაზის სიღრმეში მოწყობილი ძველი შვედური სტილის საგანგებო ტრიბუნიდან.

რადიომიმღები ჩვენს სიტყვებს მთელ ევროპას გადასცემს.

აი იმ სიტყვის ზუსტი ტექსტი, რომელიც მე იქ ფრანგულად წარმოვთქვი:

„ცხრა ნოემბერს, შორეულ შორეთში, პროვანსის ძველთაძველ ქალაქში, ღარიბულ სოფლურ სახლში, ტელეფონმა შვეციის აკადემიის გადაწყვეტილება მამცნო. მე ალბათ გულწრფელი არ ვიქნები, თუ ვიტყვი (როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე), რომ ეს იყო ის, რამაც მთელ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა-მეთქი. შესანიშნავია დიდი ფილოსოფოსის სიტყვები, რომელსაც ამბობს, გრძნობა სიხარულისა, რაც არ უნდა დიდი და ძლიერი იყოს, არაფერია მწუხარების ასეთივე გრძნობასთანო. სრულიადაც არ მსურს, სევდის თუნდაც იოტისოდენა ჩრდილი მივაყენო ამ ზეიმს, რომელიც სამუდამოდ წარუშლელ მოგონებად დარჩება ჩემს გულში, მაგრამ მე მაინც ნებას მივცემ ჩემ თავს და ვიტყვი — მწუხარება, რომელიც უკანასკნელი თხუთმეტი წლის გამმავლობაში განვიცადე, გაცილებით აღემატება ამ სიხარულს. არა, ეს არ იყო პირადი მწუხარება — სრულიადაც არა! მაგრამ, შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ ყველაზე დიდი კმაყოფილება, რაც კი მთელი ჩემი მწერლური ცხოვრების მანძილზე განმიცდია, როგორც მწერალს, მომანიჭა თანამედროვე ტექნიკის ამ პატარა სასწაულმა, სტოკჰოლმიდან გრასში დარეკვამ ტელეფონის ამ ზარმა. თქვენი დიდი თანამემამულის — ალფრედ ნობელის მიერ დაარსებული ლიტერატურული პრემია მწერლის უმაღლესი დაჯილდოებაა. პატივმოყვარეობა თითქმის ყოველი ადამიანისათვის, ყოველი ავტორისათვის არის დამახასიათებელი და მეც უდიდესი სიამოვნებით ავივსო გული ესოდენ კომპეტენტური და მიუდგომელი მსაჯულების მიერ მონიჭებულმა ამ ჯილდომ. მაგრამ მხოლოდ ჩემს თავზე როდი ვფიქრობდი ცხრა დეკემბერს! არა, ეს მეტისმეტად მიუტევებელი უგულობა იქნებოდა ჩემის მხრივ. განვიცდიდი რა უდიდეს მღელვარებას პირველი მილოცვებისა და პირველი მოსალოცი ტელეგრამებისაგან, ღამის მდუმარებასა და მარტოობაში ვფიქრობდი შვედეთის აკადემიის საქციელზე, მის უდიდეს მნიშვნელობაზე. ნობელის პრემიის დაარსებიდან იგი თქვენ პირველად მიანიჭეთ დევნილს, რამეთუ ვინ ვარ მე, თუ არა დევნილი, ფრანგი ხალხის სტუმართმოყვარეობას შეფარებული, რომელთა მიმართაც მუდამ დიდად მადლიერი ვიქნები. ბატონო აკადემიის წევრებო, თავი დავანებოთ ჩემს თავს და ჩემს ნაწარმოებებს და ნება მომეცით, გითხრათ, ,თუ რაოდენ მშვენიერია თქვენი ეს საქციელი. აქვე არ არის, ამ მაგიდას უსხედან ყოველგვარი შეხედულების, ყოველგვარი ფილოსოფიური მრწამსის ადამიანები. მაგრამ არსებობს რაღაც ერთი, რომელიც ჩვენ ყველას გვაერთიანებს — თავისუფლება აზრისა და სინდისისა, ის, რითაც ჩვენ ცივილიზაციისაგან ვართ დავალებულნი. ეს თავისუფლება განსაკუთრებით მწერლისთვის არის აუცილებელი — ეს მისთვის დოგმატია, აქსიომაა. თქვენმა ჟესტმა, ბატონო აკადემიის წევრებო, ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ თავისუფლებისადმი სიყვარული ნამდვილი ეროვნული კულტია შვედეთში.

და ბოლოს — ჩემი ამ პატარა სიტყვის დასასრულ, მინდა კიდევ ორიოდე სიტყვაც გითხრათ. მხოლოდ დღევანდელი დღით როდი ვაფასებ ასე დიდად თქვენს სამეფო სახლს, თქვენს ქვეყანას, თქვენს ხალხს, თქვენს ლიტერატურას. ხელოვნებისა და ლიტერატურის სიყვარული ყოველთვის წარმოადგენდა შვეციის სამეფო სახლის ტრადიციას, ისევე, როგორც თქვენი კეთილშობილი ხალხისთვის. სახელოვანი მეომრის მიერ ფუძედადებული შვედების დინასტია, ერთ-ერთი სახელოვანი დინასტიაა მსოფლიოში. დაე, მისმა უდიდებულესობამ — რაინდი ხალხის რაინდმა ხელმწიფემ ნება დამრთოს უცხოქვეყნელ თავისუფალ მწერალს, რომელიც თავისი ყურადღების ღირსად ჩათვალა შვეციის აკადემიამ, გამოვხატო მისდამი ჩემი უდიდესი მოკრძალება და გულითადი გრძნობები“.

თარგმნა
ლილი მჭედლიშვილმა







პირველი გვერდიდან

უდევრად ჩაიჩურთა ჯიბეში. კოატსმა კი აკურატულად გადათვალა კუპიურები, ერთხელ კიდევ დაუქნია გერდნერს თავი და ფული საფულეში ჩადო. „მშვიდობით, ფერგიუსონ, შენ და ჯეიმს უორლდ ბლეიკნი ჯერ კიდევ დაღამებამდე ერთად ნახვალთ იმ ქვეყანას!“ — გაიელო გულში გერდნერმა.

ორი მამაკაცი სახლიდან გავიდა. დანლეპმა კარი ჩაკეტა. გერდნერი სავარძელში ჩაჯდა და იმ დილით პირველად გააბოლა სიგარა. კიდევ ერთი მომგებიანი საქმე დასრულდა, ახლა კი უნდა დავისვენო, ეგება სამოგზაუროდაც წავიდე, — ფიქრობდა კმაყოფილი.

ჯეიმს ბლეიკნის, თავად ორმოცდაოთხი წლისას, ოცდაექვსი წლის ლამაზი ცოლი ჰყავდა, ამიტომ ახალგაზრდული იერის შესანარჩუნებლად, წესად დაიდო, თავისი სახლიდან სამსახურამდე ერთნახევარი მილი ყოველგვარ ამინდში ფეხით გაევლო. მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით, ფიქრებში ჩაძირული და ირგვლივ ყურადღებას არაფერს აქცევდა. მისი ფიქრები კანტორასა და იქაურ საქმეებს უტრიალებდა. სადღეისოდ ბლეიკნის მთავარი პრობლემა მინი-მაგნიტოფონი იყო; ვერ გადაენყვიტა, რამდენად ეთიკური იქნებოდა მისი გამოყენება მომავალი გარიგებისას, ლანჩის დროს. „კლიენტს მუდამ ბინძური ალღო აქვს, — გადაწყვიტა ბოლოს, — რა თქმა უნდა, თვითონაც გამოიყენებდა ამ სიახლეს, ხელი რომ მიუწვდებოდეს“. მან უბის ჯიბეზე მიიდო ხელი და ნივთი მოსინჯა. სწორედ ამ დროს, მის შეხახვედრად ვიღაც მამაკაცი გამოემართა. ბლეიკნის არ ესიამოვნა, ფიქრი რომ გააწყვეტინეს; თანაც ვერ გაეხსენებინა, ვინ იყო ეს ტანმორჩილი, მომღიმარე კაცი, მის წინ ხელგამოწვდილი რომ იდგა.

— მისტერ ბლეიკნი, — თქვა მამაკაცმა, — რა სასიამოვნოა, რომ კვლავ შეგხვდით.

ბლეიკნის მრავალ ადამიანთან უხდებოდა შეხვედრა, შეუძლებელი იყო ყველა მათგანის დახსომება. გარდა ამისა, გულისტკივილით ამჩნევდა, რომ მეხსიერება როგორღაც მოუჩლუნგდა, მაგრამ ზრდილობა მოითხოვდა, ჩამოერთმია გაწვდილი ხელი.

მამაკაცმა კი, ნაცვლად იმისა, რომ საუბარი განეგრძო, ბლეიკნის მკლავში სტაცა ხელი და გზის კიდესთან მდგარი მანქანისკენ წაათრია. ვიდრე შეშინებული და დაბნეული ბლეიკნი გონს მოვიდოდა, მეორემ, უფრო მაღალმა და ჯანიანმა, მანქანაში შეაგდო და იქვე წააქცია. შემდეგ პირში ალიკაპი ჩასჩარეს, თვალები აუხვიეს, რაღაც ჩვარი გადააფარეს; მაღალმა ზემოდან ტერფები დააწყო და იატაკს მიაჭიჭყა. ბლეიკნი იკლაკნებოდა და ხრიალებდა, მანქანა კი აუჩქარებლად მიუყვებოდა გზას.

ბლეიკნიმ ძალიან მალე შეწყვიტა ფართხალი, აღარ ცდილობდა გათავისუფლებულიყო. ცხადი იყო, რომ მოიტაცეს გამოსასყიდის მიღების მიზნით. მან ზეპირად იცოდა ამგვარ გატაცებათა სცენარი: სადმე მიყრუებულ ადგილას მიიყვანდნენ და იქ დაამწყვდევდნენ, შემდეგ კი ცოლს ან რომელიმე მის პარტნიორს წერილს გაუგზავნიდნენ; ალბათ, მაინც კომპანიონს უფრო ირჩევდნენ, რადგან აირისს წარმოდგენაც კი არა აქვს, როგორ იშოვოს ფული. ამასთან, მთავარი პირობა ეს იქნება, პოლიციას არაფერი შეატყობინოთო.

ბლეიკნის, სმენის გარდა, ყველა ორგანო ატროფირებული ჰქონდა და ალღოს აღება მხოლოდ ყურის გდებით შეეძლო: იგი ხვდებოდა, რომ მიიყვანდნენ სადმე უშენ ადგილზე, ხანახევროდ დანგრეულ სახლში და იქ დაამწყვდევდნენ.

მართლაც, მალე მანქანამ გზატკეცილიდან გადაუხვია და ცოტა ხანში გაჩერდა კიდეც. თუმცა, მანქანა კი არა, რაღაც ჯართი იყო, რომელიც, ალბათ, სადმე ჩალის ფასად შეიძინეს იმ ვარაუდით, რომ როცა ყველაფერი მომთავრდებოდა, ქუჩაში მიეტოვებინათ და კვალი მოესპოთ.

— გადმოდი! — ბრძანა მაღალმა. ეს მის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვა იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში. ბლეიკნის გადასაფარებელი ააცალეს, წამოაყენეს და მან მოუქნელად ჩამოდგა ფეხი ოღროჩოღრო მიწაზე. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ირგვლივ ხეები იდგა. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ხე იქვე იყო და იგიც ზედ მიეყუდა, ვიდრე დაბუჟებულ ხელფეხში ჩხვლეტები გაუვლიდა. ახლა, ალბათ, სადმე შეაგდებენ და ფულის მოტანას დაელოდებიან. საბრალოს, აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ირგვლივ მთელი მილის მანძილზე ერთი შენობაც



# უნაკლო

კი არსად იდგა.

— ო კეი, — წარმოთქვა ფერგიუსონმა და ნაკაფში ორ დაბალ ნაძვს შორის დადგა. — იქით გაიწი! — მიმართა კოატსს და ბლეიკნის პირდაპირ კეფაში დაუმიზნა რევოლვერი.

კოატსმა ბლეიკნის ხელი უშვა. გაისმა გრიალი და ბლეიკნი პირქვე დაასკდა მიწას, კრინტის გაღებაც კი ვერ მოასწრო.

— მარჯვედ ვესროლე, არა? — ჩაიქირქილა ფერგიუსონმა. მერე ხმამაღლა გაიცინა, კაცი იფიქრებდა, ცხენი ჭიხვინებსო.

— სუფთა ნამუშევარია! — დაეთანხმა კოატსი.

ფერგიუსონი ძლიერ აღგზნებული ჩანდა. კოატსი ზიზღით მისჩერებოდა მას. გერდნერი არ ცდებოდა, ეს კაცი აუცილებლად უნდა მოეშორებინათ თავიდან.

— აბა, მიდი, გადააბრუნე, მძიმეა; საფულე დავუტოვოთ, პოლიციამ პირადობის მოწმობა რომ ნახოს, მაგრამ ფული კი ავართვათ...

ესეც დაუშვებელი ცვლილება გეგმაში: ბლეიკნის ფულს ხელი არ უნდა ახლონ, თორემ პოლიცია აზრზე მოვა, რომ საქმეში მესამე პირიც არის გარეული. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

ფერგიუსონმა პისტოლეტი ბუდეში ჩადო, სიგარეტს მოუკიდა და აქაქანდა:

— მაშასადამე, საქმეს მოვრჩებით თუ არა, მანქანაში ჩავსხდებით და პაიდა ქალაქისკენ! ამ ჯართს სადმე მივატოვებთ და მერე აეროდრომზე ჩვენ-ჩვენი გზით წავალთ. გერდნერთან ადრე თუ გიმუშავია?

— ორჯერ გავუმართე ხელი, შენ?

— მე უფრო მეტჯერ, მაგრამ ასეთი რთული საქმე არასოდეს მოუნდვია. ძაან თავიანი კაცი კია ეს გერდნერი.

— დაჩუმდი, — უთხრა კოატსმა, — ნუ აიქაფე ენა. სწორედ ამას ვერ იტანს გერდნერი.

— ვის ესმის აქ ჩემი ლაპარაკი? ეშმაკმა დალახვროს, ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით, უმდიდრესი ქვრივი შეიქნა. ნეტა როგორ მიაკვლია გერდნერს?

— ისევე, როგორც ჩვენ, — ორგანიზაციის კავშირებით, — მიუგო კოატსმა, — ეგ ქალი კახპა არაა, მაგრამ წმინდანისაც არაფერი სცხია. ალბათ, თავიდანვე ასე ჰქონდა ჩაფიქრებული. აბა, თუ უკვე მზად ხარ...

— ჰო, კარგი, სული მომათქმევინე, რა გეჩქარება? მისის ბლეიკნი ქმარზე ბევრად ახალგაზრდაა და უფრო სიმპათიურიც ჩანს. ბლეიკნიმ, ალბათ, სადმე ბარში მოჩანგლა, მერე კი ქალმა მოსდო ალვირი. მე ნაწილობრივ, აღტაცებულიც ვარ მისით...

კოატსს მეტის ატანა აღარ შეეძლო.

— ჰეი, — მკვეთრად შესძახა, — აქეთ მოიხედე!

ფერგიუსონი შეკრთა და მობრუნდა, კოატსმა თვალის დახამხამებაში გააკავა და პისტოლეტი აართვა. ორივე ტყვია ერთი და იმავე იარაღიდან უნდა ყოფილიყო ნასროლი და ვიდრე ფერგიუსონი აზრზე მოვიდოდა, საფეთქელი შეუნგრია. ფერგიუსონმა მიწაზე გაადინა ზღართანი. კოატსმა მარჯვედ ჩაუდო ხელში პისტოლეტი. თითების ანაბეჭდის ნაშთიც არ იყო აუცილებელი.

მეორე ცვლილება გეგმაში: მანქანით ვერ წავიდოდნენ, ესეც იმის დასტური იქნებოდა, რომ საქმეში მესამე პირიც ერია. თუმცა, არაუშავდა რა, ავტობუსის უახლოეს სადგურამდე რამდენიმე მილს ქვეითად გაივლიდა. დარჩა კიდევ რამე მოსაგვარებელი?

დიახ, ფერგიუსონის ჰონორარი. კოატსმა სავსებით დაიმსახურა ეს ფული. ავიაბილეთიც წაიღოს? არა, აქვე დატოვებს, ეს დაეხმარება პოლიციას მკვლელის ვინაობის დადგენაში. კოატსმა ტანსაცმელი მოიწესრიგა და ირგვლივ მიმოიხედა, რომ დარწმუნებულიყო, არაფერი ავიწყდებოდა.

ყველაფერი რიგზეა, მანქანა ფერგიუსონმა იყიდა, კოატსს გერდნერთან შეხვედრამდე არასოდეს ენახა ეს პატარა კაცუნა, ასე რომ, მათ არაფერი აკავშირებდათ. ახლა მხოლოდ ერთია საკითხავი. ხომ არ დააჩქაროს გვამის აღმოჩენა ანონიმური ტელეფონის ზარით? გერდნერმა განუმარტა, რომ მკვდარი მეუღლე ანდერძის გახსნამდე უნდა აღმოეჩინათ.

კეთილი, ავტობუსში ჩაჯდომამდე დარეკავს ქალაქის საპოლიციო უბანში, გადასცემს ინფორმაციას და მაშინვე დაკიდებს ყურმილს.

კოატსი მტკიცე ნაბიჯით გაუყვა ატალახებულ ბილიკს. თუ ვინმე თვალს მოჰკრავდა, მზად იყო დამალულიყო, მაგრამ საბედნიეროდ, ერთი ბამბურა კურდღლის გარდა არავინ და არაფერი შეხვედრია. რაკი აქამდე ხელი მოემართა, დღეს ამ მონაკვეთში არც გზატკეცილზე იქნება, ალბათ, ბევრი მანქანა, მაგრამ თუ ვინმეს მაინც შეეფეთა, ხელადვე ძუნძულით სირბილს მოჰყვება, საკმაოდ კარგად აცვია საამისოდ, მოდური გატაცების — ძუნძულით სირბილის მიმდევრად რომ მიიღონ.

კოატსს გაეღიმა, როცა გაახსენდა ფერგიუსონის ელდანაკრავი სახე სიკვდილამდე ერთი წამით ადრე. დაე, პოლიციელებმა იხეთქონ თავი იმის გასარკვევად, თუ რატომ მოკლა გამტაცებელმა თავისი მსხვერპლი და მერე უეცრად, გაურკვეველი მიზეზის გამო, იმავე პისტოლეტით მოიკლა თავი.

„კარგი ნამუშევარი იყო, შესანიშნავი, — ზეიმობდა კოატსი, — პროფესიულად და უნაკლოდ შესრულდა ყველაფერი“.

საქმე ჩინებულად აეწყო. აირის ბლეიკნი არც კი ღელავდა. აბა რა ჰქონდა ასაღელვებელი, როცა გერდნერისთანა შემსრულებელი ჰყავდა. გამტაცებლებმა, ალბათ, უკვე დარეკეს პოლიციაში, რათა საბრალო ჯეიმსის კვალს უფრო სწრაფად მიჰყოლოდნენ და გვამი იმავ საღამოს აღმოეჩინათ.

ქალმა პატარა სცენა გაითამაშა. ცდილობდა, უნაკლოდ გადმოეცა ქმრის სიკვდილით გამოწვეული ელდა და მწუხარება. მალე ტელეფონი აწკრიალდება და მას ბუზებივით დაესევიან რეპორტიორები, მოაწყდებიან ჯეიმსის ნათესავები, მეგობრები, თანამშრომლები.

მხოლოდ ერთი კვირის განამავლობაში და ნერვების წეწვა, მერე კი ელის ახალი, შესანიშნავი ცხოვრება... აი, უკვე ზარს რეკავენ!

ქალი დაიძაბა და შესახვედრად მოემზადა. მოასწორა კარის გასაღებად გაემართა.

ოთახში ორნი შემოვიდნენ. ერთს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა და აირისს, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ მის წინაშე დეტექტივები იდგნენ.

— ხომ... თუ არის რაიმე ახალი? — იკითხა მთრთოლვარე ხმით, თითქოს ყველაფერი ტელევიზორით არ მოესმინოს.

მაგრამ უეცრად თავზარი დაეცა და ელდამ ადგილზევე გააშეშა: ერთ-ერთი პოლიციელის მიერ წარმოთქმულმა რიტუალურმა ფრაზამ მიახვედრა, რომ ესენი აქ მის დასაპატიმრებლად იყვნენ მოსულნი.

თუმცა, შიში მალევე შეცვალა გულისწყრომამ.

— გამაგებინეთ, რა გნებავთ ჩემგან?.. — დაიწყო მკაცრად.

— მორჩი ბაზარს, ჩემო დაო, — მოქანცული ხმით უთხრა მეორე დეტექტივმა, — იცი, რა ვნახეთ შენი ქმრის გულის ჯიბეში? ისეთი პატარა ახალი მოწყობილობა, მინი-მაგნიტოფონს რომ ეძახიან. შენი ქმარი რომ დაეცა, მაგნიტოფონი გადმოვარდა, ჩაერთო, ყველაფერი ჩაიწერა, ახლა ალაპარაკდა და, ღმერთო ძლიერო, რაები დაფქვა!..




## სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)
თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,
ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია
თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურება)
გოგა დავითაშვილი (მხატვარი)

13 ივლისი (ძვ. 30 ივნისი)

# კრება ათორმეტთა მოციქულთა

პეტრეპავლობის მეორე დღეს მართლმადიდებელი ეკლესია იხსენებს ათორმეტ მოციქულს ერთ კრებულად.

პავლე მოციქული წერს: „და რომელნიმე დაადგინნა ღმერთმან ეკლესიათა პირველად მოციქულნი, მეორედ წინასწარმეტყუელნი, მესამედ მოძღუარნი...“ (1 კორ 12.28).

ჩანს, სამოციქულო წოდება უმეტესია სხვა წოდებათა შორის. მოციქულის მადლი (ხარისხი) უპირატესია სხვა მადლთა შორის. მოციქულნი წოდებულნი არიან, მაგრამ არიან წოდებულთა შორის მცირედნი რჩეულ. არიან მოციქულთა შორის რჩეულნი, თუმცა ყველანი თანასწორნი არიან ქრისტეს წინაშე და ქრისტეში.

გამორჩეულია პეტრე, რომელსაც ადრე სიმონი ერქვა და მოძღვარმა „კლდე“, არამეულად „კეფა“, ბერძნულად „პეტროს“ უწოდა, რა სახელითაც დამკვიდრდა ის ქრისტიანობის ისტორიაში, და უთხრა პროვიდენციული სიტყვები: „რამეთუ შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მ.16, 18). მასვე ჩააბარა „კლიტენი ცათა სასუფევლისანი“. მტკიცე იყო პეტრე და მოძღვრის უერთგულესი მის სხვა მოწაფეთა შორის, თუმცა მასაც მოერია ადამიანური სისუსტე: სამგზის მოუხდა უნებურად მოძღვრის უარყოფა...

გამორჩეულია ანდრია, ძმა სიმონ-პეტრესი, პირველწოდებული. ის ანდრია, რომელმაც იოანესთან ერთად დასტოვა მოძღვარი, რომელიც ნათელს-სცემდა, და გაჰყვა „ტარიგს, რომელმან აღიხვნა ცოდვანი სოფლისანი“. და მერე თავისი ძმა დაუმოწაფა მას.

გამორჩეულია ნათანაელი, იგივე ბართლომე, რომელზეც თქვა იესომ მის პირველ დანახვისთანავე: „აჰა, ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომელსა თანა ზაკვა არა არს“ (ი. 1,47). მასთან ჰქონდა იესოს საიდუმლო დიალოგი, სადაც მნიშვნელობა ენიჭება შემთხვევას, როცა ის იჯდა ლეღვის ქვეშ და შორიახლო ჩამავალმა იესომ მას თვალი მოჰკრა. მასვე უთხრა: „უფროისი ამათსა იხილო“. მაგრამ, რა იხილა ნათანაილმა, ამაზე დუმს სახარება.

გამორჩეულია თომა თავისი „ურწმუნოებით“: ხელით უნდა მოესინჯა ჯვარცმულის ჭრილობები, რათა მისი აღდგომა ერწმუნა, რითაც მან საუკუნეებში განასახიერა ტიპი ადამიანისა (და ალბათ მთელი ეპოქისაც), რომელიც სანამ საკუთარი თვალით არ იხილავს, არ იწმუნებს.

გამორჩეულია იოანე, ყველაზე ახალგაზრდა მოციქულთა შორის, „მოწაფე, რომელი უყვარდა იესოს“. ავტორი სიტყვის სახარებისა და მხილველი „ანისა და პოეს“ გამოცხადებისა, რის გამოც ეწოდა მას ერთადერთს მოციქულთა შორის ღვთისმეტყველი. მისი ნიშანი არწივია, ცადაღმავალი სულის სიმბოლო...

გამორჩეულია მეზვერეყოფილი მათე — ის თავად იესომ გამოარჩია სხვა ცოდვილთა შორის, რადგან მეზვერენი ორმაგად ცოდვილებად ითვლებოდნენ ხალხის თვალში: დამპყრობელთა სამსახურში იყვნენ და საკუთარი თვისტომის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. რამ მოაქცია კაპერნაუმელი მეზვერე, რომელმაც მიატოვა სარფიანი სამსახური და შეუდგა იესოს და, ბოლოს, სახარების ავტორი შეიქმნა? იესოს ერთადერთმა სიტყვამ: „მომდევდი მე“. მათესთან სტუმრობით, სადაც მეზვერენი და ცოდვილნი ისხდნენ ინახით იესოსთან ერთად, მაცხოვარმა აჩვენა თვალნათლივ, რომ ის მოვიდა არა „წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მ. 9,12).

ათორმეტთაგან ქრისტემ გამოარჩია მხოლოდ სამნი — პეტრე, იოანე და ძმა მისი, იაკობი, რათა მათი ხორციელი თვალისთვის თავისი ჭეშმარიტი ხატი ეხილვებინა თაბორის მთაზე. ეგევე სამნი ახლდნენ მას გეთსიმანიაში უკანასკნელი ლოცვისას, როცა „იქმნა ოფლი მისი ვითარცა ცჳარი სისხლისა“, მათ კი ეძინათ.

ქრისტეს მოწაფენი და, მით უფრო, ათორმეტნი, მოძღვრის სიკვდილის შემდეგ უნდა გაფანტულიყვნენ დედამიწის ზურგზე ქრისტეს აღდგომის საქადაგებლად. მათ ისიც იცოდნენ, რომ ამ გზაზე ბევრ ჭირს ნახავდნენ. ეს იყო მათი ვალი, მათი „ბედისწერა“. მოძღვარმა მათ გაანდო მათი მოწევნადის საიდუმლო: „მაშინ მიგცნენ თქუენ ჭირსა და მოგწყვიდნენ თქუენ და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან წარმართთა სახელისა ჩემისათვის“ (მ.24,9). მათ უნდა მიებაძათ თავიანთი მოძღვრისათვის და ყველაფრისათვის მზად უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ისინი გოლგოთაზე მომხდარის შემდეგ გაიფანტნენ არა მოძღვრის სიტყვათა დასათესად, არამედ სირცხვილის დასამალად თუ სიცოცხლის გადასარჩენად.

ეს ათორმეტი შეადგენდა ახალ საძმოს, რომელიც არ ემყარებოდა სისხლით ნათესაობას. მათ ერთად, როგორც ერთ ოჯახს ავალებდა მოსეს რჯული, ერთ ჭერქვეშ გადაიხადეს პასექის დღესასწაული. „ჭამეს პასექი“, დაკლული ცხვარი. ამით მათ კაცობრიობის ახალი ერთობის საფუძველი მოამზადეს. პასექის დროს, საიდუმლო სერობაზე, ისინი თორმეტივე ერთად იყვნენ, მათ შორის იყო იუდაც, გამცემელი, რომლის არსებობამ მაცხოვარის უახლოეს ათორმეტთა შორის კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, დაადასტურა დაცემა წუთისოფლისა, რომლის სახსნელადაც სხვა ღონე არ იყო, თუ არა ღვთის ძის განკაცება და ჯვარცმა. თავიანთი მოძღვრის ჯვარცმამ ისინი შეზარა და იყვნენ გაფანტულნი, სანამ მკვდრეთით აღმდგარი მოძღვარი არ ეჩვენა ჯერ კეფას (პეტრეს) და „მერე ათორმეტთა მათ“, შერე ხუთასზე მეტს, „მერმე იაკობს და შჳრე მოციქულთა ყოველთა“. და ისინი კვლავ შეიყარნენ ერთ განუყრელ კრებულად.

ათორმეტივე კვლავ ერთად იყვნენ აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, როცა საფუძველი ჩაეყარა ქრისტეს ეკლესიას. რიცხვი თორმეტი დაწესდა, როგორც გვამცნობს ძველი დოკუმენტი („მოციქულთა დადგენილებანი“), იმ მინიმუმად, რომელსაც შეეძლო შეედგინა ეკლესია.

მოციქულთა შორის უმეტესნი მებადურები იყვნენ, დაახლოებულნი წყლის სტიქიასთან. მათი ყოველდღიური საქმიანობა თევზების ჭერა იყო. მაცხოვარმა კი აღუთქვა, რომ ისინი ადამიანთა სულებს მოინადირებდნენ. „და გყვნე თქუენ მესათხეველე კაცთა“ (მ.4,19). უწიგნურნი იყვნენ, უბირნი ჩანდნენ მწიგნობართა და ფარისეველთა თვალში, მაგრამ ისინი აოცებდნენ მათ წმინდა წერილში განსწავლულობით, რადგან მათი პირით, როგორც წინასწარმეტყველთა დღეებში ხდებოდა, სულიწმინდა ლაპარაკობდა.

ბევრმა მათგანმა თავისი სისხლით, უკანასკნელი არგუმენტით, რაც გააჩნდა, მისი ჭეშმარიტება დაუმოწმა ქრისტეს.

**ზურაბ კიკნაძე**

# ვინ არის ბალანჩინი

პარიზში ქართული ემიგრაციის არსებობა ყველასთვის ცნობილი ფაქტია, ისიც ვიცით, რომ ჩვენი თანამემამულენი პროფესიულ ნათლობას ზოგჯერ ამ საოცარ ქალაქში ღებულობენ.

ერთ-ერთი ამათგანი დათო ბალანჩივაძეა, პარიზში ბალანჩინად წოდებული. მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება ამ უცნაური ბიოგრაფიის მქონე ადამიანის გაცნობა;. მას თბილისში ქიმიკოსად იცნობდნენ, პარიზში, მოდის დედაქალაქში კი იგი ერთ-ერთი ქართველი სტილისტია, ბრცთუ უმნიშვნელო წარმატების მქონე.



პირადად მე დათო კანის ფესტივალზე წასვლის წინ გავიცანი, აქეთ-იქით რომ მიმოვქროდი და არ ვიცოდი, როგორ გადამეჭრა საფესტივალო სამოსელის პრობლემები. კანში წასვლა ჩეჩნეთში რეპორტაჟისთვის ზურგჩანთის აკიდებას არაფრით არ ჰგავდა, მე კიდე ამ შემთხვევისთვის არანაირი გამოცდილება არ გამაჩნდა. ჰოდა, მაშინ იყო, პირველად რომ დამირეკა დათომ და... რამდენიმე საათში მისი კოლექციის სამოსით ვიყავი შემოსილი. მოგვიანებით პიერ რიშარმა ფრანგული მოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ბალენ სიაგას სახლში მიმიყვანა და კანის ფესტივალზე, პარიზული ქრონიკის სტილი რომ ვიხმარო, ბალანჩინი — ბალენსიაგას მიერ ვიყავი ჩაცმული.

**ნინო კირთაძე სპეციალურად „კავკასიონისთვის“**

პარიზში, ერთ-ერთ ოფიციალურ საღამოზე მოწვეულმა სტილისტმა დიდი ხნის წინ შეპირებული სტატიის ქსეროასლი გამომიწოდა და მითხრა: — თქვენი თანამემამულეა, ეგებ, იცნობდეთო. სტატიას მოულოდნელი სათაური ჰქონდა — „მოდა სანაგვიდან“. საქმე ეხებოდა ქართველი სტილისტების დავით ბალანჩინისა და ქსენია ზდანევიჩის მიერ მოწყობილ დეფილეს, სანაგვეში გადაძახებული ნაჭრებისაგან რომ შეექმნათ. „ძველი ფარდა საქორწინო კაბად იქცა, საღამური ჩასაცმელის ანსამბლში მიმოკარგული ხელსახოცები, ტილოები და ძველმანი ნაჭრები ახალ დაბადებას ზეიმობდნენ“, — წერდა ფრანგი ჟურნალისტი ლორენს ესტივალი.

სტილისტ დავით ბალანჩინს იმხანად მე არ ვიცნობდი. თუმცაღა, მსმენოდა ამბავი ერთი ქიმიკოსისა, თბილისში დისერტაცია რომ დაიცვა, სამეცნიერო კარიერა უცაბედად რომ მიატოვა და მოდელირება დაიწყო. ეს ორი ადამიანი, ცხადია, ვერაფრით დავაკავშირე...

დავით ბალანჩინი (ბალანჩივაძე) მიგვიანებით გავიცანი და ბევრიც ვიხალისეთ, თავის თავგადასავალს რომ მიამბობდა: „უნივერსიტეტში მეორად ფაკულტეტზე მოდელირებას ვსწავლობდი. მოდით დაინტერესებულს, ცხადია, პარიზში ნახვლა მინდოდა. მღვძებნე კერძო სკოლა და მისმა დირექტორმა, ჩემს მიერ გაგზავნილ ესკიზებსა და დოკუმენტაციას რომ გაეცნო, მახთან დამამთავრებელი კურსის გავლა შემომთავაზა. იმასაც შემპირდა, ფულს არ გადაგახდევინებთ და სანაცვლოდ რამე სამუშაოს შეგასრულებინებთო.“

ვიზის გაფორმებასთან დაკავშირებული სირთულეები რომ დასრულდა, პარიზში ჩასულ დათო ბალანჩივაძეს თავზარი დასცა დირექტორის ნათქვამმა: ყოველივე კეთილი, მაგრამ ფულის გადახდა მაინც მოგიხდებათო.

დათომ იმხანად ფრანგული არ იცოდა, უკან დაბრუნებაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო ამდენი ძალისხმევის მერე, თუ არა და, გადასახდელი თანხა მის შესაძლებლობებს დიდად აღემატებოდა: „დიდი ნერვიულობის მერე, როგორც იქნა, ავიკრიფე, მოვძებნე მოდელირების სკოლა ESMOD და იქ გავიარე ერთწლიანი კურსი... დიპლომი კი ვერ ავიღე, რადგან დიპლომის ახალებად აუცილებელი გადასახადის თანხა მე არ გამაჩნდა“...

ჩემში მუდამ აღფრთოვანებას იწვევენ ის ადამიანები, თუნდაც, გვიან გაღვიძებული თავისი მოწოდების ერთგულნი რომ რჩებიან და სწორედ ამ ერთგულების ძალით თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობებს ძლევენ. განგების ძალით, ყველაზე მძიმე ვითარებაში მათ ჯადოსნური შემწეც გამოუჩნდებათ ხოლმე. ბატონი გუჯი ამაშუკელი, პარიზში დიდად პატივცემული ხელოვანი, დათო ბალანჩივაძის თქმით, მისი ჯადოსნური შემწე იყო: „სწორედ ბატონმა გუჯიმ შემომთავაზა, ნაჭრებს გიშოვნი და, ეგებ სახლში ხელის გასავარჯიშებლად გამოგადგესო... ნაჭრები წამოვიღე და მხატვარ ქსენია ზდანევიჩთან ერთად შევქმენი პირველი კოლექცია, „Poubelissimo“ (Le poubel - ნაგავი) რომ დავარქვით. ჩვენებამ წარმატებით ჩაიარა, გამოქვეყნდა სტატია „მოდა სანაგვიდან“, ორმა ფრანგულმა ტელეარხმა France-2 და M-6 მასალა მოამზადა და ფოტოინსტიტუტ SPEOS-ის წარმომადგენლებმა მთელი კოლექცია გადაიღეს.

ეს იყო დასაწყისი... ამას მოჰყვა პუატიას ევროპარკში სპექტაკლის კოსტიუმების დაკვეთა. დათო ბალანჩივაძემ და ქუდების კოლექციის ავტორმა ანასტასია ხვოსტოვამ პუშკინის სახლში მოაწყეს ჩვენება. ფრანგულ პრესას არც ეს დღე დარჩენია უყურადღებოდ: „ქართველი სტილისტის მიერ წარმოდგენილ კოლექციას ელვარე გასხივოსნების ეფექტი ჰქონდა... აქ ირეკლებოდა ჩვენი ეპოქის სული. ნაჭრის განსხვავებული ფაქტურის ნაზავი, ფერების ფეიერვერკი, ყოვლად მოულოდნელი კომბინაციები, პოსტმოდერნიზმისა და რენესანსის შერწყმა მის კოლექციას დაუვიწყარ მოვლენად აქცევს... ბრავო!“

პრესის ასეთი გამოძახილი უკვე ნამდვილი წარმატება იყო. მოდა საფრანგეთში საკმაოდ ჩაკეტილი სამყაროა და თუ რამდენად მოახერხა ქართველმა სტილისტმა ამ სამყაროში დამკვიდრება, თავად განსაჯეთ:

„თბილისიდანვე კრისტიან ლაკრუასთან მქონდა მიმოწერა და ახლაც ვინარჩუნებ კონტაქტს. კარგი ურთიერთობა მაქვს ბატონ პილტონ მაკ-კონიკოსთან, იგი ფირმა „პერმერის“ არტისტული დირექტორი გახლავთ. ყოველთვის დიდ სიხარულს მანიჭებს ქალბატონ ჟირონ ჟისკიას დანახვა, რომელიც მუდამ ესწრება ჩემს ჩვენებებს. ქალბატონი ჟისკია სახელგანთქმული მიიაკეს ფეტიში მოდელია, 17 წელიწადია, სულ მიიაკესთან იცვამს და თავის არჩევანს 94 წლის ასაკშიც არ ღალატობს. განსაკუთრებული პატივისცემით მინდა მოვიხსენიო ქალბატონი ირუს პანსმა, რომლისგანაც მრავალი სიკეთე მახსოვს. ასევე, ბატონი გუჯი ამაშუკელი და მისი მეუღლე კატრინ ბარსაკი. ქალბატონი ბარსაკი ლეონ ბაქსტის შთამომავალია, დიაგილევის ეპოქა დაუვიწყარი ესკიზებით რომ აღბეჭდა. ამჟამად პროფესიული ურთიერთობა მაქვს „lalerie Lafayette“-ის კატალოგის სტილისტთან და ყველა დიდი სავაჭრო მარკის კატალოგის შემდგენელთან — ქალბატონ პასკალ მეგრთან. ქალბატონ მეგრს მოდის ფოტოგრაფიის კურსი მიჰყავს ფოტოინსტიტუტ SPEOS-ში და მას ქართველი მოდის ფოტოგრაფების სტაჟირების ორგანიზება შევთავაზე. ახლახან თბილისიდან ახალგაზრდული ავანგარდული მოდის ასამბლეა დამიკავშირდა და მთხოვა, მათი წარმომადგენელი ვიყო, რადგან შემოდგომაზე თბილისში ავანგარდული მოდის ასამბლეა უნდა ჩატარდეს, ამიტომ ყველა დიდი მოდელების სახლს უნდა დავუკავშირდე. ამ წამოწყებაში ძალიან დამეხმარება ჩვენი საელჩო და ბატონი ელჩი გოჩა ჩოგოვაძე.

ამ ფრიად შთამბეჭდავ მონათხრობს ერთი სიმძიმე ახლავს... წარმოიდგინეთ, რომ ამ სამი წლის მანძილზე დათო საფრანგეთში ტურისტული ვიზით არის და საფრანგეთში მუშაობის უფლება არა აქვს. მუშაობს უფასოდ, რადგან მის პროფესიულ წინსვლას აუცილებლად სჭირდება ხელისა და გონების ვარჯიში. ტურისტული ვიზა რომ ამოეწურება, დათო თბილისს მიემგზავრება და შემდეგ უკან ჩამოდის.

ქართველი კურიოზს რომ არ შეეწყვილოს, ისე როგორ იქნება... „შენ გეცინება, მე კი ლამის მფრინავი ჰოლანდიელი დავირქვა, — ამბობს დათო... — ეს ყოველივე ჩემი პირველი ჩამოსვლისას დაიწყო. პრეფექტურაში საბუთები წარვადგინე, რომ საფრანგეთში ხანგრძლივი ყოფნის უფლება მიმეღო. დავიწყე სწავლა, მოვაწყე ჩვენება... ოთხი თვის თავზე მოთხოვნაზე უარი მომივიდა... რა მექნა, დავრჩი ამ ტურისტული ვიზით, რომელსაც წარა-მარა ვაგრძელებ. მუშაობის უფლება არა მაქვს, ამიტომ შემოთავაზებებზე უარს ვამბობ, ხან რას ვიგონებ, ხან რას... აბა, პროფესიულ სფეროში პატივსაცემ ხალხს ჩემი უბადრუკი საბუთების ისტორიას ხომ არ ვუამბობ... ახლაც წასასვლელი ვარ, ჰოდა, ჩვენებაზე უარი ვთქვი...“

ასეთი შემთხვევაც იყო დათოს ოდისეაში: მისი ჩვენება 7 აპრილს დაინიშნა, ეს დღე ბატონ გონზაკ სანბრისთან, ჟურნალ „Femme“-ის რედაქტორთან იყო შეთანხმებული. დათოს კიდევ, თავისი ტურისტული ვიზა 5 აპრილს დაუმთავრდა. ჰოდა, მოდელების ჩვენებას ესწრებოდა მრავალი პატივცემული სტუმარი, CNN-ის ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, ავტორი კი არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ქართველი შემოქმედი გახლდათ.

საფრანგეთში დათო ბალანჩივაძეს დაკვეთა ჰქონდა, „Theatre la Fontaine“-სთვის, იყო რამდენიმე სპექტაკლის კონსულტანტი „Theatre de Poitiniere“-ში, ავინიონის არაოფიციალური ფესტივალის დირექციამ მისი კერამიკა გამოფინა. ამ სამუშაომ ბევრი მომცა პროფესიულად, მაგრამ მატერიალურის კი რა გითხრა... მუდამ მაბრკოლებს ეს ორჭოფული მდგომარეობა საბუთების თვალსაზრისით და არ ვიცი, რომ წავალ, როდის ჩამოვალ... ან თუ ჩამოვალ საერთოდ“, — უხალისოდ ამბობს დათო...

„ერთი სტილისტი მაინც ხომ უნდა ჰყავდეს საქართველოს პარიზში“, — ვეუბნები მე.

პირველი გვერდიდან

უკანასკნელ ხანს მომრავლებულ ფალსიფიცირებულ პროდუქტებზე, ფალსიფიცირების გამომწვევ მიზეზებზე, ლიცენზირებისა და სერტიფიცირების სისტემის დახვეწაზე არაერთხელ დაბეჭდილა ჩვენს გაზეთში. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცით, „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს", მაინც გვღრღნის სურვილი — სააშკარაოზე გამოვიტანოთ ყველა ის ფაქტი, რომელიც კვების პროდუქტების და სასმელების წარმოებაში არსებულ უხეშ დარღვევებზე მიუთითებს.

ამ მიზნით მივაკითხეთ სარკინიგზო ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაზრობას, სადაც, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით მხოლოდ იმის გამო, რომ დახლებზე დაწყობილი ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკატები მოვითხოვეთ.

— ყველას რომ სერტიფიკატი ვაჩვენოთ, მაგას მოვუნდებით. ნახეს საქმე! — ჩაიბურტყუნა გამყიდველმა, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, რომ არსებობს კანონი „მომხმარებელთა უფლების დაცვის შესახებ" და ვალდებულია, დააკმაყოფილოს მყიდველის მოთხოვნა. სამაგიეროდ, კარგად იცის, რომ საკუთარი სახელი და გვარიც უნდა დამალოს და იმ ფირმის სახელწოდებაც, რომელსაც გასაყიდი პროდუქცია ეკუთვნის.

თითქმის ყველა გამყიდველი, რომლებსაც უამრავი დასახელების სამამულო თუ უცხოურეტიკეტიანი ალკოჰოლური სასმელი უწყვიათ წინ, აგრესიულად განეწყო ჩვენს მიმართ, „არამკითხე მოამბეს" იარლიყი მოგვანება და კატეგორიული უარი განგვიცხადა სერტიფიკატების ჩვენებაზე. მხოლოდ სამმა „გაბედა" ჩვენთან გასაუბრება და აგვიხსნა, რომ „იმათ" (კონკრეტულად ვის, არ დაუსახელებიათ) „ყველაფერი აქვთ", უცხოურზე კი — „აბა, უსერტიფიკატოდ ამხელა გზას ვინ გამოატარებდაო?!" — და სიამაყით გადმოგვიწყვეს ათას ენაზე (ინგლისური, ფრანგული, თურქული, ბულგარული) შედგენილი სერტიფიკატი (ღმერთმა იცის, რა ეწერა იქ და იყო თუ არა მათგან ერთი მაინც ნამდვილი).

დიდი ჩხუბისა და ახსნა-განმარტებითი საუბრების ჩატარების შემდეგ, მოვახერხეთ 16 სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის ყიდვა, რომელთაგან ხუთზე „შევაგროვეთ" საჭირო მონაცემები. ამ სასმელების მწარმოებლებისა (რომლებზეც მოვახერხეთ მონაცემების შეგროვება) და მათზე სერტიფიკატების გამცემი ორგანიზაციის შესახებ წერილის ბოლოს მოგახსენებთ. მანამდე კი გვინდა შემოგთავაზოთ პროდუქციის ლაბორატორიული ანალიზის შედეგები. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ანალიზი ჩაატარა სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპერტიზის სამსახურმა, რომლის ყველა თანამშრომელი, სამსახურის უფროსის, ბატონ თემურ ჭელიძის ხელმძღვანელობით, უდიდესი გულისხმიერებით მოეკიდა ჩვენს თხოვნას.

## მაშ ასე, ლაბორატორიულ ანალიზზე წარდგენილი ნიმუშებიდან:



1. კონიაკი „ვარციხე" — 1 ცალი, 0,5 ლ. ტევადობის, სავაჭრო-სამრეწველო ფირმა „ენისელის" ეტიკეტით, გამოშვების თარიღის და ნტდ-ს (ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტების) ჩვენების გარეშე.

მასში ეთილის სპირტის მოცულობითი პროცენტი (100%-ში) აღმოჩნდა 26,84 ნაცვლად 40-სა, რაც 32,9 პროცენტით ნაკლებია დასაშვებ ნორმაზე.

მეთილის სპირტს (100%-ში) ნაცვლად 0,[illegible] მოცულობითი პროცენტისა, შეიცავს 0,02 მოცულობით პრო[illegible]ტს.

უმაღლესი სპირტების საერთო ჯამი — 180-600 მგ/100 კუბურ სანტიმეტრში არის 176,1 მგ/დმ.კუბისა.




2. არაყი „Столичная" — 1 ცალი, 0,5 ლ. ტევადობის უცხოური ეტიკეტით, მწარმოებლის და გამოშვების თარიღის ჩვენების გარეშე.

მასში ეთილის სპირტი აღმოჩნდა 28,98 მოცულობითი პროცენტი, ნაცვლად 40 მოცულობითი პროცენტისა, რაც 27,55 პროცენტით ნაკლებია დასაშვებ ნორმაზე;

მეთილის სპირტი აღმოჩნდა 0,12 მოცულობითი პროცენტი, ნაცვლად 0,05 მოცლობითი პროცენტისა, რაც 2-ჯერ მეტია დასაშვებ ნორმაზე.

უმაღლესი სპირტების ჯამი აღმოჩნდა 3510 მილიგრამი/დმ.კუბ, ნაცვლად 4 მილიგრამი/დმ.კუბ.-ისა, რაც 800-ჯერ (?!) მეტია დასაშვებ ნორმაზე (სახ. სტანდარტი 12712-80).




3. არაყი „რუსთავი" — 1 ცალი, 0,5 ლიტრი ტევადობის, ქართული და უცხოური ეტიკეტით, მასში უმაღლესი სპირტების ჯამი აღმოჩნდა 23 მილიგრამი/დმ.კუბ.-ში ნაცვლად 4 მგ/დმ.კუბ.-ისა, რაც 5,75-ჯერ მეტია დასაშვებ ნორმაზე (სახ. სტანდარტ. 12712-80).



4. არაყი „Special vodka" — 1 ცალი, 0,5 ლ. ტევადობის, უცხოური ეტიკეტით, გამოშვების თარიღის ჩვენების გარეშე.

მასში ეთილის სპირტის მოცულობითი პროცენტი აღმოჩნდა 40,01, მეთილის სპირტის მოცულობითი პროცენტი — 0,005.




5. არაყი „Sascha" — 1 ცალი, 0,5 ლ. ტევადობის, უცხოური ეტიკეტით, გამოშვების თარიღის ჩვენების გარეშე.

ეთილის სპირტი — 40,01 მოც. პროცენტი;

მეთილის სპირტი — 0, 002 მოც. პროცენტი.




6. არაყი „Simeonoff" — 1 ცალი, 0,5 ლ. ტევადობის, უცხოური ეტიკეტით, გამოშვების თარიღის ჩვენების გარეშე;

ეთილის სპირტი — 40,01 მოც. პროცენტი;

მეთილის სპირტი — 0,001 მოც. პროცენტი.




7.ვისკი „John Watson" — 1 ცალი, 0,5 ლ. ტევადობის, უცხოური ეტიკეტით, გამოშვების თარიღის ჩვენების გარეშე;

ეთილის სპირიტი — 43,05 მოც. პროცენტი;

მეთილის სპირტი — 0,003 მოც. პროცენტი.



8. ღვინო „ქინძმარაული" — 1 ცალი, 0,75 ლ. ტევადობის, სუფრის ნახევრადტკბილი ღვინო, „სამტრესტის" ეტიკეტით, მწარმოებლისა და გამოშვების თარიღის ჩვენების გარეშე.

გამჭვირვალობა — არაგამჭვირვალე;

ფერი — ჯიშისთვის არადამახასიათებელი;

გემო — ღვინისთვის არადამახასიათებელი, იგრძნობა სიტკბო, ანალიზისას შაქრის შემცველობა არ აღმოჩნდა (ნულოვანი რაოდენობა); შეიცავს 4,4 (მილიონი სმ კუბში) ძმარმჟავა ბაქტერიებს ( დასაშვებია 1-2 მიკროორგანიზმი მიკროსკოპის მხედველობის არეში ღვინის ყველა სახეობაში).



9. ღვინო „შუამთა" — 1 ცალი, 0,7 ლ. ტევადობის — სუფრის მშრალი ორდინალური კახური ტიპის ღვინო, ქართული ეტიკეტით, მწარმოებლისა და გამოშვების თარილის ჩვენების გარეშე (ეტიკეტზე აქვს მრგვალი ბეჭედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფირმა „სამამულე").

გამჭვირვალობა — არაგამჭვირვალე;

გემო — არაჰარმონიული უცხო გემოთი;

შეიცავს 2,5 მილიონი/სმ კუბში, ძმარმჟავა ბაქტერიებს;

# სიახლე შამპანურის წარმოებაში — თაგვის არომატით შეზავებული ბუკეტი!



10. ღვინო „მუკუზანი" — 1 ცალი, 0,7 ლ. ტევადობის, სუფრის მშრალი წითელი სამარკო ღვინო — ქართული ეტიკეტით, მწარმოებლისა და გამოშვების თარილის ჩვენების გარეშე;

გამჭვირვალობა — არაგამჭვირვალე;

ფერი — არატიპური; გემო — მოტკბო. ანალიზის შედეგად მასში შაქრის შემცველობა არ აღმოჩნდა.

შეიცავს 1,6 მლ/სმ კუბში ძმარმჟავა ბაქტერიებს.




11. ღვინო „კახეთი" — 1 ცალი, 0,7 ლ. ტევადობის, სუფრის მშრალი, ორდინალური კახური ტიპის ღვინო ქართული ეტიკეტით, მწარმოებლისა და გამოშვების თარილის ჩვენების გარეშე.

გამჭვირვალობა — მღვრიე;

ფერი — არადამახასიათებელი ამ ტიპის ღვინისთვის.

გემო — გარეშე გემო, იგრძნობა სიტკბო, ანალიზის შედეგად მასში შაქრის შემცველობა არ აღმოჩნდა.

შეიცავს 19,6 მლნ/სმ კუბში საფუვრებს და 11,1 მლნ/სმ კუბში ძმარმჟავა ბაქტერიებს.



12. შამპანური „Советское шампанское" — 1 ცალი, 0,75 ლ. ტევადობის;

გამჭვირვალობა — არაგამჭვირვალე;

გემო და არომატი — გამოხატული თაგვის ტონით (აცეტამიდური ტონი);




13. ნახშირორჟანგით გაჯერებული ღვინო „Georgian Sekt" — 1 ცალი, 0,75 ლ. ტევადობის, უცხოური ეტიკეტით, შპს „კოლხეთი" გამოშვების თარილის ჩვენების გარეშე.

გამჭვირვალობა — არაგამჭვირვალე;

ფერი — უფერული, ნაცვლად ღია ჩალისფერისა;

გემო — არაჰარმონიული, ნაკლებად შეესაბამება ღვინის ტიპს.

შეიცავს 17,0 მლნ/სმ კუბში ძმარმჟავა ბაქტერიებს.




14. ნახშირორჟანგის გაჯერებული ღვინო „Georgian Sekt" — 1 ცალი, 0,75 ლ. ტევადობის, უცხოური ეტიკეტით, შპს „მუხრანი", გამოშვების თარილის ჩვენების გარეშე.

გამჭვირვალობა — შებღვრული;

ფერი — ჯიშისთვის არადამახასიათებელი;

გემო — უცხო, არადამახასიათებელი.




15. შამპანური „Albena" (Lyaskovets) — 1 ცალი, 0,75 ლ. ტევადობის, უცხოური ეტიკეტით, გამოშვების თარილის გარეშე;

გამჭვირვალობა — არაგამჭვირვალე;

ფერი — უფერო, ნაცვლად ჩალისფერისა;

გემო — ნაკლებად შეესაბამება ღვინის ტიპს.

შეიცავს 0,2 მლნ/სმ კუბში ღვინის საფუვრებს.




16. შამპანური „Albena" (vinprom) — 1 ცალი, 0,75 ლ. ტევადობის.

გამჭვირვალობა — არაგამჭვირვალე;

ფერი — უფერული;

გემო — ნაკლებად შეესაბამება ღვინის ტიპს;

მასში საფუვრები და ძმარმჟავა ბაქტერიები არ აღმოჩნდა.

აქვე დასკვნის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ღვინოების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებიც: „სუფრის მშრალი ღვინოები „კახეთი", „შუამთა", „მუკუზანი" — მოყვანილი ექსტრაქტის და შაქრის შემცველობის მიხედვით, არ შეესაბამებიან დადგენილ ნორმებს.

ღვინო „ქინძმარაული" — ეთილის სპირტის მოცულობითი წილი აღმოჩნდა 9,6 პროცენტი, ნაცვლად 10,5 — 12 პროცენტისა, შაქრის შემცველობა — ნულოვანი რაოდენობა, ნაცვლად 3 — 3,5 პროცენტისა (ამ შემთხვევაში გამოყენებულია შაქრის შემცველელი არაშაქროვანი ნივთიერება, რაც ითვლება ღვინის ფალსიფიკაციად) ღვინო, რკინის მასური კონცენტრაციის მიხედვითაც, არ შეესაბამება სტანდარტულ მოთხოვნებს."

**როგორც ხედავთ, სამამულო წარმოების ალკოჰოლური სასმელებიდან არცერთი არ აღმოჩნდა ტექნოლოგიური ნორმების დარღვევის გარეშე ჩამოსხმული (უცხოური სასმელების შემთხვევაში ლაბორატორიას დასკვნების გაცემა არ შეუძლია, რადგანაც არ გააჩნია მათი ნორმატიულ-ტექნიკური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტი). თითქმის ყველა სარგებლობს სხვისი ეტიკეტით, რაც ფალსიფიცირების მძიმე შემთხვევაა იმ გაგებით, რომ ეტიკეტების მფლობელების კონკურენტუნარიანობა ბაზარზე ნულის ტოლი ხდება.**

იხილეთ მე—7 გვ.

# სიახლე შამპანურის წარმოებაში — თაგვის არომატით შეზავებული ბუკეტი!

მე—6 გვერდიდან

ალბათ, ამ საკითხს ცალკე შესწავლა ჭირდება. არ შეიძლება, ვისაც საბეჭდი აპარატურა აქვს, ყველამ ბეჭდოს „სამტრესტისა“ და „თბილღვინოს“ ეტიკეტები ნებისმიერი მთხოვნელისთვის.

მიზეზი, თავიდათავი ამ პრობლემისა ის არის, რომ დღეს არ არსებობს რეალური აღრიცხვა იმ საწარმოებისა, რომლებიც ალკოჰოლიან სასმელებს ასხამენ. არავინ იცის, დანამდვილებით, ვინაა ამ სასმელების ჩამომსხმელი, რომლებსაც „სამტრესტის“, „თბილღვინოს“, „სამების“, „Советское шампанское“-ს ეტიკეტები ამშვენებს, ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი იმ უხეშ დარღვევებზე, რაც ამ და სხვა სახის ეტიკეტებიანი პროდუქციის ჩამოსხმის დროსაა დაშვებული.

„Georgian Sekt“-ის გამყიდველი ქალბატონის ზეპირი განცხადებით, მისი შამპანური ეკუთვნის ფირმა „მედეას“ (ამ განცხადების დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნდა). შამპანური ღირდა 70 (?!) თეთრი.

გასაკვირია, როგორ ახერხებს ფირმა „მედეა“ (თუ მართლა მისი ნარმოებულია აღნიშნული შამპანური), შამპანურის მასალის შეძენის, მისი დამუშავების და ყველა გადასახადის გადახდის შემდეგ პროდუქციის ღირებულების 70 თეთრად შეფასებას მაშინ, როცა ასეთ ნარმოებებზე უფრო დიდი შეძლების მქონე ქარხნები გაჩერებულნი არიან, რადგან პროდუქციის წარმოება იმდენად ძვირი უჯდებათ, რომ მისი სავაჭრო ქსელში გაშვება, მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარის გამო, წამგებიანია?!

იგივე შეიძლება ითქვას არაყ „Столичная“-ს მწარმოებელზეც, თუმცა ამ შემთხვევაში უფრო რთულადაა საქმე.

ნიმუში, რომელიც ჩვენ წარვადგინეთ ლაბორატორიული ანალიზისთვის, როგორც გამყიდველმა გვითხრა, და ამის დამადასტურებელი სერტიფიკატიც ვნახეთ, ეკუთვნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გლდანს“. სერტიფიკატი გაცემულია საქართველოს რესპუბლიკის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტისგან 1996 წლის 2 მაისს, ე. ი. მაშინ, როცა უკვე დაწყებული იყო სერიოზული მუშაობა სერტიფიცირების სისტემის მოსაწესრიგებლად. როგორ მიიღო სათანადოდ იდენტიფიცირებული პროდუქციის სერტიფიკატი საწარმომ, რომლის პროდუქციის ჩვენს მიერ წარდგენილ ნიმუშში უმაღლესი სპირტების რაოდენობა 800-ჯერ(?!) აღემატება დასაშვებ ნორმას? დავიჯეროთ, ეს ერთი ბოთლი იყო მხოლოდ ტექნოლოგიური ნორმების დარღვევით ჩამოსხმული? ვინმემ იფიქრა, რომ ასე ხელაღებით, ყოველგვარი შემონმების გარეშე გაცემული სერტიფიკატი ფალსიფიცირების შესანიშნავ საშუალებას აძლევს მეწარმეს?

კიდევ უფრო გასაკვირია უცხოური სასმელების შემომტანი ფირმებისადმი შესაბამისი ორგანოების დამოკიდებულება. სერტიფიკატი, რომელიც მათ იმ ქვეყანაში მიიღეს, საიდანაც პროდუქცია შემოიტანეს, არაა საკმარისი იმისთვის, რომ იმპორტული პროდუქცია სხვა ქვეყნის სავაჭრო ობიექტებში შეიტანონ გასაყიდად. მათ ამგვარივე სერტიფიკატი უნდა აიღონ იმ ქვეყანაშიც, რომლის ბაზარზეც გააქვთ პროდუქცია. თუ ასე არ იქნა, ვინ დაადგენს, რა შემადგენლობისაა მათ მიერ შემოტანილი სასმელი, არის თუ არა იგი ნამდვილად „Sacha“ ან „Simeonoff“?

უფრო გასაგები რომ იყოს ფალსიფიცირების ხარისხი, ისიც ვთქვათ, რა არის საფუვრები და ძმარმჟავა ბაქტერიები და რაში სჭირდებათ იგი ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებს? საქმე ისაა, რომ ამ სასმელებში თითქმის არსად არაა ნატურალური ღვინო. საჭირო სითხეს ადუღებენ ღვინის საფუვრებით, რომლებიც ჩვეულებრივ დუღილის შემდეგ უნდა გაიფილტროს. ძმარმჟავა ბაქტერიები კი სპირტის ძმარმჟავამდე დაშლის შემდეგ ჩნდებიან. ამიტომაცაა, რომ ყველა ფალსიფიცირებულ სასმელს არასასიამოვნო, ძმრის სუნი უდის (საუბარი აღარაა იმაზე, რომ სასურველი ფერის მისაღებად ათასგვარ ქიმიურ საღებავს ხმარობენ, რომ სითხე ღვინოს დაამსგავსონ).

კანონით, დღეს ალკოჰოლიანი პროდუქციის წარმოებაზე მხოლოდ „სამტრესტის“ შესაბამისი სამსახური უნდა გასცემდეს ლიცენზიას და სერტიფიკატს. რეალურად, ადრე გაცემული სერტიფიკატები ისევ ძალაშია და არავინ არ ფიქრობს მის ხელახლა აღებაზე (რა საჭიროა ამდენი ხლაფორთი, ვაითუ, „სამტრესტის“ იმ ორგანოში ნესიერი კაცი იჯდეს, მერე ხომ დაკარგავს წარმოებას „ბიზნესმენი“?).

### განბაშის ატეხვის დრო ახლა კი არა, კარგა ხანია დადგა

ნაქები და ჩვენი თავმოსაწონებელი ღვინო და შამპანურის მასალა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ნუსხაში საერთოდ არ აღმოჩნდა, დღეს იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, ვეჭვობთ, ათეულობით წლების შემდეგაც შევძლოთ, ვინმეს მოვაწონოთ და მსოფლიო ბაზარზე თავისი ადგილი ვაპოვნინოთ.

### ბოლოს

ერთ საგაზეთო წერილში ამ სისტემაში არსებული ყველა პრობლემის მიმოხილვა ძნელია. ამჯერად ჩვენი მიზანი იყო დაგვენახვებინა, რეალურად რა სიძნელეების წინაშე დგას ქართული მეღვინეობა, რომელიც ამდენი ფალსიფიკატორის მიზეზით არათანაბარ პირობებში მოხვდა ბაზარზე, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭეშმარიტ მეღვინეებს ძვირი უჯდებათ პროდუქციის წარმოება, ფალსიფიკატორებს კი, ვინც მიზერულ თანხას იხდის (ან საერთოდ არაფერს იხდის) სახელმწიფო ბიუჯეტში, შესანიშნავი საშუალება ეძლევათ პროდუქციის გასაღებისა და მოგებისა.

პრობლემა ამ წერილით არ ამოიწურება. შევეცდებით მომავალში სისტემატური ხასიათი მივცეთ ამგვარი ფაქტების გამოვლენას.

იქნებ ერთმა მერცხალმაც მოიყვანოს გაზაფხული?

მაია ტორაძე

---

სააქციო საზოგადოება „კამარა“ გთხოვთ გამოაქვეყნოთ შემდეგი შინაარსის განცხადება:

სააქციო საზოგადოება „კამარა“, რომელიც გაერთიანება „საკინტურისტმშენის“ ბაზაზეა შექმნილი, ა/წლის 3 აგვისტოს 11 საათზე ახვლედიანის 26-ში აქციონერთა კრებაზე იწვევს თავის თანამშრომლებს 1989 წლის ნოემბრიდან დღემდე.

მუშაკებს გთხოვთ გამოცხადდეთ და თან იქონიოთ პასპორტი და შრომის წიგნაკი.

სააქციო საზოგადოება „კამარას“ გამგეობა

---

## სახელმწიფო ქონების, მართვის სამინისტროს მცხეთის სამმართველო აცხადებს აუქციონს

დეპარტამენტ „საქენერგოს“ დაბა ზაჰესში მექანიზაციის სამმართველოს ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული და სასაწყობოდამხმარე ნაგებობების იჯარით-გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქ. რესპ. მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25% ნაკლებს.

ინფორმაცია ობიექტის შესახებ:

მეიჯარე: დეპარტამენტი „საქენერგო“.

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა: 2300 აშშ. დოლარი

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადება მონაწილე, რომელიც იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა სახ. ქონების მართვის მცხეთის სამმართველოს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება
2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომერი.
3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

1. ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი.
2. საცხოვრებელი მისამართი
3. საპასპორტო რეკვიზიტები

განმცხადებლებმა აუქციონში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებელი აუქციონში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირების და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

აუქციონის ჩამტარებელი კომისიის სხდომა გაიმართება განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში მექანიზაციის სამმართველოს თანამშრომელთა მიერ შექმნილი ამხანაგობა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარმოუდგენს განცხადებას შენობა-ნაგებობის იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების შესახებ საქართველოს პარლამენტის 20.09.04 წლის № 555-1 დადგენილებით დამტკიცებული დებულების „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ 8.17. პუნქტის თანახმად, აუქციონი პირდაპირი წესით გადაეცემა ამ ამხანაგობას.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისთვის წარდგენილი განაცხადით მექანიზაციის სამმართველოს თანამშრომლები სარგებლობენ სხვა თანაბარი უფლებებით.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მცხეთის სამმართველო

---

## ფესტივალი „მარგარიტა 96“ მუსიკალური სიცოცხლის დასაბამი გახდება

ჩვენს ქალაქში „ვაკის პარკში“ რამოდენიმე დღეა მიმდინარეობს თანამედროვე ქართული მუსიკის ფესტივალი, რომელიც კლუბი „ყაზბეგის“ ეგიდით მოეწყო. ფესტივალზე მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი თანამედროვე მუსიკის სხვადასხვა მიმდინარეობები. ღონისძიებამ განსხვავებული გემოვნებისა და ასაკობრივი ჯგუფის მრავალი მსმენელი მიიზიდა.

„ეს ერთი კვირაა საღამოობით ჩვენი ქალაქი ამ მოვლენით სულდგმულობს. განაცხადა ჟიურის თავმჯდომარემ, ცნობილმა ქართველმა მუსიკოსმა, ბატონმა თამაზ ყურაშვილმა.

გადავწყვიტეთ რამოდენიმე კითხვით მიგვემართა მისთვის.

— როგორ შეაფასებთ ამ ფესტივალის დონეს, ამერიკულს მიაკუთვნებთ, ევროპულს თუ რაიმე სხვას?

— ახლანდელი ფესტივალი არ შეიძლება, რომ რაიმე სტანდარტულ დონეს ექვემდებარებოდეს. 1986-88 წლებში ჩვენთან, მართლაც მსოფლიო სტანდარტების შესაფერისი ფესტივალები ჩატარდა. შემდეგ კი, ცნობილი მიზეზებისა და ჩვენი ეროვნული უდარდელობის გამო ეს ტრადიციები მოიშალა. მიუხედავად ამისა, ძალიან კმაყოფილი ვარ თავად ამ ფესტივალის ჩატარების ფაქტით. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენი, გენეტიკური კოდი არ იშლება, ახალგაზრდობა ისევ ატარებს ამ ენერგიას. ჩანს, ტყუილად არ გვიშრომია, ვფიქრობ, ტრადიცია ისევ აღდგება. სწორედ ამის საწინდრად მესახება ასეთი ფესტივალების ჩატარება...

— ე.ი. თქვენ იმედიანად უყურებთ მომავალს და მიგაჩნიათ, რომ თანამედროვე მუსიკის სხვადასხვა მიმდინარეობებს საქართველოში გარკვეული პერსპექტივა აქვს?

— რა თქმა უნდა, ყველა მიმდინარეობა დამოუკიდებლად უნდა განვითარდეს. ყოველივე ამას მრავალი ხელშემწყობი პირობა ესაჭიროება — ბაზები, აღზრდა, განათლება. ახლა, ჩვენამდე მოღწეული მუსიკალური ინფორმაცია გაცილებით ჭარბობს რეაქციასა და რეზულტატს, მაგრამ ვფიქრობ, უფრო დავისვენებით და ევროპულ დონეს მაინც მივაღწევთ, თუ მეტს არა.

— თქვენს მიერ უკვე მოსმენილ ჯგუფებსა და სოლისტებს შორის ჰინმეს თუ აიყვანდით მოწაფედ?

— აქ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, ვისაც მართლა პატრონობა სჭირდება, რჩევის და დარიგების დონეზე. ანსამბლში აყვანა სხვაა. ისე კი, ფესტივალმა მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოავლინა, თუმცა, მისი მიზანიც ეს არის. ყველას ვურჩევდი შრომის სიყვარულს. ისევ შრომა მიგვიყვანს ალბათ, სასურველ რეზულტატებამდე. კიდევ ვიტყოდი, რომ ისევე, როგორც შემსრულებლებს, მსმენელსაც ესაჭიროება გარკვეული დახვეწა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან როდესაც მსმენელი მუსიკას სწორად აღიქვამს, ამით იგი შემსრულებელთან აბამს კონტაქტს. ეს კი, მუსიკის განვითარებას უწყობს ხელს.

— რას იტყვით, დარბაზში საუნდის შესახებ. აქ ხომ მონოს ნახევარი მოდის?!

— ეს არაორდინალური დარბაზია. დენის კვების სისტემაც არაორდინალურია. ტექნიკის გარკვეული ნაწილი გაგვაჩნია, მაგრამ არასაკმარისი. ხარვეზების მიუხედავად, მაინც რაღაცას ვაღწევთ. რა თქმა უნდა, სასურველია, უკეთესი დონე იყოს. როდესაც 30 და 34 სატელევიზიო არხი გვაქვს, ალბათ, იგივე შესაძლებლობის ტექნიკაც უნდა არსებობდეს, რომელიც საუნდს მოხმარდებოდა. ვიმედოვნებ, რომ მუსიკალური სიცოცხლე უკვე დაწყებულია, რაც აუცილებლად დააჩქარებს ამ ნაკლების გამოსწორებას.

— და ბოლოს, რამოდენიმე შენიშვნა, რაც ამ ფესტივალის მსვლელობისას გაგიჩნდათ, პირადად თქვენ.

— ფესტივალის მსვლელობისას, მართლაც გამოჩნდა რამდენიმე ფარული ხარვეზი. საერთოდ, მუსიკალური ფესტივალი ცოცხალ მუსიკას, ცოცხალ შესრულებას გულისხმობს, აქ კი, ხშირად გვხვდება ფონოგრამით მუშაობის შემთხვევები. ფონოგრამა უფრო ბარში, მუსიკოსის პირადი ტრენინგისთვის უნდა გამოიყენებოდეს. ეს ფესტივალის კანონების დარღვევაა. მესმის, რომ ვოკალისტები ზრუნავენ ხარისხიან აკომპანიმენტზე, მაგრამ ამის უკან, დიდი „ქიმია“ იმალება.

სამწუხაროა, ისიც, რომ ფესტივალის მიერ დაწესებული ზოგიერთი ნომინაცია ლიად დარჩება. მაგალითად, არტისტულობა, ანსამბლურობა და სხვა... მიუხედავად ამისა, ჩვენი სურვილები და განწყობები მაქსიმალურად გამოიხატება სტიმულისა და წახალისებების სახით. რაც მთავარია, დღეს ეს მივიწყებული პარკი გაცოცხლდა, ქალაქი საღამოობით ამ მოვლენით სულდგმულობს და ეს უკვე ძალიან კარგია.

ესაუბრა

ნინო სვანიძე

წაკითხვის დღიდან დღემდე
სულ ეჭვის ჭია დამღევს:
რა ჰქონდა, ნეტა, საერთო,
ამ გაუგებარ ტანდემს?!
რად დაძმობილდნენ, რა მიზნით,
შეუსაბამო წყვილი?!
(მშრომელი ჭიანჭველა და
მკბენარ-მწოველი რწყილი).
ან და რის ფასად დასრულდა
„მოძმის გამოხსნის" ფარსი,
მისაბაძია თუ არა,
იგავ-არაკის არსი?!
ალბათ, ოდესმე ამაზე
ატყდება დიდი დავა,
მაგრამ ვინ იცის, როდის და,
თან კვლევა რა გზით წავა.
მინდა მკვლევარებს დავასწრო,
მკითხველთან ვალის მოხდა
და გითხრათ ლექსი-ვერსია,
რა, რანაირად მოხდა.

## კარი პირველი

დაძმობილების მიზეზზე
წუთით დავხუჭოთ თვალი,
მაგრამ ფაქტია, შემოხვდათ
სავალ მარშრუტზე წყალი;
რწყილი ახტა და გადახტა
(ადვილი იყო მისთვის),
ჭიანჭველას კი, ბუნებით
ხათრის არ გამტეხს ძმისთვის,
გმირს (მაგრამ ცურვის
არმცოდნეს
თავის გამწირველს სხვისთვის)
სირცხვილს სიკვდილი ერჩია,
ბედის მინდობა წყლისთვის.
ჩახტა და რაღა თქმა უნდა
წყალი და ლაფი ყლაპა,
მაგრამ ამჯერად არ ჩაქრა
მისი სიცოცხლის ლამპა.
რატომღაც არ დაიტოვა
ავმა სტიქიამ ფსკერზე,
ამოყვინთა და გაღოღდა
გარჩა ბალახის ღერზე.
რწყილს ნაღდად არ დაუწყია
სიმწრით თითების მტვრევა,
იფიქრა: „რა იმად მინდა
ამ იდიოტის თრევა,
ცურვა არ იცის, ვერ დახტის,
უტვინოდ ხტება ღვარში,
მე ამის დედა ვატირე,
უთუოდ გამხვევს შარში".
შემოუყვირა გაღმიდან:
— ჭიანჭველ, ჯიგარო კაცო!
მთავარი არი რომ ამ დროს
ხელი რაიმეს სტაცო.
და რადგან განგების ნებით
ბალახზე ზიხარ მყარად,
მანდ იჯექ, არსად წახვიდე
და დამელოდე წყნარად.
მე წავალ, მივივლ-მოვივლი
დღევანდელ ქართულ ბაზარს
და ბარტერული მეთოდით
გავშანსავ შენთვის ბაწარს.
უკანასკნელად შეავლო
წყალში გარჩენილს მზერა,
ახტა, გაფრინდა, გათავდა
ცრუ „ალიანსის" ერა.

## კარი მეორე

(ბარტერი)

— ლორო, შე კეთილშობილო,
მეხი დაგვეცა, თავზარი,
ჭიანჭველა წყალში ჩავარდა,
შრომით დაღლილი, ნამგზავრი
და ამ დღეში რომ არ მოხვდეს,
პატიოსანი სხვა მგზავრი,
რომ ასცდეს შთამომავლობას
უბედურება ამგვარი,
წყალზე ხიდი რომ აშენდეს,
გამძლე, სანდო და მაგარი,
ამისთვის ფონდი შევქმენით
და უნდა მოგვცე ჯაგარი;
ლორი აყვირდა: — რა გინდათ,
რა გააჭირეთ საქმე,
თქვენი ფონდების სარჩენად
კი არ ვმუშაობ აქ მე.
სოკოებივით გამრავლდით
ფონდები ამონაყარი,
ის დღე დაიქცეს, როდესაც
ბიზნესში ფეხი ჩავკარი,
არ იქნა, ველარ შევირგე
ნაშოვნი, ნაამაგარი.
ძმაო! მე თუ რკო არ ვჭამე,
არ ამომივა ჯაგარი".
რწყილი მიახტა მუხას და
უთხრა: — წარბშენაჭმუხარო,
ქართული სულის სიმბოლოვ,
საშეშევ და საბუხარო,
ჩვენი ლორების სპონსორო,
მრავალწელს ნამეხ-მუხარო,
ამ ეროვნული ამბისგან
განზე გამდგარი ნუ ხარო.
დრო დადგა, „წმინდა აქციას"
ტოტები ჩამოუხარო
და „ჭიანჭველფონდის" ანგარიშს
ბლომად რკო ჩამოუყარო.
მუხამ თქვა: — ყვავი მაჯდება,
თვლემს მაღლა, ჩემს კენწეროში,
ახალ იდეებს ჭადაგებს
ეკონომიკის სფეროში.
ის ყვავი რევიზორია,
დიპლომი უდევს ნასწავლის,
მუხა მე ვარ და ის მაინც
რკოს წარმოებას მასწავლის.
ყრანტალ-ხარხარი აუტყდა.
მერე უეცრად შეწყვიტა
ისტერიული სიცილი
და ქრთამის სახით ითხოვა
მინიმუმ, ერთი წიწილი.
რწყილი კრუხს ეცა, აუხსნა,
თვალში აყარა ნაცარი

# «რწყილი და ჭიანჭველა»

## (არც ისე სასაცილო არაკი)



ჩემი ნაშოვნის გამყოფი,
ხარბი და გამოცდილია,
„სტრუქტურებშია" ნამყოფი.
ეს მომაშორეთ, მე არ მაქვს
ფეტვი, ყველასთვის სამყოფი.
რწყილი თაგვს ყურზე დაახტა,
წუწუნით ტვინი ახადა,
მშრომელი ჭიანჭველების
მძიმე ცხოვრება დახატა.
თაგვმა თქვა: — მესმის, რომ
ვჭამე
მე ფეტვი სხვისი ნათესი,
მაგრამ მე თვითონ კატა მჭამს,
მისი ვარ დელიკატესი.
აგიტაცია არ მინდა
და ნურც ნურაფერს ამიხსნით.
ორმოს არ გავეკარები
თქვენ თუ კატისგან დამიხსნით.
რწყილი კატასთან გაქანდა
და ახლა იქ აქაქანდა.
კატამ თქვა: — რა სათქმელია,
საქველმოქმედოდ მზადა ვარ,
მაგრამ მე ამ სისტემაში
ერთი პატარა კატა ვარ.
თავს არ გაცოდებთ ან კიდევ
ამ ფესტით თავს არ ვიქებო,
მაგრამ თაგვს თუ მოვეშვები,
მაშინ რძით უნდა ვიკვებო.
პირობით გულმოცემული
რწყილი ძროხასთან მიფრინდა,
ძროხა, ხნიერი მეძავი
იჯდა და წარბებს იჭნიდა,
ძუძუებს ამოძრავებდა,
მეწველის იმედს იქმნიდა,
თანაც რძის საფასურისთვის
„მორცხვად" ბოდიშსაც იხდიდა,
ჩანდა, რომ მსგავსი მთხოვნელი
მრავალი ყავდა ნანახი
და თქვა თვალების ჟუჟუნით,
მიყვარსო ქორფა ბალახი.
ძროხის შეკვეთის საშოვრად,
რწყილი გახტა და გავარდა.
„მკაცრად აკრძალულ" ზონაში
უტიფრად გაინავარდა.
ჯაგარის შოვნის სურვილით
აზარტში ისე გახურდა,
რომ სახელმწიფო სექტორი
ბალახისაგან გაქურდა.
მერე რაც მოხდა, მოყოლა
არის სრულიად ზედმეტი,
თუ რწყილმა როგორ იხმარა
ძველი, ცნობილი „ბერკეტი"
და როგორ გაბალანსა
ქრთამით „ურთიერთრეკეტი".
ახტა და ლორთქ[illegible] ჩამოხტა
შე[illegible]
ლორს მიაყარა სამყოფად
რკო, მუხის ჩამონაყარი
და ლორმაც ხროტინ-ღრუტუნით
რწყილს მოუწონა ჯაგარი,
რომ სიუჟეტის მიხედვით
მას დაეგრიხა ბაწარი,
ასე ითხოვდა მორალი,
ასე გვიამბობს ზღაპარი,
მაგრამ რადგანაც ბუნებით,
რწყილი მწერია მზაკვარი,
იგავ-არაკმა მიიღო
მიმართულება სხვაგვარი.

## ეპილოგი

რწყილი რომ ნაპირს მიადგა
(არც იყო გასაკვირი),
ჭიანჭველას მზეზე გდებისგან
უკვე წაელო ჭირი
და ქანაობდა ბალახზე
გამოფიტული ჩირი.
აქ რწყილი მწუხარებისგან
კი არ ახტა და დახტა,
„თანამებრძოლის დაღუპვას"
ძალიან გულმაგრად დახვდა,
ფირმა „ჯაგარი" გახსნა და
მილიონერი გახდა.
რწყილი ძმაკაცის ხსოვნასთან
არც სხვაფრივ დარჩა ვალში,
მისი დაღუპვის ადგილზე
რესტორანი დგას წყალში.
წყალზე ხიდი დგას, ბაჟს უხდის
ავტო, ველო და მოტო.
ქარში ქანაობს ამაყად
გმირი ჭიანჭველის ფოტო.

P.S.
ეს წესი მუდმივი არი,
ჯერაც არგამოცვლილი,
ბრძოლის დროს ხშირად
იკვრება
ბევრი ამგვარი წყვილი:
იდეით გულანთებული
და სინდისგარეცხილი,
„ეროვნულ მოძრაობაში"
შეაქვთ სხვადასხვა წვლილი
და ჭიანჭველების გვამებს
სუქდება ბევრი რწყილი.

**რუსლან მიქაბერიძე**

11 ივლისი 1996 წელი

— „ვინგვინი" — 96 —

# აბიტურიენტების დასახმარებლად

გაზეთ „კავკასიონის" რედაქციის თანამშრომლებს ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე მონაწილეობის დიდი გამოცდილება გვაქვს. ამჯერად, გადავწყვიტეთ, ჩვენი გამოცდილება აბიტურიენტებს გავუზიაროთ. კვლავ გთავაზობთ ნაწყვეტებს (ეგრეთ წოდებულ „მარგალიტებს") საგამოცდო ნაწერებიდან, ნიმუშად იმისა, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს საგამოცდო თხზულება.



- „ტიორგი მერჩულე არაფერს ამბობს იმაზე, რომ გრიგოლ ხანძთელს და ფებრონიას ერთმანეთი უყვარდათ, სამაგიეროდ საშკაროზე გამოაქვს აშოტის და სიძვის დიაცის ამბავი, რაც იმით აიხსნება, რომ მწერალს სურდა სასულიერო პირების დაცვა და საერო წოდების დამცირება."
- „მეცნიერები ბევრს კამათობენ ტაო-კლარჯეთის მდებარეობაზე, მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი იმყოფა დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებზე."
- „თვით ალუდამაც კი არ მოაჭრა ხელი ვილაც ქისტს, მაშინ, როცა ქართველმა ჯალათმა დაუნდობლად მოჰკვეთა ხელი თანამემამულე დიდოსტატს."
- „ფატმანის ქმარი უსენი, ისევე როგორც რუქა, საჭურისი იყო, თუმცა, იმის მაგივრად, რომ მომხიბლავი იგავ-არაკები მოყვეს, ნესტანს მიჰყიდის თავის მეფეს."
- მ„იუხედავად იმისა რომ პოემაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, შოთასთაველის ოსტატობის წყალობით მაინც ვხვდებით, რომ ასმათს დაუფასდა ამდენი ტანჯვა-წამება და იგი ფრიდონის ცოლი გახდა."
- „თხა და მგელი ერთად ძოვდნენო", — ასე მთავრდება მეგობრობის უკვდავი ჰიმნი. მართალია მგელი ბალახს არ ძოვს, მაგრამ თხასთან მეგობრობის სურვილმა დაავიწყა ბნელი ინსტიქტები და სულიერად აამაღლა იგი. აკი უთქვამს კიდეც ბრძენ ხალხს „ხარი ხართან რომ დააბა ან ფერს იცვლის, ან ზნესაო".
- „ვარსქენი სპარსეთში ეახლა მრისხანე შახაბაზს და სთხოვა მას გამაჰმადიანება."
- „შუშანიკის წამებიდან" ვიგებთ, რომ მე-5 საუკუნეში ქალი უუფლებო იყო, მას ქმრის უკითხავად გათხოვების უფლება არ ჰქონდა. შუშანიკმა თამამად გაილაშქრა ქალის ამგვარი შეზღუდულობის წინააღმდეგ."
- „იგავ-არაკში „ნალბანდი მგელი" სულხან-საბა დაუნდობლად კიცხავს ვირს, რომელმაც კბილები ჩაამტვრია მგელს, რომელსაც სურდა მისთვის ფეხში შერჭობილი ლურსმნის ამოძრობა."
- „ტიორგი დიდხანს იტანჯებოდა, რადგან იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივი ზარმაც და თავადის ქალს თავის სახლში არ შეაყვანინებდა, ამიტომ ბევრი ყოყმანის შემდეგ თვითონ ჩაესიძა კესოს და ვარდების მოშენებას მიჰყო ხელი."
- „ოთარაანთ ქვრივიდან" ვიგებთ, რომ რევოლუციამდე გლეხი იმდენად უუფლებო ყოფილა, რომ თავადი ქალის შერთვაც კი არ შეეძლო."
- „მწარედ მოსთქვამს ვაჟას პატარა შველი, მართალიც არის, მას ხომ მტრები არ დააცლიან ირემად გახდომას."
- „მიუხედავად იმისა, რომ გრძობელიანი ახალგაზრდა არ მომკვდარა, იგი მაინც რომანტიკოსი იყო."
- „მკვიდრად ააშენა ვინაც ააშენა და ცით დაამშვენა სვეტი ნიკორწმინდა" — უთქვამს გალაკტიონს სვეტიცხოვლის ამშენებლის შესახებ. (იქვე) ორმა სწორუპოვარმა გენიოსმა დაგვიტოვა შეუდარებელი ქმნილებები სვეტიცხოველზე: გალაკტიონმა „ნიკორწმინდა", კონსტანტინემ „დიდოსტატის მარჯვენა"."
- „დიდი გეოგრაფი იაკობ ხუცესი თავის ნაწარმოებში შუშანიკის წამების გადმოცემასთან ერთად დროს არ კარგავს და დაწვრილებით გადმოგვცემს ქართლის ბუნების და ქალაქების აღწერილობას."
- „წელიწადში 360 დღეა, საუკუნეში 100 წელიწადი, ეპოქაში — 5 საუკუნე, მაშასადამე „შუშანიკის წამებას" სულ რაღაც 3 ეპოქა გვაშორებს. ბევრია ეს თუ ცოტა იაკობ ხუცესმა ჩვენ დაგვიტოვა გადასაწყვეტად, თვითონ კი შექმნა წამებათა ჟანრის პრელუდია."
- „მაშინ როცა მთელი მსოფლიო უძირო ზღვასავით ეწაფებოდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, გენიოსი პოეტი პოპულარობას გაურბოდა ხევსურეთის ერთ პატარა სოფელში — შატილში სოფლის მეურნეობით იყო გართული. ასეთია ჭეშმარიტ ხელოვანთა ბედი — ბარათაშვილმაც უცხოობაში დალია სული."

## დიმიდოვრდი

თარაზულად: 5. ეგვიპტურ-გეომეტრიული ფიგურა; 6. „მოხვეული" მომღერალი; 8. კვარის ოპოზიციაში მყოფი ძვირფასეულობა; 11. მიმართვა მამულის არათანაბრად გამყოფისადმი. 14. ის, რაც სინათლეა და „საქენერგოს" კომპეტენციაში არ შედის; 15. ჩონგურამდე ერთი სიმი აკლია; 16. ლუდია და „მასტიკას" ჰგავს. 17. ერთორზის მამას ერქვა (კლოსი გაგახსენდება კაცს); 21. ცნობილი იტალიელი მოაზროვნის გვარი და სახელი; 22. ცეკვის შეჭამანდს დახარბებული (ბიბლ); 23. ზღაპრული გვარი, ანუ ნამდვილი სახის დასამალი საშუალება; 26. სიტყვა, რომლის წარმოთქმისთვის ბიძია-ბაბუას სასამართლოს თითო წევრზე სამ-სამი წლის პატიმრობა დაუმატეს; 27. ამერიკისა და თბილისის სასწრაფო დახმარების ლიდერების ერთობლივი თამაში; 28. ადამიანი, რომელიც ხამში ყველაზე მაღლა დგომას იმსახურებს.



შვეულად: 1. სტენდალის ფერებში ცნობილი დელიკატესი; 2. „მთვრალი" მუსიკალური ტერმინი; 3. რა არა აქვს ხის უარმყოფელ ჩიტს? 4. ატამანის საწოლი; 7. მუსიკალური კორდი აფხაზურად; 9. უიღბლო დღე კატის ცხოვრებაში; 10. Post - შეფასება; 12. ფელდმარშალ დე-ტოლის პირველი ნახევარი (საცივის ასოციაციას იწვევს); 13. იდეური ყვავილი ანუ ყვავილოვანი იდეა; 18. „ბუბუს ძმაკაცს ბლიუს ლია, გამოვიდა..."; 19. „ოსური" მდინარე აფრიკაში; 20. „ინდოეთში მიდის ანი, მიაქვს დიდი..."; 24. ხის ქურქელი, რომელიც ბალიან უხდება ფილოსოფიას და კონიაკს; 25. ფუტკრის სადგომს ბლიუს მუსიკალური ბგერა (საოჯახო ნივთი).

რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ ღაღლაშვილი და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი
მორიგე რედაქტორი დიანა გაბროშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.